პრეზიდენტი

ოლივიე კამპი: „ჩვენს თანამშრომლობას კარგი მომავალი აქვს“

14 ივნისს საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რეგიონალურ დირექტორს ოლივიე კამპსა და ამავე ბანკის წარმომადგენელს საქართველოში იურგენ შრამს.

შეხვედრის დასაწყისშივე სტუმრებმა მაღალი შეფასება მისცეს საქართველოსთან პარტნიორულ ურთიერთობას და ახალი პროექტების განხორციელებაში თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვეს. სადღეისოდ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს საქართველოში 15 პროექტი აქვს განხორციელებული. 180 მილიონი დოლარის ინვესტიცია კონცენტრირებულია როგორც ენერგეტიკის, ასევე ტრანსპორტის სფეროში, სერიოზული ფინანსური დახმარებაა გაწეული საბანკო სექტორში. როგორც შეხვედრაზე ოლივიე კამპმა აღნიშნა, ევროპის ბანკი ფინანსურ

იხ. მე-2 გვ.

მილოცვა

თბილისის საერთაშორისო წიგნის ბაზრობის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს

მეგობრებო,

ნება მიბოძეთ მოგილოცოთ წიგნისთვის თავშეწირულ ადამიანებს საერთაშორისო წიგნის ბაზრობის ჩატარება იმ ქალაქში, რომელიც ყოველთვის წიგნიერი გახლდათ, რომელშიც ყოველთვის იცოდნენ კარგი წიგნის ფასი და უდიდეს პატივს სცემდნენ მის ავტორს.

დიდი მადლობა მინდა გითხრათ გამოფენის ორგანიზებისათვის, ეს ხომ მარტო ქართული წიგნის კი არა, ქართული კულტურის პოპულარიზებაცაა.

მადლობა მინდა გითხრათ იმისთვისაც, რომ ბაზრობა ჟან კლოდ ეტიენის წიგნის პრეზენტაციით იხსნება, რომელიც უშუალოდ მე მეხება. ასეთი, თუნდაც არაპირდაპირი მონაწილეობა ღირსების საქმედ მიმაჩნია.

იმედი მაქვს, რომ თბილისის წიგნის ბაზრობა მომავალში კიდევ უფრო წარმომადგენლობითი გახდება და სათანადო ადგილს დაიჭერს წიგნის პროპაგანდის საქმეში როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ.

დამოუკიდებელმა საქართველომ მსოფლიო წიგნის ბაზარზე აუცილებლად უნდა მოიპოვოს თავისი ადგილი, ასეთი ღონისძიებანი კი ამ მცდელობაში საუკეთესო საშუალებად მესახება.

რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლება, წიგნიერი ქვეყნის ხელისუფლება, ამ დიდ საქმეში ყოველთვის თქვენთან იქნება.

პატივისცემით,

ედუარდ შევარდნაძე.

მადლობა

საქართველოს პრეზიდენტს გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

დიდ მადლობას მოგახსენებთ გიორგი ლეონიძის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს ხელმძღვანელობისა და ესოდენ გულისხმიერი აღნიშვნისათვის.

ულრმესი პატივისცემით,

თინათინ ლეონიძე.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

პერსპექტივა: ოცდამეერთე – ადამიანის კულტურის საუკუნე გვ. 3.

დისკუსია: „გონებაზე რომ მოხვიდე“ გვ. 3.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №159 (3560) ხუთშაბათი, 15 ივნისი, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.

წარდგენა

მინისტრის პირველი შეხვედრა კოლექტივთან

14 ივნისს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა პარლამენტის მიერ დამტკიცებული სოფლის მეურნეობისა და სურსათის ახალი მინისტრი დავით კირვალიძე სამინისტროს კოლექტივს წარუდგინა.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის რანგში პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის, მეცნიერისა და ფერმერის დავით კირვალიძის პირველი სამუშაო დღე საქმიანი განწყობით დაიწყო. კოლექტივთან გასაუბრებისას მან სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად კერძო ფერმერებისადმი მხარდაჭერა დაასახელა. „დარგში არსებული რეზერვები სრულად უნდა იქნეს გამოყენებული. ფერმერებისათვის სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული ადამიანებისათვის ნაყოფიერი სამუშაო გარემოს შექმნაში სამინისტროს გადამწყვეტი ფუნქცია ენიჭება“,–აღნიშნა დავით კირვალიძემ.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ სამინისტრო კეთილსინდისიერად უნდა მიუდგეს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას.

სახელმწიფო მინისტრის გიორგი არსენიშვილის განცხადებით, დღეს სოფლის მეურნეობის მიმართ მიდგომა უნდა შეიცვალოს. „თუ რეზერვებს სრულად გამოვიყენებთ, ქვეყანა შეძლებს თავი ამ დარგით ირჩინოს“,–აღნიშნა მან.

საქინფორმი.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

ჩამოდით ავტომანქანებიდან, ბატონებო!

ფეხით სიარული სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის

ასეც ხდება: გონებაში მოხაზულ თუ ჩამოყალიბებულ თემას ზოგჯერ შემთხვევით შემოფეთებული დეტალი დაგინერგავს და თავდაყირა დაგიყენებს. თქვენ შემთხვევა ეძახეთ და მე ყველაფერი (თუნდაც პატარა დეტალი), მაინც ცხოვრების დიდი კანონზომიერება მგონია.

ვბრუნდებოდი გუშინ დღის წესრიგით საკმაოდ დატვირთული მთავრობის სხდომიდან (მთავრობის წევრებმა, საქართველოს პრეზიდენტის თავმჯდომარეობით, ათ მეტად პრობლემურ საკითხზე იმსჯელეს) და მკითხველისათვის სათქმელი გონებაში თითქმის ჩამოყალიბებული მქონდა, მაგრამ არა ისე, როგორც ახლა ვწერ. სამთავრობო თემატიკის სხვაგვარად გაშლა ერთმა, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ ლამის ტრაგედიამდე დასულმა ფაქტმა გადამაწყვეტინა. თუნდაც იმიტომ, რომ იგი იმდენად ახლოს აღმოჩნდა მთავრობის სხდომაზე განხილულ საკითხებთან, ოფიციალური მასალიდან გადახვევა ლოგიკურად მივიჩნიე. სათქმელის დაწყებაც აქედან ვარჩიე.

ხუთსაათიანი სხდომის შემდეგ რედაქციის ბუფეტში შევიარე. ინტელიგენტური გარეგნობის უცხო ქალი მაგიდებს შორის დალასლასებდა. მერე გავიდა. მებუფეტემ იკითხა: ხომ არ იცნობთო, ყველამ იუარა, – პირველად ვხედავთო. ოცდაათი თეთრის „ოსკრი“ მთხოვაო, – გამოტყდა. როცა დავინტერესდი, რატომ არ დაუსხი-მეთქი, – ერთი კოვზი რას ეყოფოდაო?.. გეთქვა და ერთი ულუფისას მე გადავიხდიდიო, – უთხრა ჩვენმა პასუხისმგებელმა მდივანმა...

გარეთ გამოსულმა ის ქალი იქვე მდგარი ვნახე, შორს არ წასულიყო. ვთხოვე, ბუფეტში შებრუნებულიყო, დამთანხმდა. ბონდო მძინარაშვილმა უმასპინძლა.

მე ჩემს სამუშაო მაგიდასთან დავბრუნდი და, როგორც ზემოთ ვთქვი, გონებაში ჩამოყალიბებული მასალის წერას შევუდექი. რამდენიმე ხანში იმ ქალმა ჩემი ოთახის კარი შემოაღო, შედგა, ვიფიქრე, მადლობის სათქმელად მობრუნდა-მეთქი... შევცდი... იგი ჩემი სტუდენტის დედა აღმოჩნდა, რომელიც იმიტომ მოსულიყო, რომ ფილტვებში სისუსტეშეპარული მწოლიარე სტუდენტი შვილისთვის გამოცდაზე შეღავათი ეთხოვა...

ამ ტრაგედიას გმირი, მართლაც არ ჰყავდა...

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 14 ივნისი ქ. თბილისი.

ვ. ლობჟანიძის და ტ. ფოჩხიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო გამომცემლობების საქმიანობის კოორდინაციაში, სახელმწიფო მნიშვნელობის ლიტერატურის გამოცემის პროგრამების დამუშავებასა და ქართველ მწერალთა შემოქმედების პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ:

ვალერიან ლობჟანიძე – საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის სამსახურის თავმჯდომარის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

ტარიელ ფოჩხიძე – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პოლიგრაფსერვისი 97“-ის პრეზიდენტი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 14 ივნისი ქ. თბილისი.

ლ. ლეონიძის და ე. ცივაძის წახალისების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში შეტანილი პირადი წვლილის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის გამოეცხადოთ მადლობა:

ლეილა ლეონიძეს – ხელვაჩაურის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს;

ეთერ ცივაძეს – ბათუმის მერიის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს კულტურის დამსახურებულ მუშაკს.

ე. შევარდნაძე.

კანონმდებლები

ვუერთდებით საერთაშორისო ვალდებულებებს

საქართველო „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმში შეტანილი ცვლილებების ლონდონის, კოპენჰაგენის და მონრეალის ოქმებს შეუერთდა. ამის თაობაზე გადაწყვეტილება ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ 14 ივნისს პლენარულ სხდომაზე მიიღო.

აღსანიშნავია, რომ საქართველო 1996 წლის 21 მარტიდან წარმოადგენს „ოზონის შრის დაცვის“ ვენის 1985 წლის კონვენციის და „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმის მხარეს. რაც შეეხება ამ ოქმში ლონდონის, კოპენჰაგენის და მონრეალის ოქმებით შეტანილ ცვლილებებს, ისინი შესაბამისად 1990, 1992 და 1997 წლებში იქნა მიღებული და მიზნად ისახავენ ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების გამოყენების ოდენობის განსაზღვრის და ოზონის შრის დაცვის მექანიზმების სრულყოფას.

იხ. მე-2 გვ.

პალიტრა



ლევან ჭოღოშვილი, „ჯგუფური პორტრეტი“.

ეკლესია

დღეს მამადავითობაა

ცხოვრება ღირსი მამა დავით გარეჯელისა

(ნაწყვეტი)

ერთხელ, დავით გარეჯელმა წმინდა ქალაქის – იერუსალიმის მოლოცვა გადაწყვიტა. ბერებზე ზრუნვა მან ლუკიანეს დაავალა, ხოლო თვითონ რამდენიმე ძმასთან ერთად წმინდა ქალაქისაკენ გაემართა. როდესაც ბერები მადლის ქედზე ავიდნენ, საიდანაც იერუსალიმი მოჩანდა, წმინდა მამა მიწაზე ქვითინით დავარდა და ადიდებდა ღმერთს, რომელმაც ღირს ჰყო იგი წმინდა ადგილების ხილვისა. მან გადაწყვიტა ქალაქის მხოლოდ შორიდან დანახვით დაკმაყოფილებულიყო: „ხოლო მე არღარა ვიკადრო წაღმართ სლვად და დატკეპნად ფერხითა ჩემითა ადგილთა ამათ, სადა დადგეს ფერხნი შენნი წმიდანი, რამეთუ კმა არს ჩემდა ხილვად ოდენ თუალითა“. ბევრს ევედრნენ ძმები შესულიყვნენ ქალაქში, მაგრამ ამაოდ. მაშინ დატოვეს იგი და თვითონ წავიდნენ. ამგვარი მოკრძალების სანაცვლოდ ღმერთმა მამა დავითს მოხედა და „მიანიჭა მადლი უმეტეს ყოველთა, რომელნი შევლენან იერუსალიმს“. წმინდანმა მხურვალე ლოცვის შემდეგ იმ ადგილიდან სამი ქვა წამოიღო და უკან გამობრუნდა.

იხ. მე-2 გვ.

გიხაროდეს!

ანას, ლიკას, ნინოს, ლუკას მეხუთე ძმაც მიემატა



წულუკიძეების მრავალშვილიან ქართულ ოჯახში დიდი სიხარულია! 7 ივლისს ჩვენი პოლიკლინიკის ექიმ-პედიატრის ლალი თაქთაქიშვილის ქალიშვილს მაიას მეხუთე შვილი შეეძინა. ბიჭს ნიკოლოზი დაარქვეს. მას შინ სამი და იკო: ანა, ლიკა, ნინო და ძმა ლუკა დახვდა. ჩვილის მამა მღვდელმსახური მამა მიქაელია, ჩვენი კოლეგის შვილიშვილს ყურადღებას არ მოვაკლებთ.

ვიცით, ჩვენს სიხარულს გაიზიარებთ, ამიტომაც დაგიკავშირდით. თქვენი გაზეთის ყოველ ნომერში ვკითხულობთ რუბრიკას „გიხაროდეს!“ ჩვილთა მატებაზე, – გვაცნობა თბილისის საბურთალოს რაიონიდან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბავშვთა მე-10 პოლიკლინიკის დირექტორმა **მედეა ზარნაძემ.**

ქალბატონო მედეა, ჩვენც ვუერთდებით თქვენი კოლექტივის სიხარულს და ვულოცავთ წულუკიძეების ოჯახს მეხუთე შვილის შეძენას. ხუთივენი საქართველოს სასახელო შვილებად გაიზარდონ.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ნიკო ლეკიშვილი: „უმრავლესობის დაშლის არანაირი საფრთხე არ არსებობს“

პარლამენტში უკვე ყბადაღებულ თემად იქცა უმრავლესობის თუ ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ შესაძლო დაშლის საკითხი, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს კულუარებში წამდაუწუმ გამოკრთება ხოლმე.

სამშაბათამდე თითქოს ამ მხრივ ვითარება სტაბილური იყო და უკვე უმრავლესობის ერთიანობის განმტკიცებაზე, ასევე შიდაფრაქციული დისციპლინის დამყარებაზე აქტიურად საუბრობდნენ. ანუ როგორც თავად მმართველი ძალის ლიდერები საჯაროდ აცხადებდნენ, უმრაელესობის თუ ფრაქციის შესაძლო დაქუცმაცებაზე საუბრის აღარანაირი საფუძველი არ არსებობდა.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

სდექ!

საბაჟო დეპარტამენტი განაგრძობს ოპერატიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოში შემოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის სრული აღრიცხვა.

გასული დღე–ღამის განმავლობაში გამოვლენილია საბაჟო წესების დარღვევის 17 ფაქტი, იტყობინება საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის პრესსამსახური– დაკავებულია მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, რომლებიც დატვირთული იყო 3 ტონა ბენზინით, 3,3 ტონა ფქვილით, 700 კოლოფი სიგარეტით, აგრეთვე სხვადასხვა საშენი მასალებით. ავტომანქანები გადაყვანილია „ლილო–1“–სა და გორის საბაჟო ტერმინალებში. ყველა ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა.

რომან გოცირიძის აზრით

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე მიიჩნევს, რომ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღების მოთხოვნით, რუსეთს სურს გვაიძულოს, შევუერთდეთ დსთ საბაჟო კავშირს.

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში რომან გოცირიძემ არ გამორიცხა, რომ საბაჟო კავშირს, რომელიც დღეისათვის რუსეთს, ბელარუსს, ყაზახეთს, ყირგიზეთსა და უზბეკეთს აერთიანებს, პერსპექტივაში, კიდევ რიგი სახელმწიფოები შეუერთდება.

ამასთან, საქართველოს ხელმძღვანელობაში არაერთგზის განაცხადეს, რომ ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპებზე ორიენტირებას ამჯობინებს და მხარს უჭერს დსთ ფარგლებში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის იდეას.

იკვლევს სპეციალური კომისია

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სპეციალური კომისია საქართველო-სომხეთის საზღვარზე 12-13 ივნისს მომხდარ ინციდენტს სწავლობს, რომლის დროსაც ახალქალაქის მოსახლეობამ ნინოწმინდაში განლაგებული საქართველოს სასაზღვრო ძალების საგუშაგოს შენობის ნაწილი დაწვა. როგორც პრაიმ-ნიუსს სასაზღვრო ძალების პრესსამსახურში უთხრეს, ორშაბათს სომხეთიდან საქართველოში მომავალ სომეხ მოქალაქეებსა და საზღვარზე არსებულ ვეტსამსახურის წარმომადგენლებს შორის ინციდენტის დროს 70 წლის სომეხ ქალს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რაც შემდგომში ადგილობრივი მოსახლეობის ჩარევით ჩხუბში გადაიზარდა.

ადგილობრივმა მოსახლეობამ სასაზღვრო საგუშაგოს ნაწილი დაწვა და შემდგომში მისი მთლიანად დაწვით იმუქრებოდა.

სამშაბათს, ახალქალაქის გამგეობასთან შეკრებილმა მოსახლეობამ მოითხოვა საზღვარზე არსებული სამსახურების შემცირება, საღამოს კი, მთვრალმა პირებმა ნინოწმინდაში სასაზღვრო საგუშაგოს შლაგბაუმს სატვირთო მანქანა გამოაბეს და მოგლიჯეს.

ამჟამად, ყველა სამსახური მობილიზებულია და მოქმედებას ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძობს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

უკანასკნელ საათს

რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ გუშინ გაავრცელა განცხადება ჰოლდინგ „მედია-მოსტის“ პრეზიდენტის გუსინსკის დაპატიმრებასთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან გამოძიებაზე უპრეცედენტო ზეწოლის შესახებ.

ბორის ბერეზოვსკის თქმით, ვლადიმერ გუსინსკი „თავისივე ფანდების მსხვერპლი გახდა“.

გუშინ რუსეთში აღნიშნეს ბუდიონოვსკის ტრაგედიის ხუთი წლისთავი. ამ ტერორისტული, აქციის დროს, რომელსაც შამილ ბასაევი ხელმძღვანელობდა, 146 კაცი დაიღუპა.

დღეს

ამინდი

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +8+13; დღისით +17+22.
მთაში: ღამით +4+9; დღისით +15+20.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +11+16; დღისით +20+25.
მთაში: ღამით +7+12; დღისით +17+22.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა.
ღამით +14+16; დღისით +22+24.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ფინანსები

ლარის კურსი

14 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გერმანული მარკა	1	0.9567 ლარი
აშშ დოლარი	1	1.9600 ლარი
ევრო	1	1.8710 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0692 ლარი.

ინტერპანორამა

ესპანეთში ოფიციალური ვიზიტის დამთავრების შემდეგ რფ პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი წუხელ ბერლინში ჩავიდა მთავრობათაშორისი მოლაპარაკების მესამე რაუნდში მონაწილეობის მისაღებად.

გუშინ ოფიციალურად გამოცხადდა რუსეთის შსს წარმომადგენლის ჩეჩნეთში, გენერალ გენადი შპიგუნის დაღუპვის შესახებ.

ბუკინგემის სასახლეში პოლიციამ კანაფი იპოვა, იუწყება ბი-ბი-სის სააგენტო. სკოტლანდიარდელი მაძებრების თქმით, მარიხუანა აღმოაჩინეს ინგლისის დედოფლის ელისაბედ მეორის სამზარეულოში.

გუშინ ფხენიანში ხელი მოაწერეს სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის ლიდერების შეხვედრის შემაჯამებელ ხელშეკრულებას.

ციტატა

ნევზოროვი აღიარებს

– მინდა გითხრათ, რომ თავის დროზე ჩეჩნებით ვიყავი ავად, აღფრთოვანებული ვიყავი მათით.

– **„თავის დროზე“ როდის იყო?**

– აფხაზეთის ომის დროს. მაშინ ისინი არაჩვეულებრივად მამაცურად იბრძოდნენ, როგორც მეომრები, ჩემი აზრით, შეუდარებელნი იყვნენ...

– **შემდგომმა მოვლენებმა აზრი შეგაცვლევინათ?**

– აზრს არასოდეს ვიცვლი. მე ისინი მძულან. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მე არ ვაფასებ მათს ფსიქოლოგიურ, ემოციურ, ინტელექტუალურ და საბრძოლო უნარს.

(„ოგონიოკი“ №20, 2000 წლის ივნისი. „600 ვარსკვლავი ფიუზელაჟზე“).

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– მყავს ბავშვობიდან პირველი ჯგუფის ინვალიდი შვილი, მომვლელის საჭიროების სტატუსით.

გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შეღავათები ეკუთვნის კომუნალური მომსახურების მხრივ და საერთოდ?

კოტე მიქაძე.

– მოქმედი კანონის თანახმად, ბავშვობიდან პირველი ჯგუფის ინვალიდები მხოლოდ სასმელი წყლის ღირებულების გადასახადისაგან თავისუფლდებიან, აგრეთვე, მათ ეკუთვნით თვეში 5 ლარი მგზავრობისათვის.

ირინე ლლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 159. ხუთშაბათი, 15 ივნისი, 2000 წელი.

პრეზიდენტი

ოლივიე კამპი: „ჩვენს თანამშრომლობას კარგი მომავალი აქვს“

(პირველი გვერდიდან)

დახმარებას გაუწევს საქართველოში ნავთობის სექტორს, კერძოდ, ხელს შეუწყობს „ფრონტერა რესორსის“ მიერ ნავთობის მოპოვების სამუშაოებს. ბანკი აპირებს აგრეთვე ფოთის ნავსადგურის განვითარების პროექტის განხორციელებას, სერიოზულ ინვესტიციას ჩადებს ახალი ფინანსური ინსტიტუტის — მიკროსაფინანსო ბანკის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

ოლივიე კამპის განცხადებით, ევრობანკი სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხორციელებაშიც მიიღებს მონაწილეობას. დასაქმების პროექტის რეალიზებასთან ერთად პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭება საქართველოში ინფრასტრუქტურისა და კერძო სექტორის განვითარებას, საინვესტიციო კლიმატის შექმნას.

— ჩვენს თანამშრომლობას კარგი მომავალი აქვს. გასულ წელს საქართველოს მძიმე ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, ჩვენ პრობლემების უმტკივნეულოდ გადაწყვეტა და უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელება შევძელით, — განაცხადა ოლივიე კამპმა, — ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოში გრძელვადიანი პროგრამით მუშაობს და ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა სოლიდური წვლილი შევიტანოთ ეკონომიკური რეფორმის წინსვლაში. საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა სტუმარს მხარდაჭერისათვის. „რეფორმების განხორციელებაში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ძალზე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. თქვენი მხარდაჭერისა და თანადგომის გარეშე რეფორმირების პროცესი გართულდებოდა“, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

* * *

იმავე დღეს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რეგიონულ დირექტორს შეხვდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

2000 წლის 14 ივნისი ქ. თბილისი

შ. ქევხიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს გამოვლენილი მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციისათვის, საინგილოს ქართველი ეროვნების მოსახლეობას შორის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ინგილოთა საშეფო საბჭოს წევრი **შალვა ქევხიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

კანონმდებლები

ვუერთდებით საერთაშორისო ვალდებულებებს

(პირველი გვერდიდან)

როგორც პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ კახა ჩიტაიამ განაცხადა, ეს ცვლილებები არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ამასთანავე მათთან შეერთება ხელს შეუწყობს „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების ეფექტიანობის ზრდას. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ცვლილებებთან შეერთება საქართველოსათვის რაიმე დამატებით ფინანსურ ვალდებულებას არ გულისხმობს. ამასთან იგი საქართველოსთვის ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი, გარემოს დაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო შემცვლელებისა და მათთან დაკავშირებული ტექნოლოგიების მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში გადაცემას ითვალისწინებს.

* * *

საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მოახდინა საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარების შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია. დოკუმენტი, რომელიც 1999 წლის 10 მაისსაა თბილისში ხელმოწერილი, სხდომაზე განსახილველად საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ წარმოადგინა. როგორც მან აღნიშნა, ეს შეთანხმება გააადვილებს ადგილმდებარეობის ქვეყანაში ხელშეკრულების მონაწილე მეორე ქვეყნის მოქალაქეთა მონაწილეობას სამართალწარმოებაში, გაათავისუფლებს მათ სამართლებრივი დახმარების ხარჯებისაგან, ხელს შეუწყობს სამართალდამცავი ორგანოების მჭიდრო თანამშრომლობას, უზრუნველყოფს მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლას, დამნაშავეთა ექსტრადაციისა და სამართლებრივი დახმარების სხვა შესაბამისი პროცედურების ჩათვლით. საგულისხმოა, რომ მხარეებს შეუძლიათ უარი განაცხადონ სამართლებრივი დახმარების გაწევაზე, თუკი საქმე ეხება ქვეყნის სუვერენიტეტს, უშიშროებას, საჯარო წესრიგს ან სხვა ძირითად ინტერესებს, მიზნად ისახავს სისხლის სამართლებრივ დევნას სამხედრო თუ პოლიტიკური დანაშაულისათვის. შეთანხმების თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ „ვალდებულებას ცნონ და აღასრულონ“ ერთმანეთის სასამართლო გადაწყვეტილებანი, „რომლებიც ექვემდებარება აღსრულებას ამ მხარის კანონმდებლობის საფუძველზე“, მათ შორის დადგენილებანი და საბოლოო გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, სისხლის სამართლის საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებანი ზარალის ანაზღაურებისა და ქონების რესტიტუციასთან დაკავშირებით.

შეთანხმების რატიფიკაციას 143-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი არავინ ყოფილა.

საქინფორმი.

ნიკო ლეკიშვილი: „უმრავლესობის დაშლის არანაირი საფრთხე არ არსებობს“

(პირველი გვერდიდან)

თუმცა გუშინ უმრავლესობის ერთიანობის თემა კვლავ წამოიჭრა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა მმართველი ფრაქციის ლიდერთა ინიციატივას, ანუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ჯიმი ყიფიანისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.

და კვლავ გაჩნდა ეჭვი — ხომ არ გამოიწვევს პარლამენტის ეს გადაწყვეტილება უმრავლესობაში ახალ გაუგებრობას?

ამ საკითხზე კომენტარი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს ნიკო ლეკიშვილს ვთხოვეთ:

— უმრავლესობა არ იშლება! უმრავლესობა რამდენიმე ფრაქციისაგან შედგება. მათგან ერთ-ერთი „აფხაზეთის ფრაქცია“ გავიდა უმრავლესობის შემადგენლობიდან. რაც ჩვენს ირგვლივ ატეხილ სხვა მითქმა-მოთქმას შეეხება, ეს შიდა ფრაქციულ დისციპლინას უკავშირდება და მას უმრავლესობასთან არანაირი კავშირი არა აქვს. დაშლას სულაც არ ნიშნავს, როცა უმრავლესობაში რამდენიმე კაცი ზოგი ერთ ფრაქციაში გადადის და ზოგიც — მეორეში. დაშლა ის იქნება, როცა, მაგალითად, უმრავლესობა რაოდენობრივად მართლა უმრავლესობაში არ იქნება.

აი, რაც შეეხება თვით ფრაქციაში არსებულ ვითარებას, ეს მე სულაც არ მეხება. მას თავისი ხელმძღვანელობა ჰყავს და შიდა დისციპლინაზე ისინი იზრუნებენ. არსებობს ფრაქციის საბჭო, ისევე, როგორც არსებობს უმრავლესობის საბჭო, სადაც ფრაქციის ხელმძღვანელები არიან გაერთიანებული. ამიტომაც ყველა თავის კონკრეტულ უბანზე აგებს პასუხს.

პარლამენტის გუშინდელი გადაწყვეტილება კი უზენაესი სასამართლოს წევრის ჯიმი ყიფიანისათვის უფლებამოსილების შეუწყვეტლობის შესახებ, ჩემთვის მართლაც მიუღებელია. ამით პარლამენტმა თავისი თავი კანონზე მაღლა დააყენა. თანაც, როგორ შეიძლება, როცა გუშინდელ სხდომაზე ანალოგიურ სიტუაციაში უზენაესი სასამართლოს სხვა წევრს უფლებამოსილება შეუწყვიტეს, ხოლო ყიფიანს — არა.

ესაუბრა
ბექა ჭედია.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

ჩამოდით ავტომანქანებიდან, ბატონებო!

ფეხით სიარული სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის

(პირველი გვერდიდან)

მთავრობის გუშინდელი სხდომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და უმთავრესი საკითხიც „საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის შემუშავების ორგანიზაციულ ღონისძიებათა ხელშეწყობის შესახებ“ ინფორმაციის მოსმენა იყო.

— ან უნდა გადავწყვიტოთ ეს პრობლემა, ან უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ მუდმივი საფრთხის წინაშე იქნება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, სახელმწიფოს ყოფნაარყოფნის საკითხი, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, რომლის საპრეზიდენტო პროგრამაში უპირველეს საკითხად სწორედ სიღარიბის დაძლევისა და სიღატაკის აღმოფხვრის საკითხი დგას. იგი ამ პრობლემის დასაძლევად აუცილებლად მიიჩნევს მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას და საამისოდ ისეთი პროგრამის შემუშავებას, რომლის განხორციელებასაც ხელს შეუწყობენ საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები და რომლის მიზანი იქნება: ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, შესაბამისად მოსახლეობის ულარიბესი ფენის მიერ ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის შედეგების სარგებლობა, აგრეთვე, სოციალურად დაუცველი ჯგუფების ხელშეწყობა. ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთ უმთავრეს პირობად ედუარდ შევარდნაძე, ასევე, საქართველოს ბიუჯეტის შესრულებას მიიჩნევს და მთელი კატეგორიულობით აცხადებს, რომ ამ საქმეში ღალატს არავის აპატიებს, ვინც და რა რანგის პიროვნებაც უნდა იყოს იგი.

— ივნისის შემოსავლების გეგმა რომ არ შესრულდეს, სჯობს, ამ დარბაზში ერთმანეთს არ შევხედეთ და ეს ყველას ერთნაირად გვეხება. თუ შევასრულეთ და სტაბილურად წავედით, ეს იმას ნიშნავს, რომ შემოდგომაზე სავალუტო ფონდი პროგრამას განაახლებს, ეს კი 100-150 მილიონი დოლარია, რაც, ფაქტობრივად, კრიზისიდან გამოსვლას ნიშნავს. ამიტომაც არც ერთ ჩვენგანს ბიუჯეტისადმი გულგრილობის უფლება არა აქვს, — აი, ასე განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გუშინდელ სხდომაზე, რომელიც არამც და არამც არ გაედა მორიგ გაბრაზებას — ამის იქით უკვე მკაცრად დასმული წერტილი ჩანდა.

ჩვენი ქვეყნის ესოდენ შეჭირვებული მდგომარეობისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე იყო საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის ინიციატივით შემოტანილი საკითხი „სამსახურებრივი სარგებლობის მსუბუქი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“.

ითქვა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს ბიუჯეტზე მყოფ სამინისტროებსა და უწყებებში შეინიშნება სამსახურებრივი სარგებლობის მსუბუქი ავტომანქანების როგორც რაოდენობის, ისე მათ შესანახად გაწეული ხარჯების ზრდის ტენდენცია. ჩვენს ქვეყანას კი დღეს ასეთი ფუფუნების არც უფლება და არც საშუალება არა აქვს. ამიტომაც, ამგვარი მანქანების გამოყენების, დაფინანსების სრულყოფისა და მათი რაოდენობისა და შესანახი ხარჯების შემცირების მიზნით წესდება იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომელთაც სამსახურებრივი სარგებლობისთვის მოემსახურება პერსონალური მსუბუქი ავტომანქანები.

ჩამოითვალა კიდეც ეს უწყებები, რასაც მოჰყვა მინისტრების (ზოგიერთის) შესაბამისი რეაქცია, რა თქმა უნდა, არგუმენტებით, თუ ვის და რატომ სჭირდება, ან რამდენი უნდა ჰყავდეს ავტომანქანა.

— სამოცი მანქანა რომ მოითხოვოთ, დარწმუნებული ვარ, სამოციევე გექნებათ საჭიროებისათვის დასაბუთებული არგუმენტი, მაგრამ ჯიბეშიც ხომ უნდა ჩავიხედოთ რა გვაქვს? იმისათვის, რომ არ მოხდეს დაცული მუხლების შეკვეცა, ხარჯების შემცირება უნდა დაიწყოს, თქვა სახელმწიფო მინისტრმა გია არსენიშვილმა.

„ფეხი იქამდე გაჭიმე, სადამდისაც საბანი გაგწვდებაო“. გაწვდენას ვინ ჩივის, მოსახლეობის უმეტეს ნაწილს საბანიც კი აღარ შერჩა... ზოგი კი იმაზე დაობს, ვის რამდენი მანქანა დარჩეს, რომ საქმეს უკეთ მიხედოს. თუ გული გულობსო, ესეც ხომ ქართველ კაცს უთქვამს, ბატონებო?! აქამდე თუ სახელმწიფოს ხარჯზე ლაჩრიალებდით(?) იმიტომ არის, რომ გადაგვედის ცხოვრება თავს?

დღეს, როდესაც ბიუჯეტში დაცული მუხლების რაოდენობა 85 პროცენტია და ამ დროს შემოსავლების ზრდა 65 პროცენტს არ აღემატება, რის გამოც დაცული მუხლების გასწორება ვერა და ვერ ხერხდება, სოციალური მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარამდეა, ფინანსთა ახალი მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი სხვა გამოსავალს ვერ ხედავს: იგი პრინციპულად დგას თავის პოზიციაზე და ხმამაღლა აცხადებს, რომ ეს ღონისძიება არ არის ხარჯების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული ერთადერთი გადაწყვეტილება. იგი მალე სხვა ღონისძიებების თაობაზეც წარმოადგენს გადაწყვეტილებებს, რათა ქვეყანამ შეძლოს საბიუჯეტო კრიზისის მოგვარება და 2001 წლიდან მაინც შევძლოთ ისეთი ბიუჯეტის მიღება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, არა მარტო დროულად გავასწოროთ ხარჯები, არამედ ეფექტიანად ვაკონტროლოთ კიდეც.

საქართველოს პრეზიდენტი კი სთხოვს საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელებსა და იმ სტრუქტურებს, რომლებიც პარლამენტს უკავშირდება, რომ ასევე მკაცრად, სერიოზულად და პრინციპულად მოეკიდონ ამ საქმეს.

— პარლამენტი ამ თვალსაზრისით, საკმაოდ კარგად ცხოვრობს. მოვა დრო, ალბათ, ყველა დეპუტატს ეყოლება მანქანა, ახლა კი ამის საშუალება არ არის. ის კი არა და, კომიტეტებსაც, ალბათ, ძალიან საეჭვოა, დარჩეს. ეროვნულ ბანკშიც უნდა ნახონ, რისი შემცირება შეიძლება, კონტროლის პალატამ და სხვა სტრუქტურებმა, რომლებიც ჩამონათვალში არ არის შეტანილი, — ასე განაცხადა ამ საკითხის შეჯამებისას ედუარდ შევარდნაძემ, რომელსაც ამ საუკუნის ბოლოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის ფეხით სიარული სასარგებლოდ მიაჩნია და თანაგუნდელებსაც ამას ურჩევს. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ნამდვილად არ ხუმრობს პრეზიდენტი.

ღრმად და საფუძვლიანად იმსჯელეს მთავრობის წევრებმა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს დებულების პროექტის ირგვლივ.

სრულიად არაორდინალურს უწოდებს ამ სამინისტროს შექმნის გადაწყვეტილებას საქართველოს პრეზიდენტი, რომლის გამართულ და ეფექტიან მუშაობას დიდად უკავშირებს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას. ამიტომაც უდიდეს პასუხისმგებლობასაც აკისრებს მის ხელმძღვანელს მიხეილ მაჭავარიანს.

როგორც სხდომაზე ითქვა, დებულების თანახმად საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ძირითად ფუნქციას საგადასახადო და საბაჟო ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია და მათ საქმიანობაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელება, აგრეთვე საბაჟო და საგადასახადო ორგანოების სისტემის რეფორმირება წარმოადგენს. საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრომ ამ მიმართულებით უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები, კერძოდ, მიმდინარე წლის 8 მარტს ხელი მოეწერა მემორანდუმს საქართველოს მთავრობასა და აშშ მთავრობას შორის, რომლითაც დამტკიცდა საგადასახადო სისტემის რეფორმის გეგმა და განისაზღვრა კონკრეტული ღონისძიებები. აღნიშნული მემორანდუმით სათავე დაედო საგადასახადო და საბაჟო ორგანოების რეფორმირებას, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში უნდა განხორციელდეს, რასაც ავალდებულებთ კიდევაც ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

სამინისტროს სისტემაში ცენტრალური აპარატის გარდა მედიან საბაჟო ორგანოები (საბაჟო დეპარტამენტი, რეგიონული საბაჟოები, საბაჟო საგუშაგოები, საბაჟო გამშვები პუნქტები), საგადასახადო ორგანოები (საგადასახადო დეპარტამენტი, მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია, საოლქო ინსპექციები, ზონალური ინსპექციები, რაიონული ინსპექციები), გენერალური ინსპექცია, ფინანსური გვარდია. ამათგან საბაჟო დეპარტამენტი, საგადასახადო დეპარტამენტი, აქციზური მარკების სამსახური და ფინანსური გვარდია წარმოადგენს „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად შექმნილ საქვეუწყებო დაწესებულებებს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საგადასახადო ინსპექციები და საბაჟო სამართველოები, საოლქო, ზონალური და რაიონული ინსპექციები, მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია, აგრეთვე რეგიონული საბაჟოები, საბაჟო საგუშაგოები და საბაჟო გამშვები პუნქტები — ტერიტორიულ ორგანოებს. სხდომაზე დაწვრილებით ითქვა იმ სიახლეების შესახებ, რასაც სამინისტროს დებულების წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს.

— ეს სამინისტრო ქვეყანაში არსებული საგანგებო, კრიზისული ვითარებიდან გამომდინარე შეიქმნა, და მას შესაბამისი ფუნქცია, ატრიბუტები და ბერკეტებიც უნდა ჰქონდეს, რათა რეალური ზეგავლენა მოახდინოს იმ ვითარებაზე, რის გამოსასწორებლადაც ჩამოყალიბდა, — თქვა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელსაც მიაჩნია, რომ შეიძლება წარმოდგენილ დებულებაში ზოგიერთი რამ გაუგებარი იყოს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რატომ შეიქმნა ეს სამინისტრო.

სადავოდ მიიჩნევს ოპერატიული სამსახურების აბსოლუტურ ცენტრალიზაციას. აღნიშნავს, რომ იგი კარგა ხანია ლაპარაკობს იმის თაობაზე, რომ ოპერატიულმა სამსახურებმა უნდა დაიკავონ თავიანთი ადგილი, რომ საგზაო პოლიცია არ უნდა დასდევდეს უაქციზო და გაუფორმებელ ტვირთებს. ამიტომაც მიემხრო იგი მძლავრი სამსახურის შექმნას, და არა აქვს მნიშვნელობა რა ერქმევა „ფინანსური გვარდია“ თუ სხვა რამ, რადგან საქმე სახელწოდება კი არ არის, არამედ ის, თუ რა უფლებები ექნება და როგორ იქნება მატერიალურ-ფინანსურად ეს სამსახური უზრუნველყოფილი.

საქართველოს პრეზიდენტს საბაჟო სამსახურის აბსოლუტური განიარაღებაც დაუშვებლად მიაჩნია.

— როგორი მძლავრი სამსახურიც უნდა შეიქმნას ცენტრალურ უწყებაში, მებაჟე განიარაღებული არ უნდა იყოს. უნდა გამოიძებნოს ისეთი საშუალო გადაწყვეტილება, რომ საბაჟო დეპარტამენტი, როგორც საგადასახადო შემოსავლების, ისე ქვეყნის წინაშე იყოს პასუხისმგებელი, — ასეთია საქართველოს პრეზიდენტის მოსაზრება, რომელიც ასევე საფიქრალად მიიჩნევს ადგილობრივი სტრუქტურების როლსა და ადგილს ამ სისტემაში.

სულ ეს იყო-მეთქი, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, სხდომამ ათივე საკითხი საფუძვლიანად განიხილა და კარგა ხანსაც გასტანა, რომლის ლაიტმოტივი, საბოლოო ანგარიშით, მაინც ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე ჩვენი დღევანდელი გაუსაძლისი ყოფის დაძლევისათვის გამოძებნილ გზებზე სწორი ნაბიჯებით სიარულზე მსჯელობა იყო.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

კადრები

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

2000 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

დ.კირვალიძის საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **დავით კირვალიძე** საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრად.

ე. შევარდნაძე.

დავით კირვალიძე

დაიბადა 1967 წელს ქ. თბილისში. 1989 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის სპეციალობით. 1993 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1990 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში ნიადაგმცოდნეობის კათედრის ჯერ სტაჟიორ-მაძიებლად, შემდეგ უფროს ლაბორანტად, ასისტენტად, ხოლო 1997 წლიდან დღემდე არის ამავე კათედრის დოცენტი.

1993 წლიდან 1998 წლამდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და აგრობიზნესის ინსტიტუტის — საერთაშორისო ცენტრის დოცენტად. პარალელურად 1996-1999 წლებში იყო საქართველოს კერძო ფერმერთა დახმარების ფონდის დირექტორის მოადგილე განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში.

1999 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად, არის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

გამოქვეყნებული აქვს 17 სამეცნიერო ნაშრომი. არჩეულია ნიუ-იორკის აკადემიის წევრად. არის ნიადაგმცოდნეთა საერთაშორისო საზოგადოების წევრი.

ფლობს რუსულ, ინგლისურ ენებს.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

2000 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი

გ.ისაკაძის საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გიორგი ისაკაძე საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსად.

ე. შევარდნაძე.

გიორგი ისაკაძე

დაიბადა ქ. თბილისში 1975 წელს. თბილისის 51-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1992 წელს ჩააბარა გამოცდები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1997 წელს.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს საფონდო-საპრივატიზაციო ბირჟაზე, გაზეთ „გულანის“ ეკონომიკის განყოფილების გამგედ, გაზეთ „გულანის“ დამატების „ბანკები და ფინანსების“ რედაქტორად, სატელევიზიო ანალიტიკური პროგრამა „საქმის“ ავტორად და წამყვანად (საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი), საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ სფეროში რეფორმების ხელშეწყობის განყოფილების სახელმწიფო მრჩევლად, რეფერენტად, საქართველოს გადასახადის გადამხდელთა კავშირის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საბჭოს თავმჯდომარედ. სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელმძღვანელად დანიშვნამდე გიორგი ისაკაძე მუშაობდა ჯერ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თანაშემწედ, ხოლო შემდეგ ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრის აპარატის უფროსად.

გიორგი ისაკაძე არის საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ეკლესია

დღეს მამადავითობაა

(პირველი გვერდიდან)

იმ ღამეს იერუსალიმის პატრიარქს ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ მამა დავით მადლის ქედიდან სამი ქვა მიჰქონდა და თან იერუსალიმის მთელი მადლი მიჰყვებოდა. ანგელოზისავე ბრძანებით წმინდანს დაედევნენ და ორი ქვის უკან მიცემა სთხოვეს.

მამა დავითს თავდაპირველად შეშინდა, მაგრამ შემდეგ ღმერთს მადლობა შესწირა, რომელმაც ამგვარი წყალობის ღირსი გახადა და ქვები მისცა. მალემსრბოლნი მას სთხოვდნენ იერუსალიმის პატრიარქთან შესახვედრად უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ როცა ვერას გახდნენ „ამბორ-უყვეს და განუტევეს იგი“.

უდაბნოში დაბრუნებულ მოძღვარს ძმები სიხარულით შეეგებნენ. დროდადრო მწყემსი კეთილი განმარტოებულ სენაკებში მცხოვრებ ბერებთან მიდიოდა ნუგეშის საცემად და გასამხნევებლად. როცა ერთხელ ერთი მათგანი მოინახულა, შეიტყო, რომ კლდიდან, რომლის ძირსაც ბერი მკვიდრობდა, მწარე წყალი მოწვეთავდა, რომელიც იქ ამოსულ მხალსაც ამწარებდა. ბერი თავს იმითინუგეშებდა, რომ „სატანჯველნი ჯოჯოხეთისანი“ ფრიად უმწარეს არიან და აქ დათმენა სჯობს იქ მარადიულ განჯას. წმინდა დავითს იგი შეეწყალა და უფალს შეევედრა დაეტკბო წყალი. მართლაც, როცა მან საწყაული წყლით აღავსო და ჯვარი გადასახა, იგი ყოველთა წყალთა უტკბესი აღმოჩნდა. ამგვარ სასწაულებს მამა დავითი ხშირად სჩადიოდა და „განჰკურნებდა ყოველსა უძლურებასა კაცთასა“. მისი ბრძანებით აღეშენა უდაბნო წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელზე.

რამდენიმე ხნის შემდეგ ღირსსა და სანატრელ დავითს უფლის მიერ ეუწყა, რომ მალე ზეციურ სავანეში განისვენებდა. კეთილმა მწყემსმა უდაბნოში მცხოვრები ბერები მოიხმო და უკანასკნელად ლამოძღვრა ისინი: „თქვენ ნუ მეძრწუნდებით, არამედ განმტკიცდით და განძლიერდით და დაუცხრომელად ევედრებოდით ღმერთსა სულთა თქუენთა ცხოვრებისათვის“. იგი უფლის წმინდა სისხლსა და ხორცს ეზიარა და მადლობის შემწირველმა ღმერთს თავისი სული შეავედრა. უფალმა იესო ქრისტემ სიკვდილის შემდეგაც ადიდა მისი მსახური, ვინც წმინდანის ცხედარს ემთხვია, ყველა განიკურნა, მათ შორის ერთი დაბადებიდან ბრმა იყო.

მამა დავითის გვამი ეკლესიაში მშვენიერ ლუსკუმაში დაკრძალეს, რომლისგანაც საამო სურნელება იფრქვეოდა და ყველას, ვინც სარწმუნოებით მიეახლებოდა, კურნავდა.

დღესაც, ვინც ღირსი და საკვირველთმოქმედი მამა დავით გარეჯელის საფლავსა და მის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი მადლის ქვას რწმენით სცემს თაყვანს, სულიერი და ხორციელი ტკივილისაგან იკურნება.

გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მეოთხე გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში „სამშობლოდან შორს, სამშობლოზე ფიქრით“ გაიპარა უნებლიე, მაგრამ დასანანი უზუსტობა — ნანა დავითულიანის ნაცვლად მოხსენიებულია ნანა გოლეთიანი.

ავტორი და რედაქცია ბოდიშს უხდიან ქალბატონ ნანას და გაზეთის მკითხველებს.

მილოცვა

აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის დაბადების ოთხმოცი წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მონაწილეებს

ქალბატონებო და ბატონებო,

ვსარგებლობ ამ სასიამოვნო შემთხვევით და ცნობილი ქართველი ფსიქიატრის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის დაბადების ოთხმოცი წლისთავის გამო შეკრებილ მედიკოსებს მოგმართავთ მადლობის სიტყვებით არა მხოლოდ იმიტომ, რომ გაიხსენეთ თქვენი დიდი კოლეგა, რომელიც სამაგალითო იყო ყოველი თქვენგანისათვის, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სესიით პატივს მიაგებთ ქართული ფსიქიატრიული სკოლის დიდ მემკვიდრეობას, არამედ იმიტომაც, რომ უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, არ დაგიკარგავთ სულით ავადმყოფთა მკურნალობის, მოვლა-პატრონობისა და თანადგომის ის ჰუმანური ტრადიცია, რომელიც ქართული ფსიქიატრიული სკოლისთვის იყო დამახასიათებელი ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას.

ეს დამოკიდებულებანი მარტო ჩვენს დროში კი არა, საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა და ჩვენმა ისტორიამ იცის ამ დიდ მკურნალთა სახელები. სწორედ ამ ტრადიციებზე ჩამოყალიბდა თანამედროვე ქართული ფსიქიატრიული სკოლა, რომლის ხასიათიც მიხეილ ასათიანმა და ავლიპ ზურაბაშვილმა განსაზღვრეს.

ბატონი ბიძინა ქართველ ფსიქიატრთა სწორედ ამ სკოლას წარმოადგენდა თავისი ცოდნითა და გარჯით, ოჯახიშვილობით, ინტელიგენტობითა და პატიოსნებით.

მახსოვს რა თავგამოდებით ეძებდა იგი სიმართლეს 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის გამოძიების დროს, როგორ იყო სამთავრობო კომისიის წევრი, მახსოვს მისი ბრძოლა ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, მაგრამ უფრო მეტად მახსოვს მისი მუდმივი მზადყოფნა ადამიანის, სულით ავადმყოფის დასახმარებლად და საშველად. ბატონი ბიძინა, როგორც მკურნალი, მეცნიერი თუ პედაგოგი, თავის თავში აერთიანებდა ყველა იმ საუკეთესო თვისებას, რაც, ჩემი აზრით, ახასიათებდათ ქართველი მედიკოსების სამაგალითო წარმომადგენლებს, უაღრესად განათლებულებსა და მოყვასისათვის თავდადებულ ადამიანებს. ამდენად, მისი გახსენება მხოლოდ პიროვნების გახსენება კი არ არის, არამედ იმ ფასეულობათა გახსენება და მხარდაჭერაა, რომლის გარეშე ექიმობაც და ცხოვრებაც დაკარგავს თავის აზრს.

გისურვებთ ყოველივე კარგს თქვენს ძნელ საქმიანობაში.

არასოდეს მოგკლებოდეთ დიდი წინაპრების აჩრდილთა მხარდაჭერა.

პატივისცემით,
ედუარდ შევარდნაძე.

კიდევ ერთი „ბოინგი“

ქართული ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ ავიაპარკს საერთაშორისო სტანდარტის კიდევ ერთი, რიგით მეორე „ბოინგის“ ტიპის თვითმფრინავი შეემატა. 14 ივნისს, საღამოს 6 საათზე თბილისის აეროპორტში 112-ადგილიანი საჰაერო ხომალდი დაეშვა, რომელსაც უკვე ქართული ეკიპაჟი მართავდა.

როგორც ჟურნალისტებს საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გია ნიჟარაძემ განუცხადა, საქართველოს ავიახაზების რეისების ბოინგის ტიპის თვითმფრინავებით მომსახურება საერთაშორისო საჰაერო სისტემისა და აეროპორტთა მოთხოვნა იყო. ამიერიდან, საქართველოს ავიაკომპანიას ძველი რეისების სრულფასოვნად განხორციელება და ახალი რეისების ათვისების შესაძლებლობა მიეცემა.

უდავოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის განვითარების საქმეში მსგავსი პროექტების განხორციელება, რადგანაც თანამედროვე ბოინგებით მომსახურება კომფორტულობასთან ერთად ეკონომიკურადაც ბევრად უფრო გამართლებულია, — განაცხადა „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ გაიაშვილმა.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 159. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 2000 ᲬᲔᲚᲘ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ

ოცდამეერთე — ადამიანის კულტის საუკუნე

ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲠᲐᲛᲔᲐ ᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ!...

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲕᲐᲠᲘ კრიზისი გვიტევს: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული. ყოველგვარი კრიზისის სათავე ადამიანია, ადამიანურობის კრიზისი მისი სულის კრიზისით იწყება. ეს არის გლობალური კრიზისი, რომელმაც ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა.

სულიერებისაგან დაცლილ ინტელექტუალიზმს გულისხმობდა, ალბათ, დიდი ილია, როდესაც წერდა: ისევ გონებაგანუვითარებელი და ზნე-ხასიათით გაწვრთნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათით გაუწვრთნელიო.

დღეს ბევრი წინასწარმეტყველებაა იმის შესახებ, რომ თანამედროვე ადამიანი განწირულია, რომ მალე დადგება მისი გენეტიკური და ზნეობრივი გადაგვარების ჟამი. ვადებიც გათვლილია: ი. ბესტუჟევ-ლადას გამონაგარიშებით, დაახლოებით 60 წელიწადი, ე. ი. დაახლოებით XXI საუკუნის შუა პერიოდი.

რა გადაგვარჩენს?

„თვით ადამიანი გახდა ჩვენი უდიდესი საშიშროება... ისევ ადამიანია ჩვენი ერთადერთი იმედი“ (ჯ. სტეინბეკი).

ოღონდ, ადამიანი უნდა იყოს არა მარტო გონიერი, არამედ ჰუმანურიც.

ქართველებმა უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი ერის „ცნობიერებაში კატასტროფა მზადდება“ იმის გამო, რომ წიგნი თითქმის ამოვიღეთ ჩვენი ყოველდღიურობიდან და როგორც ა. შვეიცერი ამბობს, თანამედროვე სკოლაში ჰუმანიზმი ყველაზე შორეულ კუთხეშია მიკუნჭული. სწორედ ამის გამოა, რომ ბევრი ჩვენგანი ვერ აცნობიერებს თავის თავს და თუ დავეთანხმებით ა. კამიუს, ჩვენ ჯერ არც კი დავბადებულვართ. გონების შერწყმა ჰუმანურობასთან — მხოლოდ და მხოლოდ ეს გადაგვარჩენს. მაშასადამე, კეთილი გონება, სიბრძნე, რომელიც უფრო ფართო და ღრმაა, ვიდრე უბრალოდ ცოდნა.

რა ვქნათ?

აუცილებელია ერის ჯანსაღი ზნეობრივი ენერგიის მოკრება, ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და სტრუქტურული გარდაქმნის ტენდენციების მკაფიოდ განსაზღვრა, საზოგადოების სულიერად ამაღლება.

რისხვის ზარები ჩამოვკრათ საზოგადოების სულიერი კატასტროფის გამო, ქართველი ინტელიგენცია გადავაქციოთ ინტელექტუალურ ძალად, ხელი შევუწყოთ დარღვეული ეროვნული ცნობიერების გამთლიანებას.

უწინარესად, ავამაღლოთ ადამიანი. საზოგადოება წინ ვერ წაიწევს უადამიანოდ. ადამიანი მთავარი ფიგურა და ფაქტორია, რომელიც ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესზე ახდენს ზეგავლენას, მაგრამ თვითვეა ამ პროგრესის უმაღლესი მიზანი.

> აუცილებელია ერის ჯანსაღი ზნეობრივი ენერგიის მოკრება, ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და სტრუქტურული გარდაქმნის ტენდენციების მკაფიოდ განსაზღვრა, საზოგადოების სულიერად ამაღლება

ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ ორი რამისთვის: ჯერ ერთი, შენი სამეუფო და კანონმდებელი გონების რჩევით, მხოლოდ კაცთა სასიკეთოდ იღვწოდე, და, მეორეც, შეგეძლოს შეიცვალო შეხედულება, თუკი ვინმე დაგანახებს და დაგიმტკიცებს შენი შეხედულების მცდარობას. მაგრამ ამის საბაბი უნდა იყოს რაიმე დიდი და ნათელი, როგორც, მაგალითად, სამართლიანობის, საზოგადო სიკეთისა და სხვა ასეთისათვის ზრუნვა და არა ის, რაც სასიამოვნოდ გიჩანს და დიდებას გიქადის.

ბ-ნი მ. კვესელავა თავის წიგნში „ას ერგასის დღე“ წერს: ადამიანებს, რომლებიც იყურებიან, მაგრამ ვერაფერს ხედავენ, გოეთე უწოდებდა „ბრმებს გახელილი თვალებით“... ნამდვილი ხედვისათვის ე. წ. „ხორციელი ხედვა“ არ კმარა. აქ სხვა თვალებია საჭირო — გულის თვალები... „უნივთო ხედვისათვის“ უკვე არა მარტო გულის, არამედ სულის თვალებიცაა საჭირო... რასაც გულის თვალები იგრძნობენ და სულის თვალები წარმოადგენენ, სახეთა ფორმებში გამოიხატება. რისთვისაც არა მარტო სულის ან გულის, არამედ **გონების თვალიცაა** საჭირო... და მასთან ერთად — „გონიერებაც გულისა“... „წარმართე გონება გულისა შენისა“, — ამბობს ბრძენი სოლომონი.

ადამიანის პიროვნებას ვერ შევიცნობთ, თუ მას მთლიანად არ განვიხილავთ.

ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაცია და ჰუმანიზაცია ვარაუდობს ადამიანის ჩართვას პოლიტიკურ, სოციალურ, სულიერ, საწარმოო და სხვა პროცესებში. ამასთან ერთად, პიროვნული თავისებურება და სოციალური აქტიურობა ჰარმონიზებული უნდა იყოს და სრულიადაც არ უპირისპირდებოდეს ან ემორჩილებოდეს ერთი მეორეს.

ვეცადოთ, არავინ თქვას საქართველოზე, როგორც გილიაროვსკიმ თავის სამშობლოზე: „რუსეთში ორი უბედურებაა: ქვემოთ — უმეცრების ძალაუფლებაა, ზემოთ — ძალაუფლების უმეცრება“.

განათლებული ადამიანების ნაკლებობას სამეცნიერო, სახელმწიფო, სასწავლო, სამეურნეო იერარქიის დონეზე გამოუსწორებელ შედეგებამდე მივყავართ, რის გამო ყველა ვზარალდებით. როგორც საქონლის დეფიციტი ახეიბრებს ადამიანებს, ასევე (და უფრო მეტადაც) აღატაკებს საზოგადოებას სულიერების, კულტურის და, მაშასადამე, კომპეტენტურობის დეფიციტი.

პროფესიონალიზმი ყველა საქმეში უაღრესად ძნელია, მაგრამ უიმისოდ ცხოვრება უაზროა. პროფესიონალიზმი ნიშნავს იყო მასპინძელი და არა სტუმარი შენს დარგში. პროფესიული თავმოყვარეობა ადგენს მაღალ ეთიკურ ნორმებს. პროფესიული მორალის მოთხოვნები სამართლიანობის დაცვის ერთადერთი საიმედო გარანტიაა. გრანდიოზული წარმატება გქონდეს და საკუთარი თავის უკმაყოფილო იყო — ესეც დიდი ნიჭისა და მაღალი განსწავლულობის ნიშანია. პროფესიის სიყვარული არ კმარა, დარგს ცოდნა და ერთგულება უნდა.

ყოველდღიური ცხოვრების „მენიუ“ უნდა იყოს სხვისთვის სიხარულის მინიჭება, ბრძოლა უნამუსო ერთგულებისა და განათლებულ არამზადებთან, ინტელექტუალურ იზოლაციასთან, ეთიკურ უწიგნურობასთან აზრის სიზარმაცესთან, უზნეო ზნეობასთან...

ბრძენს უთქვამს: „როცა ადამიანი კითხვას წყვეტს, აზროვნებასაც წყვეტსო“. ე. ი. წიგნს უშუალო დამოკიდებულება აქვს ინტელექტთან. ალბათ, წიგნთან კავშირის გაწყვეტაა იმის მიზეზი, რომ ჩვენთან, სამწუხაროდ, „ახალგაზრდობის თვალებიდან ბევრი პრეტენზია და ნაკლები ინტელექტი გამოსჭვივის“ (გ. ფანჯიკიძე). ერთხელ ბატონ ირაკლი ციციშვილს ჰკითხეს: „რა აზრისა ბრძანდებით მოკლე კაბებზე და ვიწრო შარვლებზეო“ — „დაანებეთ თავი მოკლე კაბებსა და ვიწრო შარვლებს, ებრძოლეთ ვიწრო აზრებსა და მოკლე ჭკუასო“, უპასუხა მოძღვარმა. დიდად დასაფიქრებელი ფაქტია: ლიტერატურის მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაში სულ უფრო კლებულობს. სწორედ ამიტომ, უმეტესობას უჭირს მასშტაბური აზროვნება. უწინარესად, ამისათვის საჭიროა შეინარჩუნო პიროვნება, მაგრამ განთავისუფლდე ეგოიზმისაგან. ზოგს ასეთი დაპირისპირება საერთოდ უაზროდ მოეჩვენება, მათთვის სწორედ ეგოიზმია პიროვნება. ძლიერი პიროვნების გამოჩენა, რომელიც საერთო სიკეთის ერთგული იქნება, ზოგისათვის წარმოუდგენელია, მაგრამ **უპიროვნებოდ აზროვნება არ იქნება პოტენციური, პოლიტიკა პოზიტიური და ხელისუფლება — პროდუქტიული.**

ადამიანი არის კვანძი, რომელშიც გადაიკვეთება ურთიერთობათა ტიპები — ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, ზნეობრივი. მისი ცხოვრება რთული კომპლექსია და იგი უნდა გავიგოთ როგორც კეთილისა და ბოროტის ერთიანობა და არა მათი იგივეობა. ბიოლოგები ამტკიცებენ, რომ შვიდი მადლი — **ზომიერება, სიმამაცე, სიბრძნე, სიმართლე, რწმენა, იმედი და სიყვარული,** ისე როგორც შვიდი ცოდვა — **ქედმაღლობა, სიძუნწე, მრუშობა, ბრაზი, სიხარბე, შური და სიზარმაცე,** ბუნებრივად ახასიათებს ადამიანს. საზოგადოებაში ცხოვრება არბილებს უკიდურესობებს, აზომიერებს რეაქციებს, აწესრიგებს ან თრგუნავს ბუნებრივ მიდრეკილებებს, მაგრამ მთლიანად ვერ სპობს მათ. „ქვეყნად ეს შვიდი ცოდვა კი არა, — წერს მ. კვესელავა, — შვიძჯერ შვიდი მადლიც შეიძლება იყოს. მაგრამ ამ შვიდის ერთი მეშვიდედიც რომ ჰქონდეს ყოველ ჩვენგანს მომადლებული, შვიდ ცოდვას ადვილად სძლევდა შვიდი მადლი და არც ის ბოროტი შვიდი ასცდებოდა თავის დროზე გადაშვიდებას“.

უცნაური რამეა ეს თავისუფლება! მას დიდი ფასი აქვს იმათთვის, ვინც მას მოკლებულია, ოღონდ ეგ კია, თავისუფლება რამდენადაც მშვენიერია, იმდენადვე საშიშია. ვიდრე თავისუფლება არა აქვთ, მას მოითხოვენ, ხოლო როცა მოიპოვებენ, მას აუკუღმართებენ. იმიტომ, რომ ფიზიკური თავისუფლება შეთანაწყობილი არ არის სულიერ თავისუფლებასთან, აზრისა და სულის განთავისუფლებასთან. როცა ადამიანს ართმევენ თავისუფლებას, იგი ან მორჩილი და უსიცოცხლო ხდება, ან შმაგი და აგრესიული. თავისუფლებაზე „ადამიანებს ზუსტად იმ ზომითა აქვთ უფლება, რამდენადაც ისინი მზად არიან თავიანთ გულისთქმას დაადონ მორალის ბორკილები, იმ ზომით, როგორადაც სამართლიანობისადმი მათ სიყვარულს შეუძლია სძლიოს მათ სიხარბეს“, — შენიშნავდა ე. ბერკი. თავისუფლების ცნებები მტკიცედ უნდა გავაცნობიეროთ და გავმიჯნოთ, თორემ, ხომ ჩვენს თვალწინ გადაიქცა „სიტყვის თავისუფლება სახელმწიფოს ნგრევის თავისუფლებად“ (ჭ. ამირეჯიბი), ხოლო „პრესის თავისუფლება ილია ჭავჭავაძის გმობის თავისუფლება ჰგონიათ“ (რ. მიშველაძე). „თავისუფლებით სარგებლობის უნარი ყველა კაცსა და ყველა ხალხს როდი აქვს“ (პ. ვალერი).

ჩვენი გარდამქმნელი საქმიანობის ერთი მთავარი ასპექტი და ფაქტორი განათლების სისტემაა. გამუდმებით უნდა ვცვალოთ ძველი ტოტალიტარული იდეოლოგია კარდინალური სულიერი რეფორმებითა და განათლებით. განათლების სისტემის სრულყოფის მიმართულებებში გამოიკვეთა მაგისტრალური ხაზი — ნიჭიერი და ტალანტი ბავშვების, მოსწავლეებისა და სტუდენტების ადრეული გამოვლენა, სწავლება და აღზრდა. ტალანტებს უნდა დახმარება, უნიჭოები თვითონ იკაფავენ გზას.

ისეთი ძვირფასი უნარის გარეშე, როგორიცაა „ცოდნისმოყვარეობის წმინდა მოვალეობა“, რომლითაც დაჯილდოებულია ყოველი შემოქმედი, არ შეიძლება ჩამოყალიბდეს კარგი სპეციალისტი რაგინდარა სფეროში. „ყოველი კაცი ქვეყანაზე არის ის განძი, რომელსაც უნდა აღმოჩენა და დაფასება“ (გალაკტიონი).

განათლების მოდელი უნდა ქმნიდეს განახლებულ კულტურულ სივრცეს მომავალი რეფორმებისათვის.

„კულტურა სალაროზე არ უნდა იყოს დამოკიდებული“, ვინაიდან ინტელექტუალური უმეცრება ყოველთვის იწვევს უზნეობას საზოგადოებაში, იმიტომ, რომ მძლავრობს „აგრესიული პროვინციალიზმი“.

მეცნიერება და ხელოვნება, — წერდა ლ. ტოლსტოი, — ისევე აუცილებელია ადამიანისათვის, როგორც საჭმელი, სასმელი და ტანსაცმელი, ასე გასინჯეთ — უფრო მეტადაც კი.

აზროვნება გონების ჯადოქრობააო, უთქვამს ლესინგს. იგი სთხოვდა ახალგაზრდობას: იდავეთ, შეცდით, ოღონდ, ღვთის გულისათვის, იაზროვნეთ, თუნდაც ხარვეზებით, ოღონდ საკუთარი ძალით, ვინაიდან „უგუნური კაცი შეიძლება ყოველგვარმა მოძღვრებამ გაიტაცოს“ (ჰერაკლიტე) და „არაფერია იმაზე უფრო საშინელი, ვიდრე ამოქმედებული უმეცრება“ (გოეთე).

მინდა რამდენიმე წინადადებას დავუჭირო მხარი. დღეს არსებითად არის ერთმანეთს მოწყვეტილი მომავალი სპეციალისტის მომზადება და მისი საერთო კულტურული დონე. პროდუქტიულად მოაზროვნე სპეციალისტის აღზრდა საერთო კულტურაზე დაფუძნების გარეშე — უსაძირკვლო სახლის შენებაა. მაშასადამე, იქნებ დაგვიანებულიც კია საერთო კულტურის კათედრის უქონლობა უმაღლეს სასწავლებლებში. ასეთი კათედრა გაითვალისწინებს უმაღლესი სკოლის პროფილს, სისტემატურად, სხვადასხვა დონეზე — სტუდენტი, ასპირანტი, მასწავლებელი — მიაწვდის მთლიან და ფუნდამენტურ ცოდნას თანამედროვე კულტურის მთავარი ცნებების შესახებ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა არსის, მხატვრული კულტურის, ეთიკის, ესთეტიკის, მეტყველების კულტურის შესახებ; იმსჯელებენ პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ ცოდნაზე, ქცევის, ოჯახის, პიროვნებათაშორისი ურთიერთობებისა და სხვა პრობლემებზე. ეს კათედრა, რომელიც, ალბათ, უნდა იყოს ტიპიური საერთო საუნივერსიტეტო (საინსტიტუტო) რგოლი, თავის დროზე, კარგა მოგვიანებით, როცა დამთავრდება უმაღლესი განათლების გარდაქმნა და ყველა მასწავლებელი „ნამდვილი“ გახდება — შეასრულებს თავის მისიას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ვფიქრობ, უნდა აღვადგინოთ სრულიად გაუმართლებლად ზურგშექცეული და შეურაცხყოფილი **ლოგიკის კურსის სწავლება.** ჩვენ გადავეჩვიეთ კამათს, არა გვაქვს არგუმენტირებისა და საკუთარი აზრის ჯერ შექმნისა და მერე მისი დაცვის კულტურა. არადა, „მეცნიერება დავის გარეშე სასაფლაოდ იქცევა“ (პ. კაპიცა).

ინტელიგენტურობა ზნეობრივი სიჯანსაღის ტოლფასია. სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია არა მარტო ბიოლოგიურ ჯანმრთელობაზე, არამედ გონების მდგომარეობაზე, ან სულის მდგომარეობაზეც. ჩვენ კი, უმრავლესობა ასე შორსა ვართ როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი ფსიქოჰიგიენისაგან და ბევრი ჭირი, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის სავალალო მდგომარეობაც, ისევ ჩვენი უკულტურობის, ემოციური სიყრუის, უმეცრების ბრალია.

ჯანმრთელობის შესახებ ცოდნის სამყაროში გადამწყვეტი გარღვევა უნდა მოხდეს უმაღლესი სკოლის დონეზე — პირველ რიგში უნივერსიტეტებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში. უმაღლეს სკოლებში, ალბათ, უნდა შეიქმნას პირადი და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ჰიგიენური აღზრდისა და განმტკიცების მეცნიერული საფუძვლების კათედრები. უფრო ლაკონიურად — ვალეოლოგიის კათედრები. (ლათინურად **valere** — ჯანმრთელად ყოფნა, ბერძნულად **logos** — მოძღვრება). ვალეოლოგია საზოგადოებას დაეხმარება უფრო ეკონომიკურად, მომგებიანად, უფრო სწრაფად გადაავიდეს ადამიანის აქტიური დღეგრძელობის პრობლემის გადაჭრაზე არა ჯანდაცვის, არა დაავადებათა ძვირადღირებული და მომაბეზრებელი მკურნალობის გზით, არამედ ფიზიკური, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ფონზე. კათედრაზე სტუდენტები მიიღებენ ღრმა ცოდნას ადამიანის ეკოლოგიის, დიეტოლოგიისა და კვების ჰიგიენის, სანიტარიის შესახებ. სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების მეცნიერული საფუძვლების სწავლება. ეს უკანასკნელი ჩვენი დღევანდელობის განსაკუთრებული პრობლემაა.

უაღრესად ძვირფასია იმის შეგნება, რომ ყოველი ჩვენი სწორი განსჯა ამდიდრებს სამყაროს, მაგრამ სამაგიეროდ, უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრება ყოველი სიბინძურისათვის. სუფთა აზროვნება საუკეთესო დეზინფექციაა. გულის ჰიგიენა კეთილ საქმეებშია. საშინელებაა — დაკარგო შენი უჩინარობა. ადამიანი საზოგადოებაში ისეთივე შეუმჩნეველი უნდა იყოს, „როგორც სათნოება, როგორც ქცევის წესები და კარგი აღზრდა“ (ეგზიუპერი). განა ქცევის ნორმა დამსახურებად უნდა ჩავუთვალოთ ერთმანეთს? რატომ ხდება, რომ სიკეთე მუდამ თავს იცავს, ბოროტება კი სულ მეტევაზეა?

> „თავისუფლებაზე ადამიანებს ზუსტად იმ ზომითა აქვთ უფლება, რამდენადაც ისინი მზად არიან თავიანთ გულისთქმას დაადონ მორალის ბორკილები, იმ ზომით, როგორადაც სამართლიანობისადმი მათ სიყვარულს შეუძლია სძლიოს მათ სიხარბეს“.

ახალგაზრდებში უნდა აღვზარდოთ საკუთარი რწმენის დაცვის უნარი. ფრიად შემაშფოთებელია, რომ დღეს ადამიანები მეტისმეტად ხშირად, ხალისით და ადვილად მიდიან დათმობებზე, რომ პირადი კეთილდღეობა არც თუ იშვიათად გადასწონის ხოლმე სხვა ფასეულობებს.

ჩვენ ვაკვირდებით და ერთის მხრივ, სულის სიღრმემდე შეწუხებული ვართ, როგორ ირღვევა მსოფლიო ჰარმონია, ადამიანის სულიერება. ზოგჯერ ეჭვიც კი გიპყრობს: ვის უნდა ახლა მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი, დანტე და შექსპირი, ტოლსტოი და პუშკინი, ილია და აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი!.. და გეჩვენება, რომ — არავის! მაგრამ განა ცხადზე უცხადესი არ არის? — ისინი რომ არა, კაცობრიობა დიდი ხნის წინ დაუბრუნდებოდა „ოთხფეხიანობას“.

თუ ჩვენ, საზოგადოების თითოეული წევრი პირადად არ გავუკეთესდებით, ათასი კარგი პირობაც რომ გვექმნას, მაინც არაფრად ვივარგებთ. დიდი ვაჟას ამ სიტყვებმა გამახსენა ლადო გუდიაშვილის შთამბეჭდავი ნათქვამი: ეს სასწაულია, რომ არსებობს ადამიანი... ადამიანი რომ სამყაროს ევლინება, ეს ღვთიური საჩუქარია, მან პატივი უნდა სცეს თავის ამ ქვეყნად მოვლინებას, იმას რომ ამ ქვეყნად ყოფნის უფლება მიეცა.

ის ხალხი, — წერდა ვ. ვერნადსკი, — რომელიც შეძლებს რაც შეიძლება სრულად, რაც შეიძლება სწრაფად, რაც შეიძლება სრულყოფილად აითვისოს კაცობრიობის ცხოვრებაში დაგროვილი ცოდნა, სრულქმნილად განავითაროს და გამოიყენოს იგი თავის ცხოვრებაში — შეიძენს იმ ძლიერებას, რომლის მიღწევა და რომლის წარმართვა საერთო კეთილდღეობისათვის ყოველი გონიერული სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა.

* * *

ეს ათასწლეულიც მთავრდება. ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ბატონი თენგიზ ბუაჩიძე წერდა: „ვინც ჩვენს სანაცვლოდ მოდის, სწორედ ისინი შეაფასებენ ჩვენს საქმიანობასაც და დროის მიერ გულგრილქმნილი სასწორით აწონიან იმას, რაც გავაკეთეთ, როგორ გავაკეთეთ, რა ვერ გავაკეთეთ და რატომ ვერ გავაკეთეთ ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა... მისგან სწორი გაკვეთილის გამოტანა მათი საქმეა. ვინც მესამე ათასწლეულს დაიწყებს ჭკუით, გონიერებით, იმის ღრმა გათვალისწინებით, რაც იყო უწინ, რაც არის ახლა, მეოცეში, რომელიც მიდის, და რაც შეიძლება იყოს ოცდამეერთეში, რომელიც მოდის...“

ერთი უდავოა: „მესამე ათასწლეულის მიჯნაზე და მერმისს დაბადებულმა პატარა ქართველებმა კი ჭეშმარიტება უნდა იცოდნენ, რომ ისინი ქართველები არიან“! (ნ. ლვინეფაძე) და რომ მათთვის ქართველობა უნდა იყოს „საყოველთაო სალხინებელი და სანაღვლებელი“ (ილია).

ღმერთმა ინებოს, ისე ვცხოვროთ, რომ ღირსეული პასუხი გავცეთ არა მარტო კითხვაზე: **სად** დაიბადა, **როდის** დაიბადა, არამედ, რაც მთავარია, **რისთვის** დაიბადა.

„ადამიანის სულის კრიზისს, ალბათ, ისიც იწვევს, რომ „ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავვყოთ ერთმანეთის სული; თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე...“

ნოდარ დუმბაძის ნაოცნებარი ასეთი ადამიანების კულტის საუკუნე უნდა იყოს XXI საუკუნე, თუ გვინდა, რომ ბიოფილიამ საბოლოოდ გაიმარჯვოს ნეკროფილიაზე.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲥᲘᲐᲑᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის კათედრის გამგე, პროფესორი.

„ᲛᲔᲒᲐᲙᲝᲛᲘ“ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ

20-პროცენტიან ფასდაკლებას მობილურ ტელეფონებზე და 50-პროცენტიან ფასდაკლებას აქსესუარებზე.

მოგვმართეთ გაყიდვების ოფისში (კოსტავას 22) და სადილერო ქსელის 300-მდე მაღაზიაში ან დაგვიკავშირდით 99-99-99.

ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲘᲐ-ᲞᲐᲡᲢᲣᲮᲝᲕᲘ ᲠᲐᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ სახელმწიფო სათათბიროს მიერ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის შესახებ დიდი ჩარჩო-ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხს განიხილავენ რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ოთარ ჩერქეზია და სათათბიროს დსთ საქმეთა და თანამემამულეებთან კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ბორის პასტუხოვი მომავალ კვირაში დაგეგმილი შეხვედრისას. როგორც პრაიმ-ნიუსს განუცხადა ჩერქეზიამ, ჩარჩო ხელშეკრულების რატიფიცირების საკითხის განხილვა, რაც სათათბიროში ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 26 მაისს იგეგმებოდა, პასტუხოვის კომიტეტმა დღის წესრიგის პაკეტში შემავალ სხვა საკითხებთან ერთად გადადო.

ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო სამმართველოს სპეციალისტები განაგრძობენ რუსეთის ყოფილი სამხედრო ობიექტების შემოწმებას, დატოვებული ნაღმების აღმოჩენისა და ლიკვიდაციის მიზნით. როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა საინჟინრო სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა ჯანო ტატოშიძემ, თბილისის გარნიზონი მთლიანად შემოწმდა და ამჟამად ინსპექტირება ტარდება დასავლეთის მიმართულებით, სადაც დღეისათვის არც ერთი ნაღმი არ არის აღმოჩენილი.

ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული გეგმის შესაბამისად, დღეს აღმოსავლეთის ოპერატიული მიმართულების ჯარებში მსხვილმასშტაბიანი სამეთაურო-საშტაბო სწავლება „კახეთი-2000“ იწყება.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრეს თავდაცვის სამინისტროს პრესსამდივნოში, სწავლება გაიმართება ცენტრალური დაქვემდებარების ჯარების სახეობებისა და გვარეობების მონაწილეობით, აგრეთვე, შინაგანი ჯარებისა და საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქვედანაყოფების მოზიდვით.

სწავლებას, რომელიც 20 ივნისს დასრულდება, უხელმძღვანელებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი.

ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲔᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის გაძლიერების პროცესში, 15 ივნისიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებიც ჩაერთვებიან, რომლებიც მესაზღვრეებს ზურგს გაუმაგრებენ.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის დაზვერვის სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა ირაკლი კოპაძემ, სასაზღვრო უწყების თხოვნით თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები ომალოდან სამების გორისკენ მიმართულებას და ლაროვანის ხეობას გააკონტროლებენ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲐ ᲞᲠᲐᲘᲛ-ᲜᲘᲣᲡᲛᲐ.

ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

„გონებაზე რომ მოხვიდე...“

ღრმად მწამს, რომ პარლამენტი არ არის ის ადგილი, სადაც უცილობლად უნდა მოქმედებდეს კარნეგისეული პრინციპი: „კამათში გამარჯვების ერთადერთი საშუალებაა მისგან შორს თავის დაჭერა“.

მე ეჭვიც არ მეპარება პარლამენტის ნებისმიერი წევრის პატრიოტიზმში, მაგრამ საქართველოს ტელევიზიის სხვადასხვა არხით გადაცემულმა სცენამ, რომელიც პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სხდომაზე გაიმართა (გათამაშდა) პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში ეროვნულობის რეკვიზიტის შეტანა-არშეტანასთან დაკავშირებით, ბოლო წლებში ამდენი ნანახისა და განცდილის ფონზეც კი, გამაოგნა და დამზაფრა.

აქვე ვაფიქსირებ ჩემს დამოკიდებულებას ზემოთ მოხსენიებული „გარჩევის“ (უფრო რბილი ტერმინი როგორ ვიხმარო...) საგნისადმი: ვემხრობი იმ შეხედულებას, რომ ეროვნება მიეთითოს ბავშვის დაბადების მოწმობაში, ხოლო ყველა სხვა საბუთში, რომელიც მოქალაქის იდენტიფიკაციისათვის უნდა იყოს გამოყენებული, იგი მართლაც ზედმეტია და გარკვეულწილად აფერხებს კიდეც ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას. ბავშვის დაბადებისას მისი ეროვნულობის აღნიშვნა დააკმაყოფილებს მისი მშობლების, ახლობლების „ეროვნულ ამბიციებს“ (თუმცა ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ, როდესაც გაიზრდება, იგი იქნება იმ ეროვნების სულისკვეთების მატარებელი, რომელიც მას „ოდესღაც“ დაბადების მოწმობაში ჩაუწერეს). ამავე დროს სახელმწიფოს, საზოგადოებას ეცოდინება დემოგრაფიული პროცესების მიმდინარეობა და გარკვეულწილად მოაწესრიგებს მათ (განსაკუთრებით, აღწერებსშუა პერიოდებში...).

საქართველოს და მის პარლამენტს დღეს გაცილებით დიდი და სერიოზული პრობლემები აქვს გადასაწყვეტი, თავისი ძალისხმევა და ინტელექტუალური პოტენციალი ურთიერთანგარიშსწორებისაკენ რომ არ მიმართოს.

ჩვენ გვეშინია, რომ რუსეთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებამ შეიძლება ასეულ ათასობით ჩვენი თანამემამულე გამოაძევოს ამ ქვეყნიდან საქართველოში. იმას კი ვერ ვაცნობიერებთ, რომ სინამდვილეში ასეთთა რიცხვი მეტისმეტად მცირე იქნება, რადგან დიდი უმრავლესობა უბრალოდ... რუსეთის მოქალაქეობას მიიღებს: ის სამართლებრივი აქტი, რომლითაც რუსეთის პრეზიდენტი თავისი ქვეყნის მოქალაქეებად აცხადებს საბჭოთა პასპორტის მქონე პირს, რომელსაც აქამდე სხვა რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა არ მიუღია, „ემუქრება“ არა მარტო დღესდღეობით საქართველოს იურისდიქციის გარეთ არსებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზებს და ოსებს, არამედ რუსეთში სხვადასხვა მიზეზთა გამო გახიზნულ მრავალ ათას ქართველსაც — ისინი ხომ იქ მეტწილად საბჭოთა პასპორტებით არიან ჩასულები! ფაქტობრივად რუსეთი „მცოცავ ანექსიას“ გამოიყენებს არა მხოლოდ ტერიტორიის, არამედ ჩვენი ეროვნული სიმდიდრის ყველაზე მთავარი, ძვირფასი ელემენტის — მოსახლეობის, მოქალაქეების მიმართ.

სოხუმი და ცხინვალი დასაბრუნებელია. სახელმწიფოებრიობა ნელ-ნელა კარგავს თავის ფუნქციებს. სამურზაყანოში ბავშვებს უკვე უჭირთ ქართული მეტყველება და ამ დროს პარლამენტის წევრი თავისი სიმართლის დასამტკიცებლად, განსხვავებული აზრის დასათრგუნავად მუშტის არგუმენტს იშველიებს.

რა არის ეს? არგუმენტის ძალის, ძალის არგუმენტში „კონვერტირება“, თუ სხვა რამ?

რუსეთის სამოქალაქო ომის დროს ერთ-ერთი სამხედრო პირი ასე „ახმოვანებდა“ ბოლშევიკურ იდეალს: „ჩვენ ცეცხლითა და მახვილით შევრეკავთ კაცობრიობას უკეთეს მომავალში“!

დღესაც ამ მეთოდით ხომ არ უნდა ვიხელმძღვანელოთ? რაც უნდა დიდი დემოკრატ-რეფორმატორი იყო, მუშტი-კრივი ნამდვილად არ არის საუკეთესო საშუალება საზოგადოების „ჩამორჩენილი“, „კონსერვატული“ ნაწილის დარწმუნებისა და „გადემოკრატება-გაბედნიერებისათვის“.

ამ საგაზეთო მასალის დაწერის „მაპროვოცირებელ“ სცენაში, როგორც წყლის ერთ წვეთში, ისე აირეკლა ჩვენი ქვეყნის, საზოგადოების საერთო მდგომარეობა, როდესაც დემოკრატიულობის ფონზე ისევ მძლავრობს შეურიგებლობა განსხვავებული აზრისადმი, როდესაც კერძო და კორპორაციული ინტერესების ზეობით თითქმის მოშთობილია ერთიანი, სახელმწიფოებრივი ინტერესები და პრინციპები.

ქვეყანას უჭირს, ბიუჯეტი ცარიელია, ხელფასებს და პენსიებს თვეობით ვერ იღებენ ადამიანები. გამოსავალი? იქნებ კომერციულ სტრუქტურებს უშუალოდ „ეპატრონათ“ ინსტიტუციური ერთეულებისთვის? მაგალითად, განა ცუდი ან შეუძლებელი იქნებოდა, რომ თითქმის დახურვის პირას მისულ საქართველოს საელჩოებზე შეფობა მათზე მარტო თბილისში თითქმის ორჯერ მრავალრიცხოვან სამორინეებს აელოთ? თუ ეს „ექსპერიმენტი“ გაამართლებდა, შეგეძლო იგი ფართოდ გამოგვეყენებინა სხვა მიმართულებითაც. მაგალითად, თბილისის ცენტრალურ სუპერმარკეტს შეფობა აელო თავდაცვის სამინისტროზე, ლილოს და კიდევ ერთ-ორ ბაზრობას — შინაგან საქმეთა სამინისტროზე... მერე აღარც ბიუჯეტი დაგვჭირდებოდა და აღარც მისი ქრონიკული დეფიციტის გამო მუდმივი პოლიტიკური თავის ტკივილი, აღარც ფინანსთა და შემოსავლების სამინისტროები...

> რაც უნდა დიდი დემოკრატ-რეფორმატორი იყო, მუშტი-კრივი ნამდვილად არ არის საუკეთესო საშუალება საზოგადოების „ჩამორჩენილი“, „კონსერვატული“ ნაწილის დარწმუნებისა და „გადემოკრატება-გაბედნიერებისათვის“.

ხუმრობა იქით იყოს და, ჩემი ნება რომ იყოს, ყველა გასართობ, გამახალისებელ, დასასვენებელ ღონისძიებაზე შესასვლელ ბილეთს, მოსაწევს, ქვითარს დავბეჭდავდი წარწერით, რომ სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენია, სახელმწიფოებრიობა — დასაცავი. ჩემი ნება რომ იყოს, ნებისმიერ საქონელსა და მომსახურებას, რომლის ღირებულება საარსებო მინიმუმზე მეტია, დავბეგრავდი დარღვეული სახელმწიფოებრიობისა და სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის გადასახადით. ვინძლო, ჯიბეზე მეტად ეროვნულ და პიროვნულ თავმოყვარეობაზე ემოქმედა...

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ერთმა რუსმა მწერალმა ავადმყოფი ერი გვიწოდა და ერთი ამბავი ავტეხეთ პრესაში მის გასაკრიტიკებლად და გასაქილიკებლად. არადა, ხომაა ავადმყოფობის საპირისპირო ცნება ჯანმრთელობა? რა ჯანის სიმრთელეზე შეიძლება ლაპარაკი, თუ მთელ ქვეყანას, ხალხს ვიგულისხმებთ, როცა ეს ერთიანობა საზოგადოებაში კი არა, მის „კაკალგულში“ — პარლამენტშიც არ არის? როდესაც მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ღარიბები კი — ღარიბდებიან?...

ჩვენ ხშირად ვიწვევთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისთვის. მაგრამ სწორი „დიაგნოზი“ და „მკურნალობა“ მარტო ეკონომიკას და ფინანსებს სჭირდება? განა მთელი ჩვენი ყოფა, ურთიერთდამოკიდებულება, შიდა და გარე მოვლენების აღქმის ხარისხი ადეკვატური და იდეალურია? იქნებ ამ კუთხითაც მოგვეწვია „მკურნალი თერაპევტი“? ჩვენი „დაჟინებული ევროპელობის“ მიუხედავად დასავლეთი არ იცნობს კარგად ჩვენს მენტალიტეტს, რუსეთი კი...

რაც შეეხება რუსეთს, ამ ქვეყანამ არა მარტო დიდი ხანია ჩაიქნია ჩვენზე ხელი, არამედ რასაც ეს „ჩაქნეული ხელი“ წამოსდო, თითქმის ყველაფერი თავისკენ გადააყოლა — სამხედრო ქონებიდან დაწყებული, ტერიტორიებით და ქვემეერდომებით დამთავრებული... იქნებ შინაური მკურნალი მოგვეძებნა — „მამაო ოხროხინე“ სილის შემომლაწუნებლად... ესაა, რომ „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“ და ამიტომ ბევრი გაქსუებული პოლიტიკოსი ხელსაც შემოუბრუნებდა და სხვა რამესაც... ისე, შემოლაწუნებაზე თუ მიდგა საქმე, ისევ ცხონებული შოთა ნიშნიანიძისეული ნათქვამი მახსენდება:

„ერთ, გული წაგსვლია და
გაგწყრომია სულიწმინდა,
გონებაზე რომ მოხვიდე,
ასი ალიყური გინდა...“

იქნებ, მაინც პარლამენტიდან დაგვეწყო?...

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ.

მიყვარხარ, მთაო, ტიალო...

ადგილს მკვიდრი პატრონი სჭირდება

ალექსი ჭინჭარაული – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე.

– ხევსურებს დალხინებული ცხოვრება არასოდეს ჰქონიათ, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევარი მათთვის მაინც მძიმე აღმოჩნდა: ორმოცდაათიან წლებში ისინი დედაწულიანად აყარეს და ბარის რაიონებში მიმოფანტეს. მისცეს ოროთახიანი ერთსართულიანი ბინები, რომელთაც არც სარდაფი და არც სხვა რაიმე ნაგებობა (მაგ. საქათმე) გააჩნდა. შინაური საქონელი სასწრაფოდ და ჩალის ფასად გაიყიდა და იმით ნაშოვნი ფულიც ამ ქოხების ფასად წავიდა. არავის გახსენებია, რომ მთაში ამ ხალხს ორ-სამსართულიანი სახლები ჰქონდა (შატილში, მაგალითად, ოთხსართულიანი ქვიტკირებიც არის), ჰქონდა აგრეთვე საზამთრო სოფლები, სადაც მოსავალს აბინავებდნენ და საქონელს კვებავდნენ; ჰქონდათ დამხმარე ნაგებობები მსხვილფეხ-წვრილფეხისა და მრგვალჩლიქიანი პირუტყვისათვის...

არც საოჯახო ჭურჭელ-ავეჯი გახსენებია ვინმეს: სასოფლო-სამეურნეო იარაღები, საშურგულორნამენტიანი სკამტახტები, მოჩუქურთმებული კიდობნები და კოჭები, კასრები, კოდები, საპურე გოდრები... მიწური ბანის ჭერი დალპა და ჩაიქცა; შიგნით ყველაფერი გაოხრდა, გარეთ მოვლილ-ნაპატივები ყანა-სათიბსაძოვრები ღორღით აივსო და ტყით დაიფარა... 1991 წლის 6 თებერვლის „ლიტერატურულ საქართველოში" ვკითხულობთ: „ხევსურეთის სახნავი, სათიბი და სასაძოვრე ადგილები დაუნაწილეს დუშეთის, წითელწყაროს და სიღნაღის კოლმეურნეობებს"-ო. ყველაფერი უსასყიდლოდ წაიღო სახელმწიფომ, მაგრამ ვერ მოუარა, ვერ გამოიყენა. ჟურნალ-გაზეთებში კი იბეჭდებოდა „მზრუნველი სახელმწიფოს" ქება-დიდებით სავსე წერილები საერთო სათაურით „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან" და მისთ.

ბოლოს ვიღაცა მიხვდა, რომ ხევსურეთს ვერც დუშეთი მოუვლის, ვერც სიღნაღი და ვერც წითელწყარო, – ადგილს მკვიდრი პატრონი სჭირდება, თორემ მას გადამთიელი დაეპატრონება. გამოცხადდა: ვისაც ხევსურეთში დაბრუნება უნდა, ნება მიეციაო. პრესაში კვლავ გაჩნდა „ფრთიანი" შესიტყვება: „მთას დაუბრუნდა მთიელი"! და მისთ.

ამასობაში, ბარისახოდან შატილამდე გზაც გაიყვანეს და მიწის ყივილმა ხევსურთა ერთი ნაწილი მართლა დაუბრუნა თავის ნახარ ადგილ-მამულს, მაგრამ ეშმაკს არ ეძინა, ხოლო ხევსურთაგან მიტოვებული სალოცავები შემოსწყრნენ „თავის ყმათ" და დიდი ხარჯითა და ოფლით აღდგენილ სახლებს ახლა მიწისძვრამ მოუსწრო. იყო საშენი მასალით დახმარების დაპირებები, მაგრამ ფშავ-ხევსურეთის არაგვის ხეობაში ვიღაც ოხრებმა სწორედ ის სამასალე ხეები მოჭრეს, დამორეს, მორები მონათლეს, „კუნძები" დაარქვეს და თურქეთის გზას გაუყენეს. ვინ მოჭრა, ვინ წაიღო, ან მომჭრელს ან წამღებს ჰქონდა თუ არა საბუთი და, თუ ჰქონდა, ვინ მისცა და რატომ მისცა, – მე არ ვიცი და, ალბათ, არც არის ჩემი საქმე, ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ამ მასალით თურქმა მუსტაფა ალი-ოღლიმ შავი ზღვის სანაპიროზე სამსართულიანი სახლი წამოჭიმა და იმ სახლში ქართველ ბიზნესმენ მანდილოსნებს უმასპინძლდება ხოლმე...

8/VII-99 წ. გამოქვეყნდა პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი „საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ", ამ კანონში ხევსურეთისთვისაც ბევრი რამ სასიკეთოა ნათქვამი. ბოლო, მე-7 მუხლი გვამცნობს: „ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე". მას შემდეგ უკვე რვა თვე გავიდა და, ალბათ უფლება გვაქვს ვკითხოთ ანგარიშვალდებულ უწყებებს: რა გაკეთდა ამ კანონის მოთხოვნათაგან და, რაც არ გაკეთდა, რატომ არ გაკეთდა.

ამჯერად ხევსურეთს ახალი საფრთხე დაემუქრა: რუსეთი ანადგურებს ჩვენს მეზობელ ჩეჩენ ხალხს. რუსეთი თუშეთ-ხევსურეთის სოფლებსაც ბომბავს და, როცა ვეკითხებით: „რატომ აკეთებ ამას?"-ო, ალვირახსნილი ცინიზმით გვეუბნება: „მე ამის შესახებ არაფერი გამიგია! შევადგინოთ ორმხრივი კომისია და შევისწავლოთ ეს საკითხი"-ო. ჩვენ ამით ვკმაყოფილდებით (ე. ი. „ბაბა"-ს ვეძახით თეთრ დათვს) და ველოდებით რაღაც უარესს.

1944 წელს რუსეთმა ჩეჩენ-ინგუშები შუა აზიაში გაასახლა. ზოგი იმთავითვე ყაჩაღი იყო, ზოგიც გასახლებისას გაექცა რუსებს და გაყაჩაღდა. შეიქმნა ყაჩაღთა ჯგუფები და დაიწყეს მთიელი ქართველების ძარცვა, საქონლის მოტაცება. კაცმა რომ თქვას, აბა სხვა რა გზა ჰქონდათ? ამ შეხლა-შემოხლების დროს თვითონაც ზარალდებოდნენ და ჩვენც გვაზარალებდნენ, – მარტო შატილიდან ჩეჩენმა ყაჩაღებმა შვიდი ვაჟკაცი და ორი ქალი მოკლეს. ანალოგიური ვითარება იქმნება ახლაც: რუსეთი დღეს თუ ხვალ ჩეჩნებს დაამარცხებს, მაგრამ დარჩებიან პატარ-პატარა ჯგუფები, რომლებიც მთიელების ძარცვას დაიწყებენ.

რუსების მიერ მოსყიდული ბასაევის ყაიდის ქილერ-ტერორისტები აფხაზეთში ქართველებს ხოცავდნენ და ძარცვავდნენ, ჩეჩნეთ-რუსეთის ომში კი თანამემამულე ჭეშმარიტ პატრიოტ ჩეჩნებთან ერთად ებრძვიან რუსებს. ალბათ ამ ბანდიტებმა იმდენი არაფერი გაუკეთეს თავის ქვეყანას, რამდენიც ავნეს, – მათი სახელი რუსებმა მთელ ჩეჩენ ხალხს დაანათლეს და თავისი აგრესორულ-დამპყრობლური ომი მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლად შეასაღეს ევროპასა და ამერიკას. იმათაც ვითომ დაიჯერეს... თუ ეს ომი კვლავაც გაგრძელდა, მაშინ უარესი ამბებიც არის მოსალოდნელი, – საქართველოს ამ კონფლიქტში ჩათრევის ალბათობა ძალიან გაიზრდება.

ამიტომ ჩრდილოეთის საზღვარი, კერძოდ კი არღუნის ხეობა, სადაც ახლა ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობს, მტკიცედ და საიმედოდ უნდა იქნას დაცული.

თუ ხევსურეთიდან სამანქანო გზას არ გავიყვანთ არხოტში (როშკა-ახიელი), ამ ულამაზეს ხეობას დავკარგავთ. არადა, ინგუშეთიდან არხოტამდე და ჩეჩნეთიდან შატილამდე სამანქანო გზები უკვე მოყვანილია. თუ ჩვენი მთავრობა ამ გზების შეერთებასა და ამოქმედებაზე დათანხმდება, მაშინ საქართველო მიიღებს კიდევ ორ როკის გვირაბს, – ნარკოტიკები და კონტრაბანდული საქონელი თავზესაყრელი გვექნება. ამას გარდა, მძიმე მანქანების, ცისტერნების და მისთ. მათი მიმოსვლა შატილზე უდავოდ დაანგრევს ამ უნიკალურ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლს. უარესად სახიფათოა ამ ხეობებით ნავთობის გადმოზიდვაც, – ერთი ავარია და არაგვში ჩაღვრილი ერთი ცისტერნა ნავთობი თბილისს უწყლოდ დატოვებს. საზოგადოდ, ამდენი ტრანსკავკასიური გზები საქართველოს ზარალის მეტს არაფერს მოუტანს. ამ ეტაპზე საჭიროა ჩვენი შიდა „გზების მშენებლობის მოწესრიგება", როგორც ეს ზემოაღნიშნულ კანონშია მითითებული, და ამავე კანონის ყველა მუხლის და პუნქტის ამოქმედება.



რუსებმა შატილთან საზღვარი გადმოსწიეს...

ბადათერ არაბული, პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

ცოტა ხნის წინათ, პარლამენტის უშიშროებისა და იურიდიული კომიტეტების ინიციატივით გაიმართა შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ პრობლემებს; მას პარლამენტარებთან ერთად, ესწრებოდნენ მასმედიისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, ის ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები, სახელმწიფო მოხელეები, ვის ძალისხმევაზე დიდად არის დამოკიდებული საქართველოს საზღვრის დემილიტაციისა და დემარკაციის საკითხების მოგვარება.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ბოლო დროს მომხდარი, მეტად არასასიამოვნო ფაქტის ირგვლივ: კერძოდ, რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს საზღვრის ორი კილომეტრით გადმოწევის შესახებ შატილის ტერიტორიაზე, მუცოსა და ცუზუნდოს მთებს შორის, რომელიც უშუალოდ ჩეჩნეთს ესაზღვრება.

ოდითგანვე ხევსურებსა და ჩეჩნებს შორის საქართველოს ამ მონაკვეთზე, საზღვარი ალაქოს ქედზე გადიოდა. ისტორიულად და ტრადიციულად ქართველებმაც და ჩეჩნებმაც კარგად იცოდნენ თავიანთი კუთვნილი ტერიტორიები და სხვის მამულ-წყალში არასოდეს გადადიოდნენ. ამ ადგილებში ხევსურების ცხოვრების საუკუნოვანი კვალი, ციხეებისა და სხვა სამეურნეო ნაშთების სახით, დღესაც შემორჩენილია.

ადგილები– ფიჭვენი და აცეხი, ალონთას ღელე და მიმდებარე მიწები, ბოლო პერიოდამდე ხევსურებით იყო დასახლებული (იქ იყო საზამთრო სოფლები, ანუ „საბოსლოები", და იქვე ცხოვრობდნენ შემოდგომიდან გაზაფხულამდე). თან საზაფხულო სათიბ-საძოვრებადაც გამოიყენებოდა.

შატილის მოსახლეობა სწორედ ამ სათიბ-საძოვრებით სულდგმულობდა და დღესაც სარგებლობს, სხვა საარსებო მიწები შატილიენებს არსად ჰქონიათ!..

შატილს და პირიქითა ხევსურეთს საქართველოსთვის რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ალბათ, ყველამ კარგად იცის, ამიტომაც აქ ყოველი გოჯი მიწის დაკარგვა საგანგაშოდ უნდა ვაქციოთ. რუსების მიერ დაკავებული მონაკვეთი მთლიანად აკონტროლებს პირიქითა ხევსურეთს და მისი ასე დატოვება დიდ საფრთხეს უქმნის საქართველოს ამ ძირძველ ტერიტორიას. იგივე პრობლემაა დარიალის ხეობაშიც! ამიტომაც, ვიდრე გვიან არ არის, მოძიებული და შესწავლილი უნდა იქნას ყველა დოკუმენტი, რუკა და სხვა მასალები, ხელშეკრულებები თუ დადგენილებები, რაც ამ საკითხში ჩვენს სამართლიანობას დაადასტურებს.

საბჭოთა კავშირის პერიოდში რესპუბლიკებს შორის არსებული პირობითი საზღვარი არ უნდა იქცეს ამ საკითხზე მომუშავე კომისიისათვის ერთადერთ განმსაზღვრელ და ძირითად საბუთად. მოსაძიებელია 1918-21 წლების მასალები, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, და ალბათ, იმდროინდელ რუსეთთან იქნებოდა გაფორმებული დადგენილება თუ ხელშეკრულება საზღვრების გამიჯვნის თაობაზე; 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის სასაზღვრო ხელშეკრულება, 1927-28 წლების საკავშირო სამართლებრივი დოკუმენტები. ასევე გამოსაყენებელია „ვციკის" 1928 წლის 20 აგვისტოს დადგენილება, სადაც აღნიშნული ტერიტორია ალაქოს ხევამდე საქართველოს კუთვნილებაა. ამას ადასტურებს პაველ ინგოროყვას 1918 წლის „საქართველოს საზღვრების აღწერილობაც". სწორედ ამგვარი ისტორიული საბუთების მოძიების და გამოყენებისათვის აქტიურად უნდა იმუშაოს საქართველოს სადემილიტაციო კომისიამ და მისმა თავმჯდომარემ ბატონმა ზაზა კანდელაკმა. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი სამუშაო შეხვედრა შედგა რუსეთის ანალოგიურ კომისიასთან, რაც, ჩვენი აზრით, არასაკმარისია! ამ საკითხში მცირეოდენმა პასიურობამ, ან დათმობამ შეიძლება ეს კუთხე საბოლოოდ დაგვაკარგვინოს: დაკარგვით კი ისედაც ბევრი დაგვაკარგვინეს და წაგვართვეს, ამიტომაც დასაკარგი უკვე აღარაფერი დაგვრჩა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ხევსურეთის ეს ადგილები საქართველოსთვის მარტო სათიბ-საძოვრების მნიშვნელობას არ ატარებს!.. ამ საკითხზე პარლამენტის უშიშროების კომიტეტის სხდომაზე პრინციპულად ისაუბრეს დუშეთის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა მარინა მოლოდინმა, ისტორიკოსმა ივანე წიკლაურმა, მცხეთა-მთიანეთის მხარის გუბერნატორმა კობა ბუჩუკურმა, დუშეთის რაიონის გამგებელმა ნუგზარ ოდიშვილმა და სხვა მოწვეულმა სტუმრებმა. მათ მოითხოვეს ამ პრობლემის დროული და სამართლიანი გადაწყვეტა, ალაქოს ქედამდე საზღვრის გადაწევა, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტისა და სადემილიტაციო კომისიის გააქტიურება.

პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ ადამიამ, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ და სადემილიტაციო კომისიის თავმჯდომარემ ზაზა კანდელაკმა აღნიშნეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა საქართველოს ამ მონაკვეთზე ისტორიული საზღვარი აღდგეს. გადაწყდა, აგრეთვე, რომ დროებით, ვიდრე კომისია მუშაობას დაამთავრებს, ეთხოვოს რუსეთის მხარეს, რათა აღნიშნულ ტერიტორიაზე შატილის მოსახლეობას თავისუფლად შეეძლოს შესვლაც და გამოსვლაც.

ამავე საკითხს მიეძღვნა საზოგადოება „არაგველის" გაფართოებული სხდომაც, რომელიც იმავე დღეს შედგა და სადაც აღნიშნული პრობლემის დროულად გადაწყვეტის თაობაზე, მიიღეს მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი.

იმედს გამოვთქვამ, რომ შესაბამისი სტრუქტურები უფრო აქტიურად იმუშავებენ საქართველოსთვის ამ მეტად მტკივნეული პრობლემის მოსაგვარებლად.

ცასთან მიდგმული კიბე

კობა არაბული, – მწერალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთიანეთის კომისიის არაგვის ხეობის ექსპედიციის ხელმძღვანელი:

– „მთა ცასთან მიდგმული კიბეა, ღმერთი ხალხთან მთებიდან ჩამოდის" – თქვა ერთმა ბრძენმა... და ეს მართლაც ასეა, მაგრამ ბარს კიდეც რომ დასჭირდეს „მთიდან ღმერთი ვეღარ ჩავა, თუ მთა და მთიელი აღარ იქნება"...

ისევე, როგორც ბიბლიურ მოსეს, ვაჟასაც მთებში გამოეცხადა ღმერთი და იქიდან წამოვიდა მისი გენიის ტალღა... მთიდან ყოველთვის მოედინებოდა წინაპართა ტრადიციული ცოდნის მადლი, იქ გროვდებოდა ერის შინაგანი ენერგია. მეფე ერეკლე საომრად ჩამოსულ არაგველებს პირადად მიაცილებდა და თან ნავთ-მარილსა და საჭირო აღჭურვილობას ატანდა!.. ისინიც ადვილად შეჰბედავდნენ მეფეს: „ორს თუ შენ იტყვი მეფეო, ერთი ჩვენიც გაიგონეო"... ანდა „შენს ნახვას, მეფეო, შენი სახელის გაგონება გვერჩიაო".

ეს იყო ცხოვრება: მეფესა და ხალხს შორის კავშირი, ახლა ხალხი თანდათან დაშორდა ხელისუფლებას (ხალხი ალთას არის, სახელმწიფო ბალთას). მთიელი კაცი „ხელმწიფემდე" რომ მივიდეს დანტეს ცხრა ჯოჯოხეთი უნდა გაიაროს. ამიტომ ისტორიულად თვალსაჩინო რეგიონები უსახელო და უსახო პროვინციებად იქცა, ვისგანაც არაფერს კითხულობენ და არც არაფერს ეკითხებიან!.. მთლიანობაში მთას ძირი ულპება, ძირი ბარია და კორუმპირებული სახელმწიფო მაფია, რომელიც ვერ ხედავს, როგორ ეძხობა თავზე მთები!.. სავალალოა ის გარემოება, როდესაც სიტყვის მთქმელი ამბობს სიტყვას და ქვეყანა „ყრუა", არ არის გამგონი და მით უფრო საქმის კეთილად მქმნელი.

ჩვენ ის ხალხი აღმოვჩნდით, ვინც ვერაფერს სწავლობს, ვერც საკუთარი და ვერც სხვისი მწარე გაკვეთილებიდან: არ არსებობს სახელმწიფო მართვისა და აგების ეროვნული მოდელი, არ ყალიბდება პოლიტიკა მოყვრისა და მტრის მიმართ – ყველაფერი აღრეულია... ამიტომ ვტკეპნით საკუთარ თავს და მერე უკან-უკან მივდივართ კირჩხიბივით... უნდა ითქვას, რომ გაუთავებელმა, თითქმის პერმანენტულმა საარჩევნო „ვაკხანალიებმა" „რჩეულთა" ცრუ დაპირებებმა და შემდეგ მათმა „ამაო სიჩუმემ", – სკამებისაკენ მათმა თავაწყვეტილმა სრბოლამ, ხმის მიცემა-არმიცემის ფსიქოლოგიურმა (სტრესმა) ფაქტორმა – გაანადგურა ჩვენი ერი, დამალა და დაათითოკაცა იგი. – ერთხელ მაინც იყოს ეს არჩევნები და დამთავრდეს! რომ ხალხმა მოისვენოს – ხარჯები კი საქმეს მოხმარდება. „ხმის მიცემა-არმიცემის" ფაქტორი ამ შემთხვევაში ხევსურეთისათვის შეიძლება არაფერს ნიშნავდეს, ვინაიდან აქ სულ 200 კომლია, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ეს ხალხი პოლიტიკურმა მაძახურებმა დაათითოკაცეს და მეცხვარის ჯოხივით, სადაც უნდა და, როგორც უნდა იქ ჩამოპყუდეს! – გაყვეს, გათიშეს, სტუმარ-მასპინძლობა და ღიმილი დაავიწყეს... და რაც მთავარია, ფშავ-ხევსურეთი მთიულეთ-გუდამაყარი, ხევი სადაც სახელმწიფოს მიღმა დააყენეს!

იმ კუთხეს, რომელსაც ხოგაის მინდიას სიბრძნის შუქი ადგა, ჰქონდა ვეფხისა და მოყმის ლექსი, ჰყავდა ალუდა ქეთელაური... ახლა საფლავების სიჩუმე მოსავს, ანუ ცოცხალ-მკვდართა „მშვიდობა". აქ რწმენისა და იმედის ნიშანწყალი არ ჭიატებს „მოგვეხვედ მშვიდობითო", მაგრამ ვაი ამ მშვიდობას!

ბოლო წლებში ვერც ერთი გრომი, ვერც ერთი მისხალი დახმარება ვერ „გამოვტყუეთ" სახელმწიფოს: ვერც მაშინ, როცა არაგვის ხეობის მთიანეთი უმძიმესმა მიწისძვრამ დაანგრია (ეპიცენტრი იყო ხევსურეთში) 1993 წლის შემოდგომაზე... ვერანაირი ინვესტიცია და გრანტი ვერ მოვიპოვეთ – აქაური ტრადიციული მეურნეობრიობისათვის, ხალხური ხელსაქმისათვის, სოფლების რეაბილიტაციისათვის – ვერც ბოლო წლებში – თუმცაღა ბევრს ვეცადეთ და პროექტებიც წარვადგინეთ...

დათვისი – ხუთი მწერლის სოფელია საარაგვოს თემში (ალუდა, მინდია, კობა, ბადათერ, მიხო არაბულები!) – იქ აღარც ერთი სახლი არა დგას ფეხზე! – დანგრეულია ზამთრის ზვავებისა და მიწისძვრისაგან, ხევსურეთის საგანგებო დეპორტაციის მერე (1950-იანი წლები) მთას ასეთი ნგრევა არ ახსოვს, – რაც ჩვენის ღრმა რწმენით, განპირობებულია ჟინვალის წყალსაცავით... აქ ერთ ნორმალურ სახლს ვერ ნახავ – რომ მასპინძელმა, ან სტუმარმა ღამე გაათიოთ! – (რამდენიმე გადასახლებულ ოჯახსაც სურს აქ დაბრუნება). ჩვენ ფაქტობრივად აყრილი ვართ ჩვენი მამულიდან – ლტოლვილის სტატუსი კი რატომღაც არ გაგვაჩნია...

სამოცამდე ხევსური დაიღუპა აფხაზეთის ომში: მათ შორის გუდანისჯვრის ხევისბერის შვილიშვილი... დაიღუპნენ ლიქოკელი ტყუპები, ბარისახოში გოჩა ჭინჭარაულის დედამ შვილის სიკვდილი რომ გაიგო, თავი მოიკლა, მთელი ოჯახი განადგურდა... ამაზე მეტი არც კრწანისში და ბახტრიონის ომში დაღუპულა! – ეს დიდი პროცენტია 200-კომლიანი კუთხისათვის – რა დარჩა ამ უსახელო ომიდან? – საყოველთაო ნიჰილიზმი და სირცხვილი! საკომპენსაციოდ – ცრუ დაპირებანი...

არჩევნების მერე ფშავ-ხევსურეთს შუქი არ უნახავს, არც მანამდე – მთელი ოთხი წლის განმავლობაში: პარადოქსია, მაგრამ ხევსურეთს 30-იან წლებში ჰქონდა ბერიას ნაბოძები ელექტროსადგური, თავისი განათება, ფოსტა-ტელეგრაფი... ბრწყინვალე სკოლა-ინტერნატი, საავადმყოფო, სასტუმრო – ახლა ყველაფერი ეს არის და არც არის. მაგრამ ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ ბარისახოს სკოლა-ინტერნატს გაუქმება ემუქრება, რასაც 200-კომლიანი ხევსურეთის სრული დაცლა მოჰყვება.

...ამჟამად ხევსურეთის საზღვარზე ომია: რუსეთის შორეული ტრამალების ტომი ანადგურებს კავკასიურ ერს საკუთარ მიწაზე (ტერორიზმის მოტივით) და ამას მსოფლიო მშვიდად უყურებს: რაც იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთს ეძლევა „ნება" და საშუალება იგივე გაიმეოროს სხვაგანაც, სხვის მიმართ... – მიუხედავად იმისა, აქ ჩეჩნები დარჩებიან თუ რუსები, ვითარება ყოველთვის დაძაბული იქნება. საზღვარს, რომელსაც თავის დროზე „უხორცო მეომრები" (ხირჩლა ბაბურაულის სარანგი), „მახვილით იჭერდნენ". დაცვა კვლავაც დასჭირდება, მაგრამ სამწუხაროდ (ახლანდელ ვითარებაში), საზღვარს „ნავთის ლამპებით ვერ დავიცავთ"!... მიუხედავად სასაზღვრო ძალების სარდლის (ბატონი ვალერი ჩხეიძის) დიდი ძალისხმევისა, საზღვრის დაცვა შეუძლებელია სახელმწიფო ნებისა და ბიუჯეტის გარეშე! – ჯარისთვის მურდულის თუ არბალეტის მოვნაც კი არ შეუძლია ჩვენს სახელმწიფოს – ვამპირი მაფიის ბრჭყალებში მოქცეულს ასეთ პირობებში ყოველი მართალი სიტყვა რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", შიმშილმისჯილი ერი უფლება აყრილია, ხოლო თვით პრეზიდენტის ნება – ბლოკირებული! (მავანსა და მავანს ჩვენი ჩრდილოეთის საზღვრის დადება კავკასიონის ქედზე „აწყობს") კავკასიონის მიღმა, ჩრდილოეთის ფერდობზე განფენილია პირიქითა ხევსურეთი, ჩვენი „საუფლისწულო" და „სადედუფლო" მამულ-წყალი; ორბელისძეთა, აბულეთისძეთა, ჭავჭავაძეთა, ძაგანისძეთა „ნაციხარ-ნაქალაქარი"... აქა დგას უკვდავ მეომართა, და მოლექსეთა სამანები: მუცო-შატილი, ანატორი-სულთა აკლდამები, ხოგაის მინდიას ნამკვიდრალი-ნიშნები-ამღაში, სულის წყაროები და სხვა... – ეს არის მატერიაში ალბეჭდილი სული!

შატილი.

შეუძლებელია არ ვთქვათ, რომ ყოველივე ამას ჩვენივე „ნებით" (საფრთხეში ვაგდებთ) ვკარგავთ, – მიუხედავად ჩვენი ათასგვარი მცდელობისა – გზა არხოტამდე (როშკიდან) ვერ მივიყვანეთ! არხოტი ასი ათასი ჰა მიწის სავარგულით ხუთიოდე არხოტელი მოყმის „ანაბარა მივაგდეთ" რუსეთ-ინგუშეთის საზღვარზე!

როდესაც მთიანეთის სახელმწიფო კომისიამ როშკა-არხოტის გზის გაყვანა კატეგორიულად მოვითხოვეთ: (და ეს საკითხი პრეზიდენტის დონეზე დადგა) არქიტექტორ ბალიაურის მომზადებული პროექტი მყისვე გაქრა ეცადაშვილის ხელიდან (მცხეთა-მთიანეთის კანცელარია) დაიკარგა თვით პრეზიდენტის რეზოლუციიანი გადაწყვეტილება გზის გაყვანის თაობაზე, და გაუქმდა არხოტის გზის მშენებლობაზე გამოცხადებული ტენდერი, – ჩვენის ღრმა რწმენით: – ამასვე შეეწირა მთიანეთისათვის მეტად საჭირო სახელმწიფო კომისია ანდრიაძის მეთაურობით (?!). რატომ, ვიღაცას ხელს არ აძლევდა ჩვენს მიერ შეთავაზებული გზის მშენებლობის იაფი ვერსია!!!

ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ ერთ „კამაცუს" და საწვავს ითხოვდა ამ საქმის „აღსრულებისათვის", ხოლო საგზაო მშენებლობის – მაფიოზური დეპარტამენტი – 9 მილიონს! ვგონებთ კომენტარი ზედმეტია! – არხოტის დაკარგვის საფრთხე კი რეალურია!

აქამდე ჩვენ ბევრი რამ დავკარგეთ ჩვენივე უგუნურებით და ამიერიდან მეტი სიფრთხილე გვმართებს! მიუხედავად იმისა, რომ პირადად არ გახლავართ არც მარქსი, არც მარშალი, არც უფრო თემურ ბასილია. – ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური აზროვნების „ჭკუის კოლოფი" (!!) – შეიძლება დაბეჯითებით გითხრათ: მომეცით იმ შეჭმული, თუ შესაჭმელი ასობით მილიონიდან ექვსი-შვიდი მილიონი დოლარი და ჩვენ, მწერალთა გაერთიანება „ბახტრიონი", „ხოგაის მინდიას სახლის" პროექტის (მოდელის) მიხედვით აღვაორძინებთ 6-7 ისტორიულ რეგიონს მაინც ჩვენი ქვეყნისას, მათ შორის არაგვის ხეობის მთიანეთს: წამოვწევთ მათ მორალურ და მატერიალურ მხარეს, გავაცოცხლებთ ისტორიულ-სამეურნეო და სულიერ სისტემებს.

მაინც რას წარმოადგენს „ხოგაის მინდიას სახლი" ფხოვის ხეობაში, რას ისახავს მიზნად ეს მოდელი?

ჩვენ უნდა აღვადგინოთ სოფელი „დახურულ სივრცეში": ხალხური ტრადიციებითა და ცხოვრების წესით, მეურნეობრიობით, შინაგანი სისუფთავით, სტუმარ-მასპინძლობით, სამეურნეო და საკულტო რიტუალთა ეტიკეტის დაცვით, ბუნებრივ სამყაროსთან მინდიასეული მიმართებით, ანუ ვაჟასეული ნათელხილვით... შეიქმნება ინფრასტრუქტურა თემ-სოფელთა ისტორიული და გეოგრაფიული ანტურაჟის მიხედვით მოსახლეობის ინტერესთა გათვალისწინებით.

„ხოგაის მინდიას სახლი" (სოფელი) იარსებებს ერთგვარ საკრალურ-ისტორიულ გარემოში, მაგრამ სასიცოცხლო ხიდებით შეერთებული იქნება გარე სამყაროსთან... ეს „სახლი" საკუთარ თავში მოიცავს და შეინახავს იმას, რისი დაცვა და შენახვა არ ხერხდება ზოგადად. მსოფლიო ცივილიზაციათა ცირკულაციისა და დროთა აპოკალიფსური ცვალებადობის (რყევის) მიზეზით...

იმ გარემოში, სადაც წინაპართა სამოსელი და ხსოვნა იბრწყინებს, ქართველი კაცი გარკვეულ სიმშვიდეს მოიპოვებს, და მისი სტუმარიც სასურველ გარემოში აღმოჩნდება...

შევთხოვ უფალს, რომ მოგვცეს ნება და შეძლება იმისა, რომ „ხოგაის მინდიას" სახლები საქართველოს ყოველ ისტორიულ კუთხეში ჩაიდგას თითო მაინც, როგორც გული, რომელიც ეროვნული გზნებით იფეთქებს!

მაგრამ აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს პროექტის ბლოკირების, მისი ინტერპრეტაციისა და მითვისების საშიშროება, როგორც არა ერთხელ მომხდარა ჩვენივე პროგრამებზე – სხვადასხვა ჯურის პლაგიატებისა და იდეათა მაროდიორების მიერ! ამ დროს რეალური ავტორი გვერდზე რჩება... ჭეშმარიტი იდეა კი იკარგება!

„ხოგაის მინდიას სახლის" შემთხვევაში ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. ვინაიდან იგი, უკვე კონტროლზეა აყვანილი პრეზიდენტის მიერ და შემდგომ მას თვალ-ყურს ადევნებს მწერალთა კავშირი, მეცნიერებათა აკადემია და ეროვნულ ტრადიციათა ცენტრი.

აქვე დავძენთ იმასაც, რომ „იფადის" დაფინანსება ფრიად უნიკალური ინვესტიციაა საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინებისა და გადარჩენისათვის. ეს ინვესტიცია საყოველთაო-სახალხო განსჯისა და განხილვის საგნად უნდა იქცეს, რომ არ აღმოჩნდეს და არ ჩაიძიროს კვლავ კორუმპირებული მაფიის ჯიბეში, როგორც არაერთხელ მოხდა!..

მთის პრობლემა ისეთი სასინჯი ქვაა, რომელიც ჩვენი ერისათვის ასე უცებ არც იწყება და არც მთავრდება. მთის პრობლემა სულ მუდამ მტკივნეული იყო და იქნება ჩვენთვის და როგორც მშვენივრად გაცხადდა ამ მოღვაწეთა საუბრებში თუ ბარს მთის მნიშვნელობა არ ეცოდინება, მაშინ ისდა შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ერის ბედი მუდამ ბუნდოვანი იქნება. სწორედ ამაზეა აქ ლაპარაკი და ამ ინტერვიუებშიც ეს გულისტკივილი გამოსჭვივის. მინდა ვირწმუნო, რომ ჩვენი სახელმწიფოც ამ პრობლემის აქტუალობას გააცნობიერებს და მთის გადარჩენისათვის რეალურად იზრუნებს.

საზღვარსაც საზღვარი აქვს, მოთმინებასაც...

გთავაზობთ შატილიონთა წერილს, რომლის ადრესატია საქართველოს მთის რეგიონების პრობლემების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი თენგიზ ონიანი

მთელმა საქართველომ გაიგო, თუ რამდენჯერ დაარღვია რუსეთმა ჩვენი საზღვარი შატილთან, დაბომბა შატილის მიდამოები და სასაზღვრო საგუშაგო, დაიჭრნენ ქართველი მესაზღვრეები. ამჟამად აღარ გვბომბავენ, მაგრამ მოხდა საზღვრის გადმოწევა 2 კმ-ით.

რუსეთის მესაზღვრეებმა წარმოადგინეს 1972 წელს შედგენილი „500"-იანი რუკა (ეს რუკა ჩვენს სასაზღვრო დეპარტამენტსაც აქვს), სადაც ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვარი დაფიქსირებულია ჩვენს ტერიტორიაზე. ჩეჩნეთის მხარეს მოჰყვა ჩვენი სალოცავი და ერთი საზამთრო სოფელი ფიჭვენი, სადაც ადრე 9 ოჯახი ცხოვრობდა, ამჟამად კი, სამი.

აღნიშნული რუკის საფუძველზე რუსი მესაზღვრეები ჩადგნენ სოფელში. შატილელთა ოჯახები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მამა-პაპათა საცხოვრებელი ადგილი, თანაც შუა ზამთარში, უთივობისა და უადგილობის გამო, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. მართალია, რუსებს არ დაუძალებიათ მათთვის სოფლის დატოვება, მაგრამ ინტენსიური სროლებისა და აფეთქებების, სასაძოვრე ტერიტორიის გარკვეულწილად შეზღუდვის გამო, მათი იქ გაჩერება შეუძლებელი გახდა. ოჯახებს იქვე დარჩათ თივა და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება. რუსები პირადი ქონების წამოსაღებადაც აღარ გვიშვებენ საკუთარ სახლებში. მათ სახურავები გალახადეს ბინებს და თავის ბლინდაჟებსა და სანგრებს გადააფარეს. გაჰყავთ გზები და ნაღმავენ მისასვლელ ბილიკებს. ერთი სიტყვით, საშვილიშვილოდ დასახლებას აპირებენ.

აღსანიშნავია, რომ ჩეჩნები საზღვარზე არავითარ პრეტენზიას არ გამოთქვამდნენ. მათაც იცოდნენ ის ზოლი, როგორც იყო დამტკიცებული საზღვარი 40-იან წლებში, სამამულო ომის წინ, მათ გასახლებამდე, ჩვენი და მათი მთავრობების მიერ.

შატილის მოსახლეობა მოგმართავთ თხოვნით, იქნებ თქვენი ჩარევით უფრო სერიოზულად მოკიდებოდა პარლამენტი და მთავრობა ამ საკითხს. გაერკვეია ვინ შეადგინა აღნიშნული რუკა, ან ვინ მოაწერა ხელი საქართველოს მხრიდან საზღვრის ამ მონაკვეთის ასე შეცდომით დადგენას!

საჭიროა, სასწრაფოდ შეიქმნას ორივე მხრიდან კომისიები (სადაც ჩვენი უხუცესები და ამჟამად შატილში მყოფი ეუთოს დამკვირვებლებიც მიიღებენ მონაწილეობას) და საზღვარი საუკუნეების მანძილზე არსებულ ტრადიციულ ზოლზე აღდგეს.

ჩვენ რუსებს ფიზიკურ წინააღმდეგობას ჯერჯერობით არ გავუწევთ, მაგრამ იძულებული გავხდებით, მივატოვოთ შატილის ტერიტორია, რაც პირიქითა ხევსურეთის დაკარგვას გამოიწვევს.

შატილის მოსახლეობის სახელით:
მიხა ლეკოს ძე ჭინჭარაული,
ირაკლი ბაძიას ძე ჭინჭარაული,
შატილი.

გვერდის ავტორი იზა ჯაჭვაძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№159. ხუთშაბათი, 15 ივნისი, 2000 წელი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი

პაქტის მე-16 და მე-17 მუხლების თანახმად წევრი სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი მოხსენებების განხილვა

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებანი

საქართველო

1. კომიტეტმა განიხილა საქართველოს პირველადი მოხსენება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის განხორციელების თაობაზე მე-3, მე-4 და მე-5 სხდომებზე, რომლებიც გაიმართა 2000 წლის 26 და 27 აპრილს, ხოლო 21-ე სხდომაზე, რომელიც გაიმართა 2000 წლის 9 მაისს, გამოაქვეყნა თავისი დასკვნითი მოსაზრებები:

A. შესავალი

2. კომიტეტი მიესალმება სახელმწიფო მხარის მიერ პირველადი მოხსენების წარდგენას, აგრეთვე, კითხვარზე წერილობით პასუხებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სამინისტროების მაღალი რანგის ოფიციალური პირებისგან შედგენილი დელეგაციის მიერ. კომიტეტი, აგრეთვე, მიესალმება დელეგაციის მზადყოფნას მოეწოდებინა საჭირო ინფორმაცია, გაეცა პასუხები დამატებით შეკითხვებზე და დელეგაციის წევრების გულწრფელობას პასუხების გაცემისას. კომიტეტი ასევე დადებითად აფასებს კონსტრუქციულ დიალოგს სახელმწიფო დელეგაციასთან. სახელმწიფო მოხსენება იყო წარდგენილი კომიტეტის მიერ დაწესებული ზოგადი ნორმების შესაბამისად.

B. პოზიტიური ასპექტები

3. კომიტეტი აღნიშნავს სახელმწიფოს ძალისხმევას დაიცვას ადამიანის უფლებები და შეასრულოს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნორმები, რაზედაც ის ფაქტი მიგვითითებს, რომ საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების უმეტესობა და აგრეთვე, საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის კონვენციები რატიფიცირებულია. კომიტეტი აღიარებს სახელმწიფო მხარის ძალისხმევას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტის მოთხოვნების განსახორციელებლად. კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ სამთავრობო დელეგაციის განცხადებით საქართველო მომავალში აპირებს შეუერთდეს საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის № 102 და № 118 კონვენციებს (კონვენცია სოციალური უსაფრთხოების მინიმალური ნორმების უზრუნველყოფის შესახებ და კონვენცია სოციალური უზრუნველყოფის სფეროში თანასწორუფლებიანობის შესახებ). ეს კონვენციები ეხება მშრომელთა სოციალურ დაცვას.

4. კომიტეტი გამოხატავს კმაყოფილებას იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად არის ითანამშრომლოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ეს ორგანიზაციებია: გაეროს განვითარების პროგრამა (**UNDP**), საერთაშორისო შრომის ორგანიზაცია (**ILO**), მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაცია (**WHO**), მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (**IMF**), ეუთო-ს რეგიონალური ორგანიზაციები. ამ თანამშრომლობის მიზანი არის პაქტში მითითებული უფლებების რეალიზაცია, განსაკუთრებით სიღატაკის პრობლემის გადაჭრა.

5. კომიტეტი ასევე მიესალმება იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო მხარემ შექმნა სამთავრობო სტრუქტურები, რომლებიც დაკავებული არიან ადამიანის უფლებებით, როგორიცაა ომბუდსმენის ინსტიტუტი და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი.

C. სიძნელეები და ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის პაქტის მოთხოვნათა განხორციელებას

6. კომიტეტი ითვალისწინებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ამჟამად იმყოფება იმ საერთო სიძნელეების ზეწოლის ქვეშ, რომელიც დამახასიათებელია გარდამავალ პერიოდში მყოფი ყველა ქვეყნისათვის. ცვლილებები, რომლებიც მოითხოვა სოციალურ, საგადასახადო, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, შრომისა და დასაქმების სფეროებში რეფორმების ჩატარებამ, არის მნიშვნელოვანი როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად. კომიტეტი გაგებით ეკიდება იმას, რომ სახელმწიფო მხარეს აქვს მძიმე პრობლემები შიდა კონფლიქტების სახით, რომლებიც არსებობს ქვეყნის გარკვეულ რეგიონებში და რომლებიც აფერხებს სახელმწიფო მხარის ძალისხმევას გააუმჯობესოს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა ყველა თავისი მოქალაქისათვის.

D. შეშფოთების ძირითადი მიზეზები

7. კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს სიღატაკის მძიმე პრობლემის გამო, რომლის გადაჭრას საქართველოს მთავრობა ცდილობს. მიუხედავად სახელმწიფო მხარის ძალისხმევისა, ხელფასის საშუალო მინიმუმი საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის არ შეესაბამება სასიცოცხლო სტანდარტს.

8. გარდა ამისა, კომიტეტის შეშფოთებას იწვევს სიღატაკის დასაძლევად გატარებულ ზოგიერთ ღონისძიებათა არაადეკვატურობა, გვეჩვენება, რომ პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და მის განხორციელებაში მართვას აკლია ეფექტიანობა. ეს განსაკუთრებით ეხება საპენსიო და საგადასახადო სისტემის რეფორმას. ზუსტად დადგენილი ძირითადი პარამეტრების და ინდიკატორების ნაკლებობა აფერხებს გარდამავალ პროცესს.

9. ზოგადად, კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები არ არის იმდენად მყარი, რათა შევძლოთ სხვადასხვა პრობლემის სწორი ანალიზი და შეფასება, მაგალითად, ქვეყანაში სიღატაკის დონის განსაზღვრა, რეალური საარსებო მინიმუმის დადგენა.

10. კომიტეტი მიიჩნევს, სტატისტიკა ბიუჯეტის ტრანსფერის შესახებ ცენტრალურიდან ადგილობრივი მმართველობის რგოლებში განათლების და ჯანმრთელობის დარგებში არ არის საკმარისი, რათა შევიქმნათ მყარი შეხედულება ამ სფეროებში არსებული პროგრესის შესახებ.

11. კომიტეტი ასევე შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოს ეკონომიკის სექტორში დაკავებული მუშები დროულად ვერ იღებენ ხელფასებს.

12. კომიტეტი გამოხატავს შეშფოთებას იმ ფაქტის თაობაზე, რომ არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ინვალიდებისათვის სამუშაო ბაზარს ხელმისაწვდომს გახდის.

13. კომიტეტი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ქალთა შორის უმუშევრობა მაღალია და ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილნი შრომის ბაზარზე, განსაკუთრებით საჯარო სექტორში, პარლამენტის ჩათვლით.

14. ამასთანავე, კომიტეტი შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში ქალთა მიმართ უთანასწორობის აღმოფხვრა, ჯერ მთლიანად არ არის განხორციელებული.

15. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა და სექსუალური ძალადობა სამუშაო ადგილებზე არ არის საკმარისად და ადეკვატურად ასახული კანონმდებლობაში.

16. კომიტეტი შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ მათხოვარ ბავშვთა რიცხვი არის ზრდის ზღვარზე და ბევრი მათგანი უფროსების მიერ ჩათრეულია სისხლის სამართლებრივ ქმედებებში.

17. კომიტეტი სინანულს გამოთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ სახელმწიფო მხარის მიერ წარმოდგენილი მონაცემები საოჯახო სიტუაციაზე, ისევე, როგორ ძალისმიერი გამოსახლების თაობაზე, არ იყო საკმარისი, რათა კომიტეტს უფრო ნათელი და კომპეტენტური აზრი ჩამოეყალიბებინა ამ მოვლენათა ირგვლივ. ამასთანავე, კომიტეტი სინანულით აღნიშნავს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა ვერ მოხერხდა.

18. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მოსახლეობა ფლობს მწირ ინფორმაციას რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების შესახებ. განსაკუთრებით ეს ეხება კონტრაცეპტული საშუალებების გამოყენებას.

19. რაც შეეხება განათლებას, კომიტეტი აღნიშნავს, რომ საშუალო სკოლის ახალ პროგრამებში არის შეუსაბამობა სამხედრო წვრთნის (3 ერთეული) და სამართლის საფუძვლების (1 ერთეული) სწავლების საათებს შორის.

E. რჩევები და რეკომენდაციები

20. კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარემ სიღატაკის დაძლევა ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად გამოაცხადა. ამ პოლიტიკისა და ღონისძიებათა პარალელურად, რომელსაც სახელწიფო ატარებს, კომიტეტი გირჩევთ, რომ ამ პოლიტიკის გატარების დროს მხედველობაში მიიღოთ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტით განსაზღვრული ვალდებულებანი და ასევე, კომიტეტის მიერ მოწოდებული რეკომენდაციები.

21. კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ სახელმწიფო მხარემ გააგრძელოს საერთაშორისო ტექნიკური მხარდაჭერის ძიება, გათვალისწინებული პაქტის 23-ე მუხლით, რათა გააუმჯობესოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელება ქვეყანაში“.

22. ამასთანავე, კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ სახელმწიფო მხარემ სრულად გაითვალისწინოს ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო ვალდებულებები საერთაშორისო ორგანიზაციებთან ტექნიკური თანამშრომლობის ან სხვა ფორმის ურთიერთობის დროს. კომიტეტი გირჩევთ, მიიღოთ მხედველობაში ამ ორგანიზაციების განსხვავებული მიდგომა, მაგალითად, **UNDP**-თვის დამახასიათებელი ადამიანთა განვითარებისადმი განსაკუთრებული მიდგომა.

23. კომიტეტი მხარს უჭერს **UNDP**-ის მიერ 1999 წელს საქართველოს შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში „ჰუმანური განვითარების შესახებ“ აღნიშნულ ფაქტს, რომ სახელმწიფო მხარემ სიღატაკის დონის ზღვარი არ შეამცირა, თუმცა მან ასეთი მოთხოვნა მიიღო. ეს ცვლილება სიღატაკის მდგომარეობის არასწორ სურათს წარმოაჩენდა. კომიტეტი მოითხოვს სახელმწიფო მხარისაგან ადეკვატური ღონისძიებების გატარებას, რათა მინიმალური ხელფასი საკმარისი გახდეს ხელფასის მიმღები პირის და მისი ოჯახის ძირითად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

24. კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ სახელმწიფო მხარემ მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა ხელფასი დროულად გაიცეს სხვადასხვა სექტორში მომუშავე პირებზე.

25. კომიტეტი ასევე გირჩევთ, რომ სახელმწიფო მხარემ მიიღოს შესაბამისი კანონმდებლობა, რათა ინვალიდებისათვის შრომის ბაზარი ხელმისაწვდომი გახდეს.

26. ვითვალისწინებთ რა იმ შეზღუდულ რესურსებს, რომელიც ამჟამად სახელმწიფო მხარეს გააჩნია, კომიტეტი გირჩევთ, რომ მიიღოთ სათანადო ზომები, რათა ყურადღება გამახვილდეს იმ ძირითად პრიორიტეტებზე, როგორიცაა ქალთა და მამაკაცთა არათანაბარი წარმომადგენლობა საზოგადოებრივ სექტორში, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული გეგმის შექმნა. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ასეთი საქმიანობისათვის შესაძლებელი იქნება საერთაშორისო ტექნიკური დახმარების მოთხოვნა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისისაგან და გაეროს განვითარების პროგრამისგან (**UNDP**).

27. კომიტეტი მოითხოვს, რომ სახელმწიფო მხარემ ბოლომდე განახორციელოს ქალთა პრობლემებზე მიმართული ეროვნული სამოქმედო გეგმა. ასევე, კომიტეტი იძლევა აუცილებელ რეკომენდაციას ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის, ამ პრობლემების მოსაგვარებლად სათანადო ზომების გატარების და შესაბამისი კანონმდებლობის მიღების შესახებ.

28. აგრეთვე, სახელმწიფო მხარეს ეთხოვება მიაქციოს ყურადღება მათხოვარი ბავშვების რიცხვის ზრდას და მიიღოს სათანადო ზომები ამ პრობლემის გადასაჭრელად.

29. ასევე, კომიტეტი გირჩევთ, რომ სახელმწიფო მხარემ შექმნას პირობები, რათა ადგილნაცვალი პირები დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს.

30. კომიტეტი გირჩევთ, რომ სახელმწიფოს მხარემ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები საზოგადოების რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებში გათვითცნობიერების გასაუმჯობესებლად. ამ მიმართულებით სახელმწიფოს შეუძლია მოიპოვოს საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორებიცაა მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაცია (**WHO**), გაეროს დახმარების პროგრამის (**UNAIDS**) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (**UNFPA**) რჩევები და დახმარება.

31. რაც შეეხება საშუალო სკოლის პროგრამების შედგენას, სახელმწიფო მხარემ დააბალანსოს სამხედრო წვრთნისა და სამოქალაქო განათლებისთვის, მათ შორის სამართლის საფუძვლების საგნისთვის, გამოყოფილი დრო.

32. კომიტეტი გთხოვთ, რომ პაქტის განხორციელების შესახებ საქართველოს მეორე პერიოდულ მოხსენებაში ხაზგასმული იქნას ყველა გატარებული ღონისძიების და შესაბამისი პროგრესის შესახებ. განსაკუთრებით იმ წინადადებებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლებიც კომიტეტმა მოგაწოდათ თავის დასკვნით კომენტარებში.

თარგმნა
ელენე გოგუაძემ.

გუსინსკი „ბუტირკაში“ მოაყუჩეს

ვლადიმერ გუსინსკი დაპატიმრებულია 10 მილიონი დოლარის თაღლითობის გზით დატაცების ეჭვით. მაგრამ მაგნატის ადვოკატმა გენრი რეზნიკმა თქვა, რომ საბუთებში არაფერია ნათქვამი, თუ, სახელდობრ, რისთვის დააპატიმრეს მედია-ჰოლდინგის მეთაური.

НТВ ტელევიზიისადმი ინტერვიუში რეზნიკმა განაცხადა, რომ ვლადიმერ გუსინსკიმ იგი თავის ადვოკატად აიყვანა და რომ პირველი დაკითხვა ოთხშაბათს 14 საათისათვის იყო დანიშნული „ბუტირკის“ საგამოძიებო იზოლატორში.

ამასობაში, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, რომელიც ესპანეთში იმყოფება, თქვა, რომ ვლადიმერ გუსინსკის დაპატიმრება მისთვის მოულოდნელობა იყო, და გამოთქვა იმედი, რომ სამართალდამცველ ორგანოებს, ალბათ, ჰქონდათ საამისო საფუძველი. რუსეთის მთავრობაში არ განმარტავენ გენერალური პროკურატურის ორგანოების მიერ „მედია-მოსტის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ გუსინსკის დაპატიმრებას.

მთავრობის სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიანოვოსტისადმი ინტერვიუში ხაზი გაუსვა, რომ გენერალური პროკურატურა დამოუკიდებელი ორგანოა და „მოქმედებს თავის უფლებამოსილებათა ფარგლებში. მაგრამ მთავრობა ვერ განმარტავს გუსინსკის დაპატიმრებას, რადგან ეს შეიძლება შეფასდეს როგორც ჩარევა გამოძიების მიმდინარეობაში“, – შენიშნა კაბინეტის წარმომადგენელმა.

ვლადიმერ გუსინსკი ამჟამად იმყოფება მოსკოვის ერთ-ერთ საგამოძიებო იზოლატორში. სამშაბათს 17 საათზე იგი გენერალურ პროკურატურაში გამოიძახეს ჩვენების ჩამოსართმევად იმ პისტოლეტის ვაზნების შენახვასთან დაკავშირებული საქმის გამო, რომელიც ვიქტორ ჩერნომირდინმა აჩუქა. მაგრამ ორი საათის შემდეგ გამოვიდა გამომძიებელი და თქვა, რომ ვლადიმერ გუსინსკი დაკავებულია რფ სსკ 159 მუხლის შესაბამისად („სხვისი ქონების დიდძალი ოდენობით მოტაცება პირთა ჯგუფის მიერ, მოტყუებისა და ნდობის ბოროტად გამოყენების გზით, სამსახურებრივი მდგომარეობით სარგებლობის პირობებში (თაღლითობა) და ეჭვმიტანილია 10 მილიონი დოლარის დატაცებაში).

გამოძიება თვლის, რომ უკანონო მოქმედების შედეგად ვლადიმერ გუსინსკიმ ფედერალური სახელმწიფო საწარმო „რუსეთის სახელმწიფო კომპანია“ „რუსკოე ვიდეოს“ ზოგიერთ ხელმძღვანელთან ერთად უსასყიდლოდ ამოიღო სახელმწიფო საკუთრებიდან სულ ცოტა 10 მილიონი დოლარის ქონება. „მედია-მოსტის“ პრესმდივანმა დიმიტრი ოსტალსკიმ თქვა, რომ გამომძიებელთა მონაცემებით, ჰოლდინგი ეჭვმიტანილია პრივატიზაციასთან დაკავშირებულ მაქინაციებში. მან აღნიშნა, რომ თუმცა „მედია-მოსტი“ ნამდვილად ფლობს კომპანიის აქციების მნიშვნელოვან პაკეტს, პრივატიზაცია მოხდა დიდი ხნით ადრე იქამდე, სანამ „ჰოლდინგი“ „რუსული ფონდების“ ბედში ჩაერეოდა.

ამჟამად გუსინსკის დაპატიმრების საქმეზე მუშაობს რამდენიმე ადვოკატი, მათ შორის, მიხეილ ბურმისტროვი და პაველ ასტახოვი.

დასავლეთი ღელავს

ბრიტანული „გარდიანი“ აღნიშნავს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ დააპატიმრეს ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი, კაცი, რომელიც თანამიმდევრულად აკრიტიკებდა პრეზიდენტ პუტინს უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე. იუწყებიან, რომ დაპატიმრება მოხდა სულ 2 თვეში მას შემდეგ, რაც გაჩხრიკეს „მედია-მოსტის“, რუსეთის ბიზნეს-იმპერიის ნერვის“ ოფისი. გაზეთის აზრით, დაპატიმრება გარდაუვალად გამოიწვევს პროტესტებს და გააძლიერებს რუსეთის საზოგადოების ლიბერალური ნაწილის ათიწლისწინანდელ შიშს, აგრეთვე შეახსენებს მკითხველს, რომ ვლადიმერ გუსინსკი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან საზოგადო მოღვაწეთაგან, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ნატოს შარშანდელ კოსოვოს კამპანიას. „გარდიანი“ დასძენს, რომ ამ ორიოდ კვირის წინ უცხოელი ჟურნალისტებისადმი ინტერვიუში ვლადიმერ გუსინსკიმ სერიოზული შეშფოთება გამოთქვა რუსეთში პოლიტიკური პროცესების განვითარების გამო.

მეორე ბრიტანული გამოცემა „დეილი ტელეგრაფი“ წერს, რომ კრემლის შეტევა დამოუკიდებელ პრესაზე გრძელდება, და ამის გამოხატულებაა უდიდესი მედია-მაგნატის დაპატიმრება. გუსინსკის დაპატიმრებაზე პრეზიდენტ პუტინის რეაქციას გაზეთი ახასიათებს როგორც „დაპატიმრებისაგან აშკარა დისტანცირების ცდას“. გაზეთის აზრით, ვლადიმერ გუსინსკის დაპატიმრებას სულ მალე მწვავედ გამოეხმაურება დასავლეთი. „დეილი ტელეგრაფი“ მკითხველს შეახსენებს, რომ ივნისის დამდეგს მოსკოვში ყოფნისას, პრესის თავისუფლების გამო შეშფოთება გამოთქვა აშშ პრეზიდენტმა კლინტონმა. ამასთან დაკავშირებით, გაზეთი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ ვლადიმერ გუსინსკი ებრაელთა რელიგიური თემების კონგრესის მეთაურია და გავლენიანი მეგობრები ჰყავს საზღვარგარეთ.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, რომ გუსინსკის დაპატიმრება შეშფოთებას იწვევს პრესაზე ზეწოლის გაძლიერების გამო. განმარტავს რა პრეზიდენტ პუტინის რეაქციას გუსინსკის დაპატიმრებაზე, გაზეთი წერს, რომ შეიძლებოდა ყოფილიყო მოვლენათა განვითარების ორი ვარიანტი. პირველი – განეცხადებინა, რომ „გუსინსკის დაპატიმრება მისთვის საეჭვო საჩუქარია“, „პრეზიდენტმა ამრიგად სცადა, თავი დაეზღვია დასავლეთის ლიდერთა რეაქციისაგან, რომელიც უაღრესად მწვავე იქნება“. მეორე ვარიანტის შესაბამისად, „კრემლის მოხელეებს შეეძლოთ დაეპატიმრებინათ გუსინსკი პუტინის დაუკითხავად ან იმ მიზნით, რომ დაეშინებინათ მაგნატი, რათა პრეზიდენტი რთულ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ“.

ჟურნალი „ნიუსუიკი“ წერს: გუსინსკის დაპატიმრება დაკავშირებულია იმასთან, რომ რუსეთის პრეზიდენტი უსწორდება არასასურველ „ტიკინებს“ „ნიუსუიკს“ მიაჩნია, რომ გუსინსკის დაპატიმრება, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმასთან, რომ კრემლში გული მოსდით პროგრამა „ტიკინებზე“. უწინარეს ყოვლისა, უკმაყოფილოა თვით პუტინი. როგორც ცნობილია, მან უკვე გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ პროგრამაში მისი თოჯინა გამოიყენება. ჟურნალი წერს, რომ თუ ტელეეკრანებიდან გაქრება პუტინის თოჯინა, მაშინ ყველა მყისვე მიხვდება, თუ რა ხდება ამ ქვეყანაში.

გაზეთმა „ფაინენშლ ტაიმსმა“ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვში ბევრისათვის ყველაზე დამოუკიდებელი ბეჭდვითი და ელექტრონული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელის დაპატიმრება გახდა შეტევა თავისუფალ პრესაზე, რომელიც ეს-ეს არის იდგამს ფეხს. მოსკოვის ამასწინანდელი ვიზიტის შემდეგ აშშ პრეზიდენტი ბილ კლინტონი ეთერში გამოვიდა რადიოსადგურ „მოსკოვის ექოთი“, რომელიც ჰოლდინგს ეკუთვნის, და დაიცვა თავისუფალი პრესა. ზოგიერთები აღნიშნავენ, რომ დაპატიმრება უნდა განვიხილოთ გუსინსკისა და სხვა ოლიგარქებს, უწინარესად, მის ძველ მეტოქეს, ბორის ბერეზოვსკის, შორის გავლენისათვის ბრძოლის კონტექსტით, იმ გავლენიან ოლიგარქთა ჯგუფში, რომლებიც რუსეთში გაჩნდნენ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, გუსინსკი უმეტეს იზოლაციაში აღმოჩნდა. როგორც „ფაინენშლ ტაიმსი“ წერს, ებრაელთა მსოფლიო კონგრესის წარმომადგენლის დაპატიმრება პროტესტებს გამოიწვევს საერთაშორისო გაერთიანების მხრივ, ვინაიდან კონგრესს ფართო საქმიანი ინტერესები აქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, და გარდა ამისა, დაპატიმრება დროის მიხედვით ემთხვევა რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტს ესპანეთსა და გერმანიაში. რაც შეეხება თვით მედია-ჰოლდინგს, მას დესტაბილიზაცია ემუქრება სწორედ იმ მომენტში, როდესაც მნიშვნელოვანწილად წყდება მისი საფინანსო ბედი.



„იერუსალიმის „პოსტი“ აღნიშნავს, რომ გუსინსკის დაპატიმრება უკავშირდება რამდენიმე საათით ადრე მომხდარ რუსეთის ახალი უზენაესი რაბინის არჩევნებს. გაზეთი წერს, რომ ბერლ ლაზარი ამ პოსტზე აირჩიეს რუსეთის ებრაელთა თემების ფედერაციის ყრილობაზე, რომელიც ოპოზიციაში უდგას ებრაელთა რელიგიური თემების კონგრესს და უზენაეს რაბინს ადოლფ შაევიჩს, რომელიც გუსინსკის თანამოსაგრეა. როგორც იუდეური ეკლესიის მეთაურის არჩევა. ლუბავიჩელ ჰასიდთაგან, ისე რუსეთში უდიდესი მედია-მაგნატისა და ებრაული ეროვნების მოქალაქის გუსინსკის დაპატიმრება საგონებელში აგდებს ებრაელთა თემს, აღნიშნავს გაზეთი. ბოლოდროინდელ ამბებს რუსეთის ებრაელთა თემში მიმდინარე დაპირისპირება გადაჰყავს ახალ დონეზე, რომელიც უკვე კონტროლს აღარ ექვემდებარება. თავის მხრივ, ბერლ ლაზარმა უარყო ყოველგვარი კავშირის არსებობა მის არჩევასა და გუსინსკის დაპატიმრებას შორის. ის ფაქტი, რომ ებრაელთა რელიგიური თემების კონგრესის ავტორიტეტული ლიდერი საპატიმროში იმყოფება, უაღრესად საშიშ მდგომარეობაში აგდებს მთელ ებრაელთა თემს, ხაზი გაუსვა ლაზარმა და თქვა, რომ აუცილებლად მიმართავს ხელისუფალთ მოწოდებით, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ გუსინსკი. მე ვლოცულობ, რომ მისი უდანაშაულობა უახლოეს დღეებში დამტკიცდეს და მან შეძლოს, განაგრძოს თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობა ებრაელთა თემში.

გაზეთი „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგი“ წერს, რომ გუსინსკის დაპატიმრება მოხდა, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური მოტივებით, და ამ აქციის მიზანია, დაადუმონ კრიტიკულად განწყობილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

ახალი წიგნი – „ამერიკული რაფსოდია“



მომავალ თვეში დასავლეთის ცნობილი გამომცემლობა KNOPF-ი 200 ათას ცალად გამოსცემს ჯო ესტარხის ახალ წიგნს „ამერიკული რაფსოდია“, რომელიც ბილ კლინტონის რვაწლიან მმართველობას ასახავს.

წიგნის ავტორმა აირჩია ერთობ ორიგინალური მიდგომა პრეზიდენტის მოღვაწეობის აღწერისადმი, საქმე ის არის, რომ წიგნი დაწერილა კლინტონის... სასქესო ორგანოს პირით და არა მისი პატრონის სახელით. ასო, მეტსახელად ვილი, ყველა მსურველს უამბობს რამდენიმე ისტორიას, რომელიც ეხება ჯენიფერ ფლოუერზის – ზემოაღნიშნული ორგანოს ერთ-ერთი სკანდალურად ცნობილი პრეტენდენტის მონაყოლს. თავის მოგონებებში ფლოუერზი დაწვრილებით აღწერს სად, როდის და რა ხერხებით ჰქონდა სამიჯნურო კავშირი პრეზიდენტთან.

„პრეზიდენტმა ეს-ეს არის წაიკითხა ერთი ეგზემპლარი და ისეა გამძაგებული, ვერ მიეკარებიო“, – ჰყვებიან მასთან დაახლოებული პირნი. „ეს ნამდვილი სუპერია!“

ამერიკის საზოგადოება უკვე რამდენიმე თვეა კამათობს იმაზე, თუ რა გახდება აშშ 42-ე პრეზიდენტის ძირითადი მემკვიდრეობა. ერთნი ამტკიცებენ, – ახლო აღმოსავლეთის ამბებიო, მეორენი – აშშ ეკონომიკის ცვლილებებიო. ჯო ესტერხმა გადაწყვიტა, „გაახალისოს“ ეს კამათი. იგი თვლის, რომ მთავარი, რაც კლინტონისაგან დარჩება – ეს არის მისი სამიჯნურო თავგადასავლები, მაგრამ ესტერხი ამტკიცებს, რომ სხვა ჭორიკანა ავტორების თხზულებებისაგან განსხვავებით, მისი წიგნი მთლიანად ეფუძნება რეალურ მოვლენებს. სულ მალე, ყველა მსურველს შეეძლება გაიგოს „ვილისაგან“, მართლა ასეა ეს, თუ არა. წიგნი 18 ივლისს გამოდის და მაშინვე გაჩნდება მომავალი ბესტსელერის რადიოვერსიაც.

მეცნიერული სტრიპტიზი 50 ათასი დოლარი ღირებულა

კანადელმა პროფესორმა, რომელმაც გადაწყვიტა მეცნიერული ნაშრომი მიუძღვნას სტრიპტიზს, ხელისუფალთა სრული მოწონება მოიპოვა, აღნიშნავს ბი-ბი-სის სააგენტო. კანადის მთავრობამ უკვე გამოუყო პროფესორს ფული სამი წლის კვლევისათვის და სულ მალე სტრიპტიზს მეცნიერული დასაბუთება ექნება.

კანადის მთავრობამ, სოციოლოგიისა და ადამიანის კვლევის საბჭოს სახით, მიიჩნია, რომ სტრიპტიზის დეტალური შესწავლა აუცილებელია მეცნიერებისათვის და ბეკი როსს, ინგლისური კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორს, 50 ათასი დოლარი გადაუხადა.

41 წლის ქალბატონი, პროფესორი როსი თავის ინტერესს სტრიპტიზისადმი მარტივად ხსნის. იგი მრავალი წლის მანძილზე უყურებდა ჭოკის ირგვლივ მროკავ შიშველ გოგონებს, და ახლა ეროტიკული ცეკვების მოყვარულმა გადაწყვიტა, ერთმანეთს შეუთავსოს სამუშაო და ჰობი.

„მე მოხიბლული ვარ სტრიპტიზიორებით, მათი მუშაობის პირობებითა და ცხოვრების სტილით“, – ამბობს იგი. – ისინი ერთ ადგილზე არ სხედან, სამუშაო გამუდმებით აიძულებს, იარონ, ისევე, როგორც ჩოგბურთელებმა, ჰოკეისტებმა და მომღერლებმა“. და სინანულით დასძენს, რომ ვარსკვლავებისაგან განსხვავებით სტრიპტიზიორებს არავინ არ იცნობს და არ აფასებს.

მომავალი მეცნიერული მუშაობის პროცესში როსს სურს, არა მარტო შეისწავლოს ყველაფერი, რაც დღეს ხდება სტრიპტიზში, რისთვისაც უამრავი სტიპკლუბის მოვლა მოუწევს. როსს განზრახული აქვს, დაწეროს სტრიპტიზის უახლესი ისტორიაც. ამისათვის მან უნდა ჩამოართვას ინტერვიუები ქალებს, რომლებიც გატიტვლების გზით მოულობდნენ ლუკმაპურს 1945-დან 80-იან წლებამდე პერიოდში.

გარდა ამისა, როსის გადაწყვეტილებით, მთავრობის მიერ გადახდილი ფული მოხმარდება იმ სტუდენტების ჯამაგირსაც, რომლებიც მოისურვებენ, შეუერთდნენ კვლევას.

როსის თაოსნობის წინააღმდეგ გამოდის მხოლოდ კანადის ბეგარის გადამხდელთა ფედერაცია. როდესაც შეიტყო, რომ ხელისუფლებმა სოლიდური თანხა გაიღეს სტრიპტიზის შესასწავლად, ფედერაციის წარმომადგენელმა მარკ მაიკლმა განაცხადა: „ნუთუ სტრიპტიზში შეიძლება გამოიძებნოს რაიმე საინტერესო მეცნიერებისათვის“?!



უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან
არჩილ მანჯგალაძე, ლევან ბოჭორიშვილი

სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურის სატენდერო კომისია

აცხადებს ტენდერს სასოფლო-სამეურნეო კულტურებში მავნებლების (მდელოს ხვატარი, ციტრუსოვანთა მენალმე ჩრჩილი, ამერიკული თეთრი პეპელა) საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩასატარებლად **(ქ. თბილისი, 380062, ი. ჭავჭავაძის პრ. 82)**:

1. პირველი ლოტი – ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატების შეძენა, პირეტროიდული ჯგუფის ინსექტიციდები 9850 ლიტრი და 600 ლიტრი ბიოლოგიური პრეპარატი. საქონელს უნდა გააჩნდეს შესაბამისობის სერთიფიკატი; არ უნდა იყოს ვადაგასული. მიწოდების ვადა თანხის მიღებიდან არა უგვიანეს 15 დღის ვადაში.

2. მავნებლის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება;

მეორე ლოტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატებით დასენიანებული ფართობების დამუშავება 1780 ჰა;

მესამე ლოტი – სამეგრელოს რეგიონი 3340 ჰა;

მეოთხე ლოტი – იმერეთის რეგიონი 1130 ჰა;

მეხუთე ლოტი – გურიის რეგიონი 1350 ჰა;

მეექვსე ლოტი – აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სამეგრელოს და გურიის რეგიონებში მდელოს ხვატარის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება ავიაციით 4000 ჰა-ზე.

სამუშაოს ჩატარების ვადებია ივნისი-სექტემბერი.

3. ტენდერში მონაწილეობისათვის იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა მიმდინარე წლის 30 ივნისიდან მცენარეთა დაცვის სამსახურში, ქართულ ან რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა, მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების პროცესი, არ უნდა ხორციელდებოდეს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

ბ) მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი, არ უნდა იყოს მათ მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

აღნიშნულ მონაცემებს მისი დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა ახლდეს შესაბამისი ორგანოებიდან (ნოტარიუსთა პალატა, რაიონული სასამართლო).

4. საკვალიფიკაციო მონაცემების მიღება დამთავრდება 6 ივლისს.

5. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების შემდეგ, პრეტენდენტი დაიშვება ტენდერში მონაწილეობისათვის და მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციას ქართულ ენაზე, მცენარეთა დაცვის სამსახურში, 4 დღის ვადაში, თუ პრეტენდენტი შესულია სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებულ პრეტენდენტთა სიაში და გადახდილი ექნება სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით.

6. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: მცენარეთა დაცვის სამსახური, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 82,
ტელ. 23-10-44, ლევან ყანჩაველი.

სახელები

ქართული დუდუკის დედოფალი

ანა ვარდიაშვილი — 100

კახეთის ულამაზეს სოფელ საბუეში დაბადებულ ანა ვარდიაშვილს ოჯახურ გარემოშივე დახვდა სიმღერისადმი განსაკუთრებული სიყვარული. მისი შორეული და ახლო წინაპრები სასულიერო პირები იყვნენ და მრავალმხრივ საინტერესო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდნენ. მამა — დიმიტრი ვარდიაშვილი, კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილთან მეგობრობდა და ვიდრე მღვდლად აკურთხებდნენ, თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე პირველად მან შეასრულა მეგობრის მუსიკალური შედევრი „დაიგვიანეს“.

ანას დედა ოლღა მანსვეტაშვილი ფაქიზად ზრდიდა გოგონას, მაგრამ ბედმა უმუხთლა. ორი წლისა იყო ანა, როდესაც განგებამ მშობლის ალერსს მოსწყვიტა. ბავშვის აღზრდა მამიდა ქეთომ ითავა. მისი მზრუნველობაც იღბლიანი გამოდგა. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულმა ქეთომ ქართული „იავნანას“ უტკბეს ჰანგზე აღზარდა მომავალი მომღერალი.

წლები გადიოდა. ანა ვარდიაშვილი საფუძვლიანად დაეუფლა ფანდურზე დაკვრის ხელოვნებას. თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელში სწავლის დროს არაერთხელ მოუხიბლავს მსმენელი. განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო მწერალი ქალის — მარიჯანისადმი მიძღვნილი საღამო, სადაც ანა ვარდიაშვილმა ფანდურის თანხლებით ქართული სიმღერები შეასრულა.

თბილისში საცხოვრებლად ჩამოსულმა ანა ვარდიაშვილმა თეატრალური სტუდია დაამთავრა და რუსთაველის თეატრის დასში ჩაირიცხა. სანდრო ახმეტელმა თავიდანვე შენიშნა ელვარე ტალანტი და ფართო გასაქანი მისცა მის შემოქმედებას. აღსანიშნავია, რომ სანდრო ახმეტელმა მეუღლის დაბადების დღეს (პირველ მაისს) დიდი ზეიმი მოაწყო და რჩეული საზოგადოება მოიწვია. სტუმართა შორის იყვნენ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გოგლა ლეონიძე და სხვები. მე და ჩემი ფანდურიც ამ წვეულების მონაწილენი ვიყავითო, — იგონებდა შემდეგ ანა ვარდიაშვილი. როგორც ჩანს, სანდრო ახმეტელს პირველად ამ ბომონდში სურდა ფანდურის მომავალი ბედ-იღბლის გამოცდა, რასაც კარგად მიუხვდა გოგლა ლეონიძე და განსაკუთრებული სადღეგრძელო უძღვნა ახალ ეროვნულ წამოწყებას — ფანდურის ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გატანას და დამკვიდრებას.

ანა ვარდიაშვილი დიდად გაიტაცა დუდუკის რბილმა ხმოვანებამ. თავის მხრივ საქართველოს ახლად დაარსებულმა რადიომ ფართოდ გაუხსნა კარი მომღერალს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აქაც რაღაც იღბლიანმა შემთხვევამ (რომელსაც ცოტა ქვემოთ გიამბობთ), დუდუკის ჰანგიც გადაარჩინა დავიწყებას და მომღერლის გატაცებასაც სანაქებო დასაბამი შეუქმნა.

გამოჩენილმა ქართველმა მსახიობმა ქალბატონმა თამარ ბაქრაძემ მიამბო:

— ანას განსაკუთრებით უყვარდა სიმღერა, თავდავიწყებით მღეროდა და მსმენელს უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა. მალაურელი მწყემსი ბიჭის გათლილ ფანდურზე ისე ასრულებდა სიმღერებს, რომ თვალწინ წარმოგიდგებოდათ ალაზნის ველი, თოვლიანი კავკასიონი. აშკარად ვუჭვრეტდით კახელ გოგო-ბიჭებს, ჩაგვესმოდა მათი შაირობა, ხუმრობა, შორს კი, მთის ფერდობზე ცხვრის ფარას ვხედავდით და გვესმოდა მეცხვარის ნაღვლიანი სიმღერა. აი, ასეთ გარემოცვაში აღიზარდა ჩვენი ანა. მეცხვარეებმა შეაყვარეს ფანდური და იუმორით სავსე სიმღერები.

1939 წელს მოსკოვში რუსთაველის თეატრის გასტროლებს მღელვარედ ადევნებდა თვალს თეატრალური საზოგადოების უზარმაზარი სამყარო. საკავშირო რადიოკომიტეტმა მოაწყო რუსთაველის თეატრის სპექტაკლის გადაცემა. ანა ვარდიაშვილი ამ დროს წარსდგა მუსიკალურ გადაცემათა მთავარი რედაქტორის ი. ტარნაპოლსკის წინაშე და სთხოვა, მედუდუკეთა ანსამბლთან ერთად ჩემს სიმღერასაც მოუსმინეთო.

— მთლიანად კონცერტს ვერ დაგპირდებით, — მიმართა ანას ი. ტარნაპოლსკიმ, — ჩვენს გადაცემებში მონაწილეობას ცნობილი მომღერლები თვეობით ელოდებიან. გასინჯვაზე კი, უარს არ გეტყვით. და აი, ეს ნანატრი „გასინჯვაც“ დაიწყო. წარმოუდგენლად ღელავდა სანდრო ახმეტელი, როგორც კი ანამ „იავნანას“ პირველი ბგერები გამოსცა, მის გვერდით მდგომმა სანდრომ საკმაოდ ხმამაღლა ჩაილაპარაკა: „ქართველებმა გავიმარჯვეთ!..“.

მეორე დღეს მოსკოვის რადიომ მთლიანად გადასცა ანსამბლის პროგრამა, რამდენიმე დღის შემდეგ კი, ანა ვარდიაშვილის სიმღერას მთელი ევროპა ისმენდა. დუდუკების თანხლებით დიდებულად აჟღერდა სიმღერები „მშვენიერო, შენ გეტრფი“, „მახსოვს პირველად სასწავლებელში“, „ისევ შენ და ისევ შენ“, „სულიკო“, „იავნანა“, „ყაყაჩო აყვავებულა“, „არწივი“ და სხვა. ამის შემდეგ ანა ისე გაიტაცა ამ ჟანრმა, რომ დუდუკი მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

პირადად მე, ჩემს ძვირფას მეგობარ ქალბატონ ანა ვარდიაშვილს 6 წლისამ მოვუსმინე. მომნუსხა მისმა ხავერდოვანმა, მომაჯადოებელმა ხმის ჟღერადობამ და მამას, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობს კოლია ანთაძეს ვთხოვე, ანა გამაცანი-მეთქი. ეს სანატრელი შეხვედრა კარგა ხანს არ შედგა.

ერთხელ, ჩემმა მეგობარმა, ოპერეტის თეატრის ცნობილმა მომღერალმა მიხეილ ბერიაშვილმა ერთ-ერთ ოჯახში სტუმრად წამიყვანა (არ მითხრა სად მივყავდი). კარზე წარწერას დავაკვირდი და მოულოდნელობისაგან სახტად დავრჩი. კარი თვითონ ანა ვარდიაშვილმა გაგვიღო. მოწყენილი იყო, ახლად გარდაცვლილ მეუღლეს გლოვობდა.

დავსხედით, ვისაუბრეთ. ხელოვნებაზე მსჯელობის დროს ანას თვალებში ცეცხლოვანი ნაპერწკლები აციმციმდა. ასეთი მეტყველი და შინაარსიანი თვალები მანამდე არასდროს მენახა. წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა განსწავლულობამ, სისადავემ, მართლაც დედოფლურმა თავდაჭერამ, ზრდილობამ. ყველაფერ ამას მსახიობისათვის დამახასიათებელი შინაგანი ექსტაზი ალამაზებდა. ვიგრძენი, რომ ხელოვანს სულიერად უჭირდა და ნებისმიერი მცირედი მხარდაჭერაც მისთვის უებარი წამალი იქნებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთ „თბილისში“ გამოვაქვეყნე წერილი სათაურით „შენი სიმღერა ახლაც გვამხნევებს, ანა“, რამაც იგი დიდად გაახარა. ამას მოჰყვა სატელევიზიო გადაცემა „ანა ვარდიაშვილი“, აგრეთვე, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სხვა მრავალი მასალა. დავმეგობრდით, დავნათესავდით. მისი სიხარული და ტკივილები საკუთარი შვილივით გავითავისე.

ანასთან, ჩემს დანათესავებას (იგი ბიძაშვილად მთვლიდა) ფართო საზოგადოების წრესთან დამეგობრებაც მოჰყვა. აი, სწორედ ასე გავიცანი გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ბატონი აკაკი ძიძიგური, რომელსაც სულიერი მეგობრობა აკავშირებდა ანა ვარდიაშვილთან. ბატონი აკაკის ნაამბობიდან განსაკუთრებით ეს ფრაზები შემორჩა მეხსიერებას:

— 1939 წელს მსახიობმა ელენე დონელმა საქართველოს რადიოს მუსიკალურ გადაცემათა რედაქტორებს შესთავაზა სიმღერები ანა ვარდიაშვილის შესრულებით. რედაქტორებს, თურმე, არც კი მოუსმენიათ, ისე უთქვამთ უარი დუდუკებზე და მის აკომპანიმენტით შესრულებულ სიმღერებზე. ელენე დონელი კვლავ მობრძანდა რადიოში და ახლა მე მთხოვა, უბრალოდ, ადამიანურად მოვქცეოდით ვარდიაშვილსა და მედუდუკეებს, უარი თუ აუცილებელი იყო, დასაბუთებულად მაინც გვეთქვა. ანსამბლს მოვუსმინე, საოცრად აღტაცებული დავრჩი და საკუთარი რისკისა და თავგანწირვის ფასად (ეს იმ დროისათვის მართლაც თავგანწირვა იყო) რადიოში კონცერტი დავნიშნე.

დუდუკებზე შესრულებულ სიმღერებს უდიდესი მოწონება ხვდა მსმენელთა შორის, მაგრამ უდიდესი წყრომა გამოიწვია მუსიკოსთა მხრიდან, საქმე ხელმძღვანელ ორგანოებამდე მივიდა. გვიკიჟინებდნენ, მსმენელის გემოვნებას აქვეითებსო. თითქოსდა მედუდუკეთა ანსამბლი გვიბიძგებდა მეშჩანურ-ობივატელური წუმპისაკენ. ეროვნული ღალატიც დაგვწამეს და ჩვენს არსებობას რადიოში (მის თავმჯდომარეს, დიდებულ პიროვნებას შალვა ცაგარეიშვილს და მე) უმუშევრად დარჩენის საფრთხე დაგვემუქრა. იმხანად ერთმა პროლეტარული მწერლობის მესვეურმა პოეტმა „ლიტერატურულ საქართველოში“ ლექსიც კი დაბეჭდა დუდუკსა და ზურნაზე, რომელიც, თურმე, მას შაჰ-აბასსა და ნადირ-შაჰს აგონებდა. მაგრამ შემთხვევამ გადაგვარჩინა, მთავრობის იმდროინდელმა ხელმძღვანელმა რადიოკომიტეტის თავმჯდომარეს დაურეკა — ოჯახის წევრებს მოუსმენიათ კარგი კონცერტი და როდის გაიმეორებთო. ამას აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას თბილი სიტყვებიც დაერთო და... ფართო ასპარეზი მიეცა ჟანრს, რომელსაც ასე ლამაზად და მოხდენილად წარმოადგენდა ანა ვარდიაშვილის ანსამბლი სწორუპოვარი მედუდუკის ხაჩიკ ტალგაუკოვის თავკაცობით.

ანა ვარდიაშვილმა, რომლის ხმის ტემბრი საოცრად მიესადაგა დუდუკის ჟღერადობას, სამშობლოს გარეშე დარჩენილი ეს საკრავი კვლავ ჩვენს ხალხს, თბილისს დაუბრუნა, საიდანაც იგი აღმოსავლეთისაკენ გავრცელდა. ანა ვარდიაშვილისა და ხაჩიკ ტალგაუკოვის ანსამბლის მიერ შესრულებული ჰანგები გავრცელდა ყველგან და ფირფიტების, ჩანაწერების საშუალებით საქართველოს ფარგლებს გარეთაც გააღწია. დაბეჯითებით ვიმეორებ, ანა ვარდიაშვილმა შეუდარებლად ლამაზი ტემბრით, ტიტანური შრომით და შეუპოვრობით დუდუკი კვლავ დაუბრუნა თავის მშობლიურ ხალხს, თბილისს, დაუბრუნა იგი ახლებურად დამუშავებული, მის მიერვე შესრულებული სიმღერებით: „მოხევის ქალო, თინაო“, „მშვენიერო, შენ გეტრფი“, „იავნანა“, „სიზმარი“ და სხვა მრავალი, რომლებიც დღეს ქართული მუსიკალური კულტურის ოქროს ფონდშია შეტანილი...

ანა ვარდიაშვილს ამაგი სიცოცხლეშივე დაუფასდა. ამაზე მეტყველებს ის გულთბილი საღამოები და შეხვედრები, რომლებიც გულწრფელობითა და უაღრესად ღრმა პატივისცემის გრძნობით გამოირჩეოდნენ. არაერთ მგზნებარე სიტყვას ისმენდა ძვირფასი ანა ვარდიაშვილი ლადო და ნინო გუდიაშვილებისგან, აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილისგან, მცხეთელი ყვავილების მინდიას — მიხეილ მამულაშვილისგან... ჩვენ კი, მუდამ გავიხსენებთ ყველა იმ სათნო და კეთილ გასახსენებელს, რომელსაც ფერი და სურნელი არ შეცვლია, რომელიც ასე ღრმად და შთამბეჭდავად შემორჩა მეხსიერებას.

თამაზ ანთაძე.

პოლიცია

გასული კვირის განმავლობაში საქართველოში რეგისტრირებულია 132 სისხლის სამართლის დანაშაული, 46-ით ნაკლები წინა კვირასთან შედარებით. შემცირდა მკვლელობის (6-ერთეულით), ძარცვის (4-ით), ქურდობის (21-ით) შემთხვევები.

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურმა გამოავლინა 56 დანაშაული, მათ შორის, 2 — ნარკოტიკების რეალიზაციისა.

ერთ კვირაში გამოვლენილია 26 ჯგუფური დანაშაული, გაიხსნა წინა პერიოდის 11 და წინა წლებში ჩადენილი 13 დანაშაული.

ყაჩაღს ბოლომდე მისდევდნენ

5 ივნისს, ღამის პირველ საათზე ხაშურში, ოქტომბრის ქუჩის 133 ნომერში მცხოვრები ივანე თერძიშვილის ოჯახს თავს დაესხა ავტომატითა და გადაჭრილი თოფით შეიარაღებული ოთხი ბოროტმოქმედი.

ბედად, მანამდე მეზობლებმა შენიშნეს, საეჭვო პირები სახლის სახურავიდან როგორ ჩადიოდნენ თერძიშვილის ბინაში და, მაშინვე ტელეფონით აცნობეს პოლიციას.

ხაშურის რაიონის პოლიციის ოპერატიული ჯგუფი შეტყობინებიდან სულ რამდენიმე წუთში გაჩნდა შემთხვევის ადგილზე. ყაჩაღები ისიც იყო შესდგომოდნენ „საქმეს“.

სამართალდამცველებმა ყაჩაღებს იარაღის დაყრა და ნებაყოფლობით დანებება უბრძანეს. ბანდიტებმა პასუხად ავტომატის ჯერი შეაგებეს.

ფეხებში დაიჭრა სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების ინსპექტორი, პოლიციის ლეიტენანტი პაატა ესიაშვილი, ტყვიამ გაუხვრიტა ხელი არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორს, პოლიციის ლეიტენანტს სიმონ ტეფნაძეს.

როცა ბანდიტი სამართალდამცველს შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს, მით უმეტეს თუკი ტყვიას ესვრის და სასიკვდილოდ იმეტებს, პოლიციელს კანონი უფლებას აძლევს ადგილზე მოახდინოს ბოროტმოქმედის ლიკვიდაცია.

ხაშურელ პოლიციელებს კანონიც და შექმნილი ვითარებაც ამას უკარნახებდა, მაგრამ სისხლი არ დაღვარეს, დიდი რისკის ფასად ცოცხლად შეიპყრეს ორი ბანდიტი — ბორჯომის რაიონის სოფელ ვარდგინეთში მცხოვრები, ნასამართლევი დავით გელაშვილი და ამავე სოფელში მცხოვრები გიორგი გელაშვილი. ორმა ბოროტმოქმედმა — ბორჯომში მცხოვრებმა, ყაჩაღობისათვის, ავტომანქანის გატაცებისა და სხვა დანაშაულთა ჩადენისათვის ნასამართლევმა, 2000 წლის იანვარში შეწყალებით გათავისუფლებულმა ზვიად გელაშვილმა და ნასამართლევმა მამუკა მურჯიკნელმა შეძლეს მიმალვა.

პოლიციამ ბანდიტებს ჩამოართვა „აკ“ სისტემის ავტომატი 2 მჭიდითა და 25 ვაზნით, აგრეთვე, გადაჭრილი თოფი ვაზნებით. აშკარად ჩანდა, ორ მეზობელ რეგიონში — სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში მოქმედებდა კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, პოლიციის გენერალ-მაიორმა კახა ბაკურაძემ მაშინვე პირადი კონტროლი დააწესა ამ დანაშაულებრივი ჯგუფის ყველა წევრის დაკავებასა და მათ მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულობათა გახსნაზე. მან სათანადო დავალებები მისცა შსს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსს რევაზ ფოჩხუასა და შიდა ქართლის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსს ნოდარ დალაქიშვილს. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება დაეკისრათ გამოცდილ, კვალიფიციურ ოპერატიულ თანამშრომლებით დაკომპლექტებულ ჯგუფს, რომელსაც პოლიციის პოლკოვნიკი ლევან გოგოლაური ხელმძღვანელობს.

სამინისტროს ოპერატიულმა ჯგუფმა, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოების, საგზაო პოლიციის მე-5 განყოფილების, ხაშურისა და ბორჯომის პოლიციის რაიონული განყოფილებების თანამშრომლებმა მაღალ პროფესიულ დონეზე ერთობლივად განხორციელებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად უკვე რამდენიმე დღეში ნათელი მოჰფინეს დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში ჩადენილ რამდენიმე დანაშაულს.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ 5-10 მაისს შსს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ორგანიზებული ბანდიტური დაჯგუფების წევრები საგარეჯოში მცხოვრები, სამჯერ ნასამართლევი გელა ქურხული, სოფელ პატარძეულის მცხოვრები, ორჯერ ნასამართლევი ვლადიმერ ბურდული და თბილისელი ტარიელ ომიაძე, რომლებიც სხვა პირებთან ერთად 1998 წლიდან ბოლო დღეებამდე განსაკუთრებული სისასტიკითა და ცინიზმით, სხვისი ქონების დაუფლების მიზნით სჩადიოდნენ ყაჩაღურ თავდასხმას საქართველოს ცენტრალურ საავტომობილო ტრასებზე, საცხოვრებელ ბინებზე (მათ შორის ფირმა „ომეგას“ თანამშრომლებზე, რომლებსაც ყაზბეგი-თბილისის ავტომაგისტრალზე წაართვეს დიდძალი თანხა და ავტომატური იარაღები).

სამინისტროს ოპერატიულმა ჯგუფმა საგარეჯოსა და ახმეტის რაიონების პოლიციის განყოფილებების თანამშრომლებთან ერთად განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შედეგად 7 ივნისს დააკავა თბილისში მცხოვრები, წარსულში მკვლელობისა და ხულიგნობისათვის ნასამართლევი ანზორ ფიცხელაური, რომელმაც 1999 წლის 30 სექტემბერს ზემოთ აღნიშნულ პირებთან ერთად მოახდინა ყაჩაღური თავდასხმა ფირმა „ომეგას“ თანამშრომლებზე.

6 ივნისს შსს ქონებრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს სამეგრელოს რეგიონებში მოქმედი დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, ამჟამად თბილისში მცხოვრები, სამჯერ ნასამართლევი ჯეირან შამუგია, მეტსახელად „ჯეკო“, რომელმაც 1993 წლის 15 ოქტომბერს დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში მცხოვრებ თენგიზ სოტკილავას ოჯახს, ავტომატის მუქარით გაიტაცეს ავტომანქანა „კამაზი“, ოქროულობა და საოჯახო ნივთები. „კამაზი“ გადაიყვანეს აფხაზეთის ტერიტორიაზე და გაყიდეს 3000 დოლარად.

9 ივნისს გურიის სამხარეო პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ცნობილი სვანიძის ჯგუფის ერთ-ერთი წევრი შიო ჩანქსელიანი. წინასწარი გამოძიებით გაირკვა, რომ 1996 წელს გურიაში მოქმედ „სვანიძის“ დანაშაულებრივ ჯგუფთან ერთად ჩაიდინა რამდენიმე ყაჩაღური თავდასხმა.

ვალერიან გოგოლაშვილი.

ს ს „მთავარინვესტი“ 2000 წლის 7 ივნისს აქციონერთა კრებაზე არ შემდგარი ქვორუმის გამო განმეორებით იწვევს აქციონერთა რიგგარეშე კრებას, რომელიც გაიმართება 2000 წლის 7 ივლისს, პარასკევს, 16 00 სთ-ზე, ქ. თბილისი, ვუკოლ ბერიძის ქ. №6-ში.

დღის წესრიგი

1. ს ს „მთავარინვესტის“ 1994-1996 წლების საქმიანობის შემმოწმებელი კომისიების დასკვნების განხილვისა და 1999 წლის შედეგების შესახებ.

2. ს ს „მთავარინვესტის“ რეორგანიზაციის შესახებ.

დღის წესრიგის შესახებ დაწერილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ ს ს-ის დირექტორატში.

აქცია მერიის წინ

უსინათლოთა საზოგადოების წევრებმა, კუთვნილი 42 ბინის მშენებლობის მოთხოვნით, გუშინ თბილისის მერიის წინ საპროტესტო აქცია გამართეს.

როგორც პრაიმ-ნიუსს საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა მანანა ფანცულაიამ განუცხადა, საზოგადოების წევრებმა 1989-90 წლებში 42 ბინის ასაშენებლად მაშინდელ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ამ ბინების მშენებლობისათვის საჭირო თანხა ჩაურიცხეს, რის შემდეგაც მათ ბინებზე ორდერები მიიღეს, თუმცა ისინი არ აშენებულა.

უსინათლოებისთვის ბინები უნდა აშენებულიყო დიდი დიღმის, ფონიჭალის და ვარკეთილის დასახლებებში.

აქციის მონაწილეები მერიისაგან მოითხოვენ 1774 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის მშენებლობისათვის საჭირო 600 ათასი ლარის გამოყოფას.

როგორც პრაიმ-ნიუსს თბილისის საკრებულოს წევრმა მირზა გელაშვილმა განუცხადა, მიმდინარე წლის ბიუჯეტში 240 ათასი ლარი იქნება გათვალისწინებული უსინათლოთა ბინათმშენებლობისათვის.

თბილისის ოპერის თეატრს ექლვნება

ქუთაისის ოპერის თეატრში ინტენსიურად მუშაობენ ნოდარ ანდღულაძის სპექტაკლის — დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმურის“ დადგმის აღდგენაზე. დიდი იტალიელი კომპოზიტორის გაეტანო დონიცეტის სწორედ ამ ნაწარმოებით 150 წლის წინათ პირველად აიხადა თბილისის ოპერის თეატრის ფარდა. ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა თავის „კავკასიაში მოგზაურობაში“ აღნიშნავდა, რომ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე თითქმის ყველა თეატრი ენახა, მაგრამ ვერც ერთი მათგანი სილამაზით თბილისის თეატრს ვერ შეედრებაო... ქუთაისის თეატრში ამ სპექტაკლს აღადგენს ქუთაისის საოპერო თეატრის დირექტორი გიორგი ლომთაძე.

პრემიერა მიმდინარე თვის დამლევისათვის არის ნავარაუდევი.

საგასტროლო რუკაზეა ზაარბრიუკენი და პარიზი

საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მეტეხის მუნიციპალური თეატრი საგასტროლო ტურნეში გაემგზავრა. თბილისის დამოყვრებულ ქალაქ ზაარბრიუკენსა და საფრანგეთის დედაქალაქში იგი აჩვენებს თავის ორ საუკეთესო დადგმას მარსოს „კვერცხს“ და სანდრო მრევლიშვილის „მარტორქები ორკესტრში“. ორივე სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა სანდრო მრევლიშვილმა. გასტროლები ორ კვირას გასტანს.

კინოდოკუმენტალისტის ხსოვნისათვის

ამ დღეებში ცნობილ კინოდოკუმენტალისტს, საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ვლადიმერ ვალიშვილი—ვალიევს 90 წელი შეუსრულდებოდა. აქედან ნახევარ საუკუნეზე მეტი მან ქართული კინოპუბლიცისტიკის სამსახურს მოახმარა, დიდი წვლილი შეიტანა დოკუმენტური კინოს ისტორიაში. მან გადაიღო ასზე მეტი ფილმი, რომელთაგან ერთმა „უშბამ“ მერვე საერთაშორისო კინოფესტივალზე „ვენეცია“ 1974 წელს ამ წარმომადგენლობითი დათვალიერების საპატიო დიპლომი მოიპოვა. ეს იყო ქართული კინემატოგრაფის პირველი საერთაშორისო ჯილდო.

12 ივნისს კინოს სახლში გაიმართა ვლადიმერ ვალიშვილი—ვალიევის ხსოვნის საღამო, რომელზეც ბევრი სამადლობელი და სასიყვარულო სიტყვა ითქვა რეჟისორის მისამართით.

საღამოს უძღვებოდა საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის პრორექტორი, კინომცოდნე, პროფესორი გოგი დოლიძე.

ინფორმაციები მოგვაწოდეს პრაიმ-ნიუსმა და საქინფორმმა.

სხვისი პუბლიკაცია

დუელი

ნატაშა დიუკოვა ზურაბ წერეთლის წინააღმდეგ

გერმანიის ყოფილი საელჩოს შენობის ჭიშკარი, სადაც ახლა მხატვარ ზურაბ წერეთლის რეზიდენციაა, მცველმა გაგვიღო. უფრო სწორად ჭუჭრუტანიდან გამოიხედა. გამოგვკითხა ვინაობა, სადღაც ეზოს სიღრმეში მიიმალა სათათბიროდ. როგორც იქნა, შეგვიშვა, მაგრამ უწინდებურად უნდობლად გვათვალიერებდა. ბოლოს გამოჩნდა მასპინძელიც და სახლისკენ გაგვიძღვა.

— ზურაბ კონსტანტინეს ძევ, რად გინდათ ამდენი მცველი!

— სადა მყავს დაცვა? პო.. იქ... კართან? აბა, რა ვქნა, მე ვირბინო კარის გასაღებად? იქ, სულ ორნი არიან.

— ქალაქში როცა გადიხართ, დაცვა დაგყვებათ?

— არა! არა, ჩემო კარგო, არა. ისე, რატომ უნდა მიცავდნენ, რაში მჭირდება დაცვა? მე რა — არაყს ვყიდი? მე მხატვარი ვარ.

ჯერ სახლი დავათვალიერეთ, რომლის კედლები, იატაკიდან ჭერამდე, სურათებით იყო დაფარული, შემდეგ უზარმაზარ ბაღში გავედით, სადაც ჭიშკრიდან ლობემდე ჩამწკრივებულიყო ათობით ბრინჯაოს ფიგურა.

— ალბათ, ბევრი ბრინჯაო იხარჯება ძეგლებისთვის?

— რატომ ბევრი? თქვენ ხომ იმოსებით ტანსაცმლით, იქნებ ვიკითხოთ: განა საჭიროა ამდენი ჭინჭი ქალის ლამაზი სხეულის დასაფარად? ხელოვნებას ყველაფერი ჰყოფნის. ხელოვნება ისეთი რამ არის, რომ არ უნდა ვიხარბოთ. გულუხვობა უყვარს ხელოვნებას, იმიტომ, რომ ხელოვნებაა ერის მხსნელი და ხელოვნება ანიჭებს ერს სტატუსს. ხელოვნებას ღმერთი მფარველობს. აბა, გავიხსენოთ ისინი, ვინც ხელოვნებას უღირსად ეკიდებოდნენ, როგორ დაასრულეს სიცოცხლე?

— კი მაგრამ, რატომ გაქვთ ასეთი ვეებერთელა ძეგლები?

— ამას მოითხოვს სივრცე. აი, თქვენს ფოტოგრაფს ფეხი 43 ზომა აქვს, მაშ, რატომ უნდა ჩაიცვას 40 ნომერი?

ჩვენ მივუახლოვდით „ლუჟკოვის ძეგლს“, აი, იმას, კეპიანს, მაგრამ კეპი, რატომღაც აღარ ჩანდა.

— კეპი რა იქნა?

— დაიხურა და წავიდა.

— ის ხომ ბრინჯაოსი იყო?

— ხა-ხა! დაგეღუპე კაცი, თქვენს ღიმილიან სახეს დიდხანს თუ ვუყურე! მივადექით პეტრეს ცნობილი ქანდაკების პატარა, სამმეტრიან ასლს.

— რატომ გიყვართ ასე პეტრე პირველი?

— სკოლის დამსახურებაა. საქართველოში გვასწავლიდნენ საქართველოს ისტორიას და რუსეთის ისტორიას. ამიტომ ჩამრჩა მეხსიერებაში: პეტრე, ეკატერინე, კოლუმბი და ა. შ. მიყვარს! ბავშვობაში ეს ისეთი გულწრფელი, წმინდა გრძნობაა, რომ, ვისაც ყმაწვილობისას შეიყვარებ, მთელი ცხოვრება გაგყვება. სხვათა შორის, დღეს პეტრეს დაბადების დღეა.

ჩვენთან ძაღლმა მოირბინა, უზარმაზარი იყო, ჩალისფერი, შავი ცხვირი ჰქონდა.

— ეს მასტიფია?

— ეს რაღაც ნეაპოლიტანოა. ბევრი ძაღლი მყავს. სურათიც მაქვს — სამ ძაღლთან ერთად. ვარ გადალებული. დაბეჭდავთ გარეკანზე?

— არ ვიცი.

— თუ დაბეჭდავთ, დააწერეთ: „ზურაბ წერეთელი თავის მეგობრებთან ერთად“. გყავთ ძაღლი?

— არა.

— შემიძლია გაჩუქოთ ძაღლი.

— მადლობელი ვარ, მაშინ მე კატას გაჩუქებთ. ექვსი მყავს.

— რა, გავცვალოთ? შენ რა, აღარ გიყვარვარ?!

მერე სახლის დარბაზებში დავდიოდით, ერთ-ერთ ოთახში უშველებელ „საბანკეტო“ მაგიდას წავაწყდით. ორმოცდაათ კაცზე იყო გაშლილი, მაგრამ ოციოდე შემოსხდომოდა. „მე ხომ ვემზადებოდი“, — ჩაილაპარაკა ოსტატმა. გვერდით, მომისვა სწრაფად გადმომიღო თეფშზე რაღაც, არ ვიცი, რა, მაგრამ საოცრად გემრიელი, და სადღეგრძელო წარმოთქვა:

— რუსეთის სახეა დიდსულოვანი მამაკაცები, გრძელფეხა ლამაზი ქალები და მდიდარი ხელოვნება! ამას ბოლომდე შევსვამ. აბა, ხომ კარგი სადღეგრძელო ვთქვი?

— კარგი.

— პოდა, მაშინ, ბოლომდე უნდა დალიო, ქალების სადღეგრძელოს ბოლომდე სვამენ. მარტო მე დავცალე ჭიქა — ახლა ყველა ქალს მხოლოდ მე ვეყვარები! და ეშმაკურად შემომხედა.

— რა კარგია, რომ მოხვედით. მე ბევრს ვმუშაობ. ძალიან, ძალიან მიხარია, თქვენთან ერთად დასვენების შესაძლებლობა რომ მომეცა. დღეს დავიწყებ შენს დახატვას, ასე რომ, დილამდე ერთად ვიქნებით. მარინა ვლადი მეუბნებოდა: „ვერც კი წარმომიდგენია, ლამე უმამაკაცოდ როგორ უნდა გავატარო“. საერთოდ უნიკალური ქალია. ამიტომ არის ყოველთვის ლამაზი და მიმზიდველი.

— არა, არაფერი არ გამოვა.

— რატომ არ გამოვა (ჩემს თეფშს დახედა) მოდით, ქათამს გადმოგიღებთ.

— არა — არა. გმადლობ. ვერაფერს ველარ შევჭამ.

— მარტო იმას გთხოვთ, წონაში არ მოიმატოთ. მახეში ვარ გაბმული.

— მსუქანი ქალები არ გიყვართ?

— არა. თქვენნაირები მომწონს. არ წახვიდეთ, ახლა ბოშები მოვლენ, ვიმხიარულოთ.

— არა, მოდით, ხვალ დილიდან მოვალ და თქვენ დამხატავთ მე, მე კი თქვენ. ვნახოთ ვის უკეთ გამოუვა.

— ო-ო! მხატვარი ტრაგიკული პიროვნებაა, იმიტომ, რომ მომღერლებს, მსახიობებს ტაშს უკრავენ და ტონუსს უწევენ, მხატვარი კი მარტოა თავის მოლბერტთან. თანაც, ხვალ სხდომას უნდა დავესწრო სამხატვრო აკადემიაში.

— სამწუხაროა.

— მაგრამ, თქვენ თუ მოხვალთ, რა გაეწყობა, ვხატოთ. ჯანდაბას, სხდომას გავაცდენ! ხა-ხა!

მეორე დღეს ერთმანეთს სახელოსნოში შევხვდით.

— დიდი სახელოსნო გაქვთ.

— თბილისში ჩემი სახელოსნო ხუთი ათასი კვადრატული მეტრია.

— დიდია, როგორც შთაგონება! შთაგონება კი საიდან მოგდით?

— ეთნოგრაფიაა! ყველაფერი გავიარე და შევისწავლე, რასაც ბუნება იძლევა, რაც უძველესმა ხალხმა შექმნა, შემოინახა, ყველა წარწერა, ფრესკული ხელოვნება, რატომ დგას სახლი „რელიეფზე“ წინ, რატომ დგას უკან. ტიპაჟები, სამზარეულო ყველაზე დიდი ეთნოგრაფიული სიმდიდრეა. ეთნოგრაფია არის ფაქტის ზუსტი აღწერა. ეს ძალიან სასარგებლოა. ყველაფერი ეს მომცა ეთნოგრაფიამ, იმ ისტორიკოსებმა და აკადემიკოსებმა, რომლებმაც ზედმიწევნით იცოდნენ არა მარტო წარსული, არამედ მომავალიც, მათ თვალს არაფერი გამოეპარებოდა. ასეთი სიბრძნის მატარებელია ეს მეცნიერება.

— თქვენ გყავთ მუზა?

— ყოველთვის!

— რა ასაკის არის?

— ასაკი არ არსებობს. ახლა ალექი, ხატვა უნდა დაიწყო. არა, გამალე ტილო, რომ გხედავდე.

— ასე?

— აი, ასე კარგია.

— როგორი მუზები მოგწონთ, მსუქნები თუ გამხდრები?

— მხოლოდ გამხდრები. ლა-ლა-ლა, ტრა-ლა-ლა.

— როგორ პოულობთ მუზას? ლამაზ ქალს დაინახავთ და პირდაპირ ქუჩაში აჩერებთ?

— არა, არ ვაჩერებ.

— რა, ზეპირად ხატავთ?

— ყველაფერი თავისთავად ხდება. ახლა ხალხი მგრძნობიარე გახდა, ასე რომ, თავად გრძნობენ, რა უნდა მეორე ადამიანს.

— რაღაც ძალიან ბუნდოვნად ლაპარაკობთ. პირდაპირ პასუხს თავს არიდებთ. კარგი, ქალებში რა გხიბლავთ?

— უწინარესად სილამაზე, მერე — გრაცია.

— რა აზრისა ხართ იმაზე, რომ ხელოვნების ნიმუშის შემქმნელი მხატვარი ღარიბი და მშიერი უნდა იყოს.

— არანაირი აზრი არა მაქვს. ეს ჩვენმა არაკეთილმოსურნეებმა მოიგონეს. მხატვარს თუ სურს, რომ ღარიბი იყოს, ღარიბი იქნება, თუ მოინდომებს, რომ მდიდარი იყოს — მდიდარი იქნება.

— შეგიძლიათ, ფიროსმანივით, ქალს ანაცვალოთ ყველაფერი?

— რასაკვირველია?

— თქვენ, თავად, როგორ იქცევით?

— მაგალითად, ერთგული ვარ. ერთგულებას, სიყვარულს ვუფრთხილდები. სხვენში ვცხოვრობდი. ქალიშვილი შემეძინა, მე კი დიპლომიდან მომხსნეს. აი, მაშინ გამოვფხიზლდი და ისე ვშრომობდი, რომ სხვენიდან ქვემოთ ჩამოვედი. მეუღლე, რომელიც ათი წელი იყო სარეცელს მიჯაჭვული, წამოვაყენე. ქალიშვილს ვუვლიდი, ვზრდიდი, ფეხზე დავაყენე. ცოლიც ასევე დავაყენე ფეხზე. მას გულის მანკი ჰქონდა და განიკურნა.

— ეს მხოლოდ დიდ სიყვარულს შეუძლია.

— უთუოდ. მე ის ძალიან მიყვარდა. საშინლად განვიცდიდი, როდესაც იგი გარდაიცვალა. მარტო იმას ხომ არ ეუბნები ქალს: „მე შენ მიყვარხარ“, არამედ პასუხისმგებლობასაც კისრულობ.

— როგორ აუხსენით თქვენს მეუღლეს სიყვარული?

— ჩვენ ისე ვირწმუნეთ ერთმანეთის, რომ ამ თემაზე ბევრი არც გვილაპარაკია.

— როგორ შეხვდით ერთმანეთს?

— აკადემიიდან მოვდიოდი და უცბად, გვერდზე ჩამიარა გოგონამ. იცი, ისეთმა უჩვეულომ, ისეთმა მოულოდნელმა, ისეთი ევროპული სახე ჰქონდა, ანტიკური, ბერძნული. გავოგნდი. ჩაიარა. მოვტრიალდი და ვუყურებდი. უკან ნაწნავი ირხეოდა, თეთრი ბერეტი ეხურა. ვიდექი და ვუყურებდი. თვალი ვერ მოვწყვიტე. გამოხდა რაღაც ხანი. ერთხელ მეგობრის დაბადების დღეზე წავედი და რას ვხედავ...

— ის!

— ...ის! ლექსებს კითხულობდა... ყველაფერი ვიღონე საიმისოდ, რომ გავმეცილებინა. გავაცილე. ის ცუდად ლაპარაკობდა ქართულად, მე — რუსულად.

— იგი რუსულ სკოლაში სწავლობდა. არ ჰყავდა არც მამა, არც დედა, და ჰყავდა მარტო. მერე კი, ავდექით და გავიპარეთ, რადგან ჩემს მშობლებს უნდოდათ, რომ ცნობილი მწერლის ქალიშვილი მეთხოვა ცოლად.

— ვინ იყო იგი?

— ახლა არ ღირს ამაზე ლაპარაკი. ის გათხოვილია, ხომ შეიძლება ცხოვრება ავურიოთ? მშობლების სურვილი იყო ეს, მაგრამ, მე ხომ უკვე შეყვარებული ვიყავი! მოსკოვში გავუფრინდით. რაღაც გროშები წავიღე და მეგონა, ბევრი მქონდა. პოდა, ვსეირნობთ მოსკოვის ქუჩებში, უცბად კოჭლობა დავიწყე. მკითხა, რა მოგივიდაო. ვუთხარი, არა არაფერი-მეთქი.

ჩემს ფეხსაცმელს ძირი გახვრეტილი ჰქონდა. მუყაო იყო ჩაფენილი, მაგრამ, აი, როცა თოვლმა დაასველა, მაშინ გენახათ ჩემი ტანჯვა! არასდროს არ დამავიწყდება. სახლში რომ დავბრუნდით, მაშინ დაინახა, რამხელა ნახვრეტი ჰქონდა ჩემს ფეხსაცმელს.

პორტრეტი — სახელდახელოდ.

ამისგან მე გავაკეთებ დონ კიხოტს.

მეგობრებთან ერთად.

ჟურნალი „ოგონიოკი“ № 19.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიზრუნოთ ერთმანეთზე

ჯანმრთელი ოჯახი ჯანმრთელი საზოგადოებაა

სასტუმრო „შერატონ-მეტეხი-პალასის" დიდი დარბაზი 13 ივნისს საზეიმოდ იყო მორთული, განწყობილებაც საზეიმო გახლდათ. დაიწყო საქართველოში ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესების კამპანია, რომლის დევიზია „ვიზრუნოთ ერთმანეთზე".

ჯანმრთელი ოჯახი რომ ჯანმრთელი საზოგადოებაა, საყოველთაოდ არის ცნობილი. სწორედ ოჯახის ჯანმრთელობაზე ზრუნავს ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი და საქართველოს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. კამპანია, რომლის მიზანია ქალებისა და ოჯახის ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ოჯახის დაგეგმვა და კონტრაცეფციის თანამედროვე, უსაფრთხო და ეფექტიანი მეთოდების გამოყენებაა, მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **USAID**-ის ფინანსური მხარდაჭერით.

პირველი სიტყვა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა **ავთანდილ ჯორბენაძემ** წარმოთქვა: — ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ კამპანიას, რადგან ოჯახის დაგეგმვა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვა ქვეყნის ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

დღევანდელი დღე იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს საზოგადოებრიობა აქამდე ფარულ თემებზე საჯაროდ იწყებს საუბარს, ჩვენი ქალების განათლებასა და მის დახმარებას ისახავს მიზნად. საქართველოს პრეზიდენტის პროგრამაში უმთავრესი მიმართულება, საზრუნავი საქართველოს მოსახლეობის, ოჯახების მხარდაჭერაა. ოჯახი აღიარებულია როგორც უმთავრესი მოტივი ჩვენი საზოგადოებისა, რომლის განსაკუთრებული ნაწილი ქალებია. დღეიდან საქართველოს 5 რეგიონში ჩვენი მედიკოსები, სოციოლოგები და ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მოსახლეობის საკომუნიკაციო სამსახური მედიის დახმარებით სერიოზულ მუშაობას დაიწყებენ ქალთა ჯანმრთელობის დაცვისა და ოჯახის განვითარებისათვის.

დიდი მადლობა ქალბატონ ნანული შევარდნაძეს, რომ დღეს ჩვენთან არის. მისი თანადგომით ბევრი პროგრამა განხორციელდა და ამ მხრივ მოსახლეობის განათლებისთვისაც ბევრს აკეთებს თავისი გაზეთის მეშვეობით. მადლობა ამერიკელ კოლეგებს, რომლებიც თანადგომას ცდილობენ სოციალური დახმარების ბევრი მიმართულებით.

საღამოს წამყვანმა სთხოვა მინისტრს ყუთიდან ამოეღო ლატარიაში მოგებული პირველი ნომერი. პირველი მოგება თითქოს სიმბოლურად ჟურნალისტს ხვდა წილად (მშვენიერი მაგიდის საათი). აქ განსაკუთრებით გაესვა ხაზი მედიის უდიდეს როლს პროგრამის პოპულარიზაციის საქმეში.

შემდეგ მიკროფონთან მივიდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის ხელმძღვანელი საქართველოში **მაიქლ ფარბმანი** — ჩემთვის დიდი პატივია ამ კამპანიის პრეზენტაციაში მონაწილეობა. ჩვენი სააგენტო მოხარულია, რომ მხარს უჭერს ამ მნიშვნელოვან წამოწყებას.

USAID საქართველოში 1992 წლიდან უჭერს მხარს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებს. ჩვენ გაგვიმართლა, რომ ამ პროგრამების ამოქმედება ინტელექტუალურ ქართველ კოლეგებთან ერთად გახდა შესაძლებელი. შემდეგ სტუმარმა ყუთიდან ლატარიის ნომერი გვამცნო, რასაც დარბაზში მხიარული განწყობილება მოჰყვა (სულოცამდე პრიზი გათამაშდა).

საღამოს საინტერესოდ უძღვებოდა სატელევიზიო გადაცემა „ტერმინალის" წამყვანი ნანიკო ხაზარაძე. ხალისიანი და უშუალო განწყობილება დარბაზში მისი დახმარებითაც სუფევდა. გამოსვლებს შორის ხშირად ქრებოდა სინათლე და ეკრანზე საგანგებოდ გადაღებულ კლიპებსა და სარეკლამო რგოლებს უჩვენებენ, ჟღერდა მუსიკა.

წამყვანმა მიიწვია ბალტიმორელი სტუმრები, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მოსახლეობის საკომუნიკაციო სამსახურის დირექტორთა საბჭოს წევრი, ჯეიმს უილიასი და ამ უნივერსიტეტის პროგრამის დირექტორი საქართველოში ალექსის გრადიშარი. მათ საქართველოს მედიკოსებთან თანამშრომლობაზე ისაუბრეს. შემდეგ მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს, მის მოადგილეს მარინე ღუდუშაურს, დედათა და ბავშვთა საკითხების დეპარტამენტის უფროსს ნატა ყაზახაშვილს, იოსებ ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ არჩილ ხომასურიძეს და სხვებს საჩუქრები და ჯილდოები გადასცეს. ასევე უცხოეთში საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებულ ექიმ-რეპროდუქტოლოგებს, რომლებიც ამიერიდან რეპროდუქციული ჯანმრთელობის კაბინეტებში იმუშავებენ, მსურველთ კვალიფიციურ დახმარებას გაუწევენ და უფასოდ მიაწვდიან მათთვის შესაფერის კონტრაცეპტივებს, სერტიფიკატები და საჩუქრები უბოძეს.

თავისი გამოსვლა პროფესორმა **არჩილ ხომასურიძემ** ასე დაიწყო — სიტყვა „პრეზერვატივს" აქვს შესატყვისი „კონდომი" და გთხოვთ, ამიერიდან ასე მოვიხსენიოთ.

მოხარული ვარ, რომ მრავალი წლის შემდეგ ზემოაღნიშნული პროგრამა დაიწყო საქართველოში. ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი რეპროდუქტოლოგიაში არის ალმა მატერი. რეპროდუქციის ყველა ფუძემდებელი ამ უნივერსიტეტში სწავლობდა. 15 წლის წინ იქ მეც გავიარე სტაჟირება. ჩვენმა შრომამ, მოღვაწეობამ გვიჩვენა, რომ მარტო ექიმების პროფესიონალიზმი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ეს პროგრამა წარმატებით განხორციელდეს. ძალიან კარგია ახალი კანონი აბორტის შესახებ, რომელიც ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არის შემუშავებული. თუ ვინმეს სძულს აბორტი და იცის რა ცოდვაც არის ის, მას ჩვენზე კარგად არავინ უწყის და ჩვენზე უფრო არავის ეჯავრება. აბორტი ნამდვილად ცოდვაა. იგი უნდა აღმოიფხვრას და ეს მხოლოდ ისევ და ისევ მოსახლეობის განათლების შედეგად იქნება შესაძლებელი.

კამპანიის მსვლელობისას ჩვეული ოსტატობით წარსდგა ცნობილი ილუზიონისტი ზურაბ ვადაჭკორია. მთელი საღამო დაამშვენა და მას მართლაც საზეიმო ელფერი შესძინა დათო ევგენიძის და მისი მეგობრების ხელოვნებამ (სარეკლამო რგოლების და რეკლამების მუსიკის ავტორიც დათო ევგენიძე გახლდათ და სხვათა შორის ლატარიით მანაც მოიგო პრიზი).

კამპანია „ვიზრუნოთ ერთმანეთზე" ტელევიზიის, რადიოს, პრესისა და მოქმედი უფასო სატელეფონო-საკონსულტაციო სამსახურის მეშვეობით მოსახლეობას მიაწვდის ინფორმაციას კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებსა და ქვეყანაში მოქმედი რეპროდუქციული კაბინეტების შესახებ. ეს კაბინეტები ჩვენთან 1997 წელს შეიქმნა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, იოსებ ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის მიერ გაეროს მოსახლეობის ფონდის და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით.

20 საათსა და 50 წუთზე რადიო „ფორტუნას" მეშვეობით ღია ეთერში ჩაერთო დარბაზი. დი-ჯეიმ კამპანიის მიზნებისა და ამოცანების შემდგომ, მსმენელებს ამცნო, რომ დღეს დაწყებული კამპანია 2000 წლის დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება, და მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნება უფასო სატელეფონო-საკონსულტაციო სამსახური, რომელიც შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „კლარიტასის" მონაწილეობით.

რადიოხაზზე ჩაირთო ერთ-ერთი რეპროდუქციული კაბინეტიც, კონსულტაციის ექიმს პირველი შეკითხვით ნატა ყაზახიშვილმა მიმართა, გაისმა ამომწურავი პასუხი (კონსულტაცია პირადიც და ტელეფონითაც კონფიდენციალური და ანონიმური იქნება).

ხვალიდან ნებისმიერი მსურველი 10-დან 20 საათამდე დარეკავს ნომერზე 9277, საქართველოს რეგიონებიდან კი – 822 კოდის საშუალებით და მიიღებს კვალიფიციურ ინფორმაციას. ყველა ზარი უფასოა!

ისარგებლეთ ამ სიკეთით, თქვენი და თქვენი ოჯახის საკეთილდღეოდ.

ბელა დურგლიშვილი.

კონკურსი სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 93-83-25, 99-93-27 (რუსთაველის პრ. 52, აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, ოთახი 435).

სააქციო საზოგადოება „ეგრისის" აქციონერთა საყურადღებოდ!

სააქციო საზოგადოება „ეგრისის" დირექცია აუწყებს აქციონერებს, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 2000 წლის 26 მაისის №140-ში გამოცხადებული აქციონერთა კრება გადატანილია და ნაცვლად მ. წ. 26 ივნისისა, მოწვეულია ა. წ. 6 ივლისს 13 საათზე თბილისში, ჯიქიას ქ. №16-ში იგივე დღის წესრიგით:

1. სს „ეგრისის" ბიზნეს-გეგმის დამტკიცება.
2. სხვადასხვა.

სს „ეგრისის" დირექცია

ევრო-2000

სლავური ესკიზები

ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი დღესაც სიამაყით იხსენებს 70-იანი წლების მიწურულს ერევანში გამართულ საკავშირო ჩემპიონატის პრინციპულ მატჩს თბილისის „დინამოსა" და ადგილობრივ „არარატს" შორის, როცა მინდვრიდან გაძევებული თენგიზ სულაქველიძის გარეშე დარჩენილმა სტუმრებმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვეს – 4:1 და ყველას დაუმტკიცეს, ფეხბურთი ჰოკეი ან წყალბურთი არ არის, რიცხობრივ უპირატესობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდეს. აქ ჯაცილებით მეტი საგმირო საქმის ჩადენა შეიძლება, რაც გუშინწინ კიდევ ერთხელ დადასტურდა – იუგოსლავიის ნაკრებზე მოგახსენებთ, „ევრო-2000" დაუვიწყარი საოცრებით რომ გაამდიდრა.

„ბ" ჯგუფი

იუგოსლავია – სლოვენია 3:3 (0:1).

გოლები: მილოშევიჩი (2), დრულოვიჩი (იუგოსლავია); ზაჰოვიჩი (2), პავლინი (სლოვენია).

ჩვენმა ძველმა ნაცნობმა სლოვენიამ ახლო წარსულში თავის „უფროს ძმას" ფიცხელი ბრძოლა გაუმართა და 57-ე წუთისთვის კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა – 3:0. როგორც ყოველთვის, უმაღლესი საფეხბურთო ფორუმის დებიუტანტებს ტრიუმფისკენ საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის" ლეგიონერი ზაჰოვიჩი მიუძღოდა. ბჲშკოვის გუნდმა კატასტროფას მაშინ გაუსწორა თვალი, როცა პორტუგალიელმა მსაჯმა პერეირამ მეორე ყვითელი ბარათით დასაჯა მიხაილოვიჩი, რაც ავტომატურად წითელ ბარათად იქცა.

სასწაული სწორედ დარჩენილ ნახევარ საათში მოხდა – დრულოვიჩის, მიატოვიჩის, სტოიკოვიჩისა და მილოშევიჩის ძალისხმევით „იუგებმა" მკვდარი თამაში იხსნეს, თანაც 3 გოლის გატანას 6 (!) წუთი მოანდომეს. ისე, თამაშის შემდეგ მეტოქეთა თავკაცების ხვევნა-კოცნა და მტლაშა-მტლუში იმასაც გაფიქრებინებდა კაცს, ამ ფრეს სხვანაირი სუნი ხომ არ უდიოს. ვინ იცის...

ნორვეგია-ესპანეთი 1:0 (0:0)
გოლი: ივერსენი
(66-ე წუთი).

პირინეელებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს მესარჩევ ციკლში, სადაც კვიპროსის ნაკრებთან სტარტზე შერცხვენის შემდეგ ყველა თამაში მოიგეს და, ჩემპიონთა ლიგის ესპანური ფინალის გათვალისწინებით, კონტინენტის პირველობაში ფავორიტის რანგში ჩაებნენ. როგორც ჩანს, ავანსი ნაადრევად გაიცა. ყოველ შემთხვევაში, სკანდინაველებთან სადებიუტო მატჩში ისინი ძნელი საცნობნი იყვნენ. ბურთის გაუთავებელი გადაწოდებით და ვეტერანთათვის დამახასიათებელი ძუნძულით კამაჩოს ბიჭებმა მეტოქეს საგრძნობლად გაუადვილეს საქმე და საკუთარ თავს თვითონვე გამოუტანეს განაჩენი. საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი მარშანდელი გამომცდელი ტანმორჩილი მიუკლანდის „ყოჩობით" მშვიდად იცავდა თავს და იმ შანსს ელოდა, 66-ე წუთზე რომ ეწვია: მეკარე მოლინას ბავშვური შეცდომა ივერსენის ზუსტი თავურით დასრულდა. დავძენთ, რომ შესვენებამდე ასევე „მეორე სართულიდან" სოლსკიაერმა ბურთი ესპანელთა კარის ძელს მოახვედრა, ჩრდილოელებს კი, საფრთხე რამდენჯერმე ეჩებერიამ, რაულმა, ურსაისმა და მენდიეტამ შეუქმნეს. ეს უკანასკნელი ალფონსოსთან ერთად მინდორზე ბოლო წუთებში გამოჩნდა. რადგან სათადარიგოთა სკამი ვახსენეთ, ბარემ ერთ კითხვასაც დავსვამთ: რით დაიმსახურეს ნეტავ ძირითადში თამაშის პატივი „პრიმერა-დივიზიონიდან" ამ სეზონში გავარდნილი მადრიდის „ატლეტიკოს" წევრებმა, სხვათაგან არაფრით გამორჩეულმა მოლინამ და ვალერონმა?

კიდევ რამდენიმე გვარის ჩამოთვლა შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ.

გია პლატონიშვილი.

კალათბურთი

„ბასკო" – „აზოტი" 1:1 სტუ – სდასუ 2:0

გუშინ დედაქალაქის სპორტის სასახლეში კალათბურთელ ვაჟთა IX ეროვნული ჩემპიონატის ფინალური სერიის მეორე მეხვედრები გაიმართა.

ბუნებრივია, განსაკუთრებულ ინტერესს „ოქროს მაძიებელთა" დუელი იწვევდა. აქედანვე ვიტყვით – მოლოდინი არ გამართლდა, რამიც „დამნაშავენი" ბათუმელები არიან. პირველი რაუნდის წაგებამ „ბასკოზე", ეტყობა, სასიკეთოდ იმოქმედა. გუნდი რევანშის დაუოკებელი სურვილით გამოვიდა მოედანზე და პირწმინდად დაჯაბნა მეტოქე – 105:66 (53:29). ზღვისპირელები ამჯერად სწორედ იმ კოლექტივს ჰგავდნენ, უპრობლემოდ რომ მოიგო გათამაშების პირველი ეტაპი და სპეციალისტ-გულშემატკივართა უმეტესობას თავი ჩემპიონობის უპირველეს პრეტენდენტად წარმოუდგინა. ეს, უმთავრესად, დაცვაში დიდებულ თამაშს ეხება, რაც ტრადიციულად ქართველ კალათბურთელთა „აქილევსის ქუსლია".



საილუსტრაციოდ მოგახსენებთ, რომ „აზოტმა" მოწინააღმდეგის კალათი პირველად მატჩის მეოთხე წუთზე დალაშქრა (ბერუაშვილი), როცა ანგარიში უკვე 0:11 იყო დაეითულიანის ძალისხმევით. ეს მაშინ, როცა ეროვნული ნაკრების საბაზო კლუბს ტრავმირებული ძირითადი გამთამაშებელი აბრამიძე აკლია. კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: რუსთაველთა ლიდერმა გოგობერიშვილმა გუშინ მხოლოდ 3 (!) ქულა მოაგროვა, თანაც სამივე – საჯარიმოებით. შედარებისთვის გაგაცნობთ წინა დღის გმირთა მონაგარს: გოგობერიშვილი – 27 ქულა, ქლენტი – 16 ქულა, გაბისონია – 12 ქულა („აზოტი"), ქარაბაკი – 18 ქულა, არხიპოვი – 11 ქულა („ბასკო").

სამაგიეროდ, კვლავ ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა სტუდენტური გუნდების მეორე „საბრინჯაო" დავაში. პირველი პაექრობის მსგავსად, პოლიტექნიკოსებს გადამწყვეტი ქულები საჯარიმო ტყორცნებით ძირითადი დროის ბოლო წამებზე ლოსაბერიძემ მოუტანა – 101:99 (48:45). უცვლელი დარჩა ყველაზე შედეგიან მოთამაშეთა კვარტეტიც: ტულუში – 18 ქულა (პირველ მეხვედრაში – 26 ქულა), თორთლაძე – 16 ქულა (18 ქულა, ორივეჯერ – 5-5 სამქულიანი, სტუ), ხომტარია – 39 ქულა (28 ქულა), უძილაური – 22 ქულა (35 ქულა, სდასუ). აღსანიშნავია, რომ სდასუს სნაიპერებმა გუშინ 6-6 სამქულიანი ჩააგდეს.

დღეს სპორტის სასახლეში 16 და 18 საათზე მესამე ფინალური მატჩები დაიწყება.

გუშინ „ბასკო" – „აზოტის" მატჩის წინ ბათუმელთა ერთ-ერთ მწვრთნელს, თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში ჩემპიონთა თასის მფლობელს ვალერი ალთაბაევს ღირსების ორდენი გადაეცა. ვულოცავთ!

გია პლატონიშვილი.

ჭადრაკი

ნატალია ჟუკოვა — პირველი ჩემპიონი

ბათუმში დამთავრდა ევროპის მოჭადრაკე ქალთა პირველი პირადი ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელიც „ნოკაუტსისტემით" გაიმართა. კონტინენტის უმაღლესი ტიტულის მოსაპოვებლად ბრძოლაში, როგორც გულშემატკივრებმა იციან, 32 დიდოსტატი, საერთაშორისო, ფიდეს და ეროვნული ოსტატი ჩაება. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის ორგზის ჩემპიონი ეკატერინა კოვალევსკაია და უკრაინის ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა, პირველი პარტია კოვალევსკაიამ მოიგო, მომდევნო ორ პარტიაში ჟუკოვამ იმარჯვა, მეოთხე ორთაბრძოლა კი ყაიმით დამთავრდა.

მიკრომატჩში საბოლოო წარმატებას (2,5:1,5) 21 წლის უკრაინელმა დიდოსტატმა ნატალია ჟუკოვამ (მან ფინალამდე ფარ-ხმალი დააყრევინა კიტი გროსარს, ნინო გურიელს, რეგინა პოკორნას, ტატიანა სტეპოვაიას) მიაღწია და ევროპის ქალთა პირველი ჩემპიონი გახდა.

გუშინ ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურა.

სურათზე: ევროპის პირველი ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა.

ვაჟა დანელია.
ავტორის ფოტო.

XXI საუკუნე

ტარიელ ზანდუკელი — ქართული კრივის იმედი

ვერის უბანი ოდითგანვე იყო კრივის ფრიად საჩინო კერა. ამ არე-მიდამოში რაინდული მუშტი-კრივის დიდი ტრადიცია დანერგეს დოდო აბაშიძემ, თენგიზ კეკელიძემ, თამაზ კალანდარიშვილმა, ჯუანშერ ჯურხაძემ და მრავალმა სხვამ. ვერაზე აღიზარდნენ სახელოვანი და დიდი პოტენციის მქონე მოკრივეები: ლევან რონდელი, კოკა მუჯირი, გივი მუხაძე, სერგო ბერძენიშვილი, ნოდარ ქიქავა, ირაკლი მელაძე, არეს სალირაშვილი და სხვანი. ამ ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელია მეტად ნიჭიერი და ძალზე პერსპექტიული მოკრივე ტარიელ ზანდუკელი, რომელიც გამოირჩევა ქარიშხლისებური შეტევი სტილით, გონიერი ტაქტიკით, დახვეწილი ტექნიკით და ძლიერი, ნოკაუტის მომგვრელი დარტყმით.

კრივის სიყვარული მას ჩაუნერგა მამამ, ყოფილმა მოკრივემ დავით ზანდუკელმა. ტარიელმა კრივში ვარჯიში 7 წლის ასაკიდან დაიწყო გიორგი შახსუვარიანთან, შემდეგ მას წვრთნიდა ნოდარ ქიქავა, საქართველოს ნაკრებში კი მოზარდ მოკრივეს მეურვეობდა ზურაბ გუნია. ტარიელი მრავალგზის იყო თბილისის ჩემპიონი, გაიმარჯვა საქართველოს სპარტაკიადაში. სამგზის ზედიზედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. პირველობა არავის დაუთმო დავით კვაჭაძისა და შაქრო ხუდოიანის სახელობის ტურნირებში, 7-ჯერ გახდა საერთაშორისო ტურნირების პირველი ხელთათმანი. ახლახან, 3-7 ივნისს, ქალაქ ქუთაისში მიმდინარეობდა საქართველოს ჩემპიონატი კრივში, სადაც უნდა გამოვლენილიყო ევროპის პირველობის მონაწილე კანდიდატები.

ამ ასპარეზობაზე ტარიელმა განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი. პირველი ბრძოლა მისი აშკარა უპირატესობის გამო შეწყვიტეს პირველსავე რაუნდში. მეორე და მესამე ბრძოლა კი – მეორე რაუნდში. ამ ბრძოლებში ტარიელმა განახორციელა სამი ნოკდაუნი. ტარიელ ზანდუკელის გამარჯვებით დამთავრდა, აგრეთვე მისი შეხვედრა გამოცდილ ფოთელ მოკრივე გიორგი უნგიაძესთან.

წარსულში სახელოვანმა მოკრივემ, ქუთათურმა ჯუმბერ კვანტალიანმა, რომელიც ესწრებოდა შეჯიბრებას, ასე შეაფასა ახალგაზრდა სპორტსმენის გამოსვლა: „კარგა ხანია კრივს ისეთ სიამოვნება არ მოუნიჭებია ჩემთვის, როგორც ზანდუკელის ბრძოლამო". ტარიელის რინგზე ბრძოლის მანერა ძალზე მოეწონა, აგრეთვე აჭარის კრივის ფედერაციის პრეზიდენტს ირაკლი მელაძეს.

ტარიელის შესახებ კარგი აზრისა არიან კრივის აღიარებული სპეციალისტებიც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, წარსულში ძლიერი მოკრივე ვახტანგ ყველიაშვილი ამბობს: „როდესაც რინგზე გამოდიოდნენ ლეგენდარული მოკრივეები, ძმები – გივი და ნოდარ დარბაისელები, რინგის მოყვარულები იტყოდნენ ხოლმე, რა კარგი იქნებოდა რინგის ამ ორი დიდოსტატის თვისებები, კერძოდ, გივის ტემპი და ნოდარის უროსებრი დარტყმა ერთ პიროვნებაში ყოფილიყო შერწყმული, ახლა სრულიად თავისუფლად შეიძლება ითქვას: ტარიელს ერთნაირად ემარჯვება ორივე ეს თვისება". ასპარეზობის რეფერიმ, რინგის ცნობილი ქუთაისელი ოსტატის თენგიზ გუჯაბიძის ვაჟმა თემურ გუჯაბიძემ ტარიელს ამ სიტყვებით გადასცა ფერწერული ნახატი: მამაჩემი სწორედ შენს წონაში (57 კგ) გახდა პირველად ჩემპიონი და ეს სურათი მიიღო ჯილდოდ. მე კი შენ გიძღვნი ამ ნახატს სიმბოლურ საჩუქრად.



ტარიელ ზანდუკელი თავმდაბალი ყმაწვილია. მას არასოდეს არ აამაყებს წარმატებები. პირიქით, ყოველი გამარჯვების შემდეგ მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს და უფრო გულმოდგინედ ვარჯიშობს. ახლაც არ ღალატობს თავის ჩვევას და ბეჯითად ემზადება ევროპის პირველობისათვის კრივში (1985 წელს დაბადებულთა შორის), რომელიც ამ ზაფხულს უნდა გაიმართოს საბერძნეთში.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული კრივის იმედი, ტარიელ ზანდუკელი, აქაც ასახელებს თავის ქვეყანას.

ედიშერ გიორგაძე.

მხატვრული ტანვარჯიში

გრაციები — სტავროპოლში

რუსეთის ამ ქალაქში გაიმართა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა XI საერთაშორისო ტურნირი სტავროპოლის ტელევიზიისა და რადიოს პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს ტანვარჯიშის სახეობათა სპორტსკოლის აღსაზრდელები ანა ალექსიშვილი (სენიორთა შორის) და თამუნა მიქაძე (იუნიორთა შორის), ჩვენი გუნდის შემადგენლობაში იყვნენ, აგრეთვე განათლების სამინისტროს ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის წარმომადგენლები სალომე ჭყონია, ანა დილბარიანი, ქეთი ხატიაშვილი, ელენე გავარდაშვილი და ანა კაკაბაძე.

ასპარეზობა გაიმართა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. უფროსი ასაკის ტანმოვარჯიშეთა შორის ჩვენმა ანა ალექსიშვილმა V ადგილი დაიკავა, 1987-88 წლებში დაბადებულთა შორის სალომე ჭყონია და ანა დილბარიანი შესაბამისად VI და XII ადგილებზე გავიდნენ, 1989 წელს დაბადებულთა შორის ქეთი ხატიაშვილმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. 9-10 წლის გოგონათა შორის მეხუთე იყო თამუნა მიქაძე, მეექვსე – ელენე გავარდაშვილი, მეშვიდე – ანა კაკაბაძე.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის ყველაზე ლამაზ და მოხდენილ ტანმოვარჯიშედ აღიარეს თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს ტანვარჯიშულ სახეობათა სპორტსკოლის აღსაზრდელი ანა ალექსიშვილი (მწვრთნელი – ვიქტორია ვახტანგაძე), რომელსაც გადაეცა სპეციალური პრიზი.

დავძენთ, რომ ჩვენი ტანმოვარჯიშეები, გასაგები მიზეზების გამო, ვერ მიემგზავრებიან მორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში საასპარეზოდ, ამიტომ სჯერდებიან ახლო-მახლო ქვეყნებში, ხშირად მეზობლად გამოსვლებს. კარგია, რომ ამას მაინც ახერხებენ დედაქალაქის სპორტის მესვეურები.

ანდრო ბარძაია.

სურათზე: ანა ალექსიშვილი ასპარეზობისას.

ფეხბურთი

ალიოშა კოტრიკაძის მემორიალი

50-იანი წლების თბილისის „დინამოს" ცნობილი ნახევარმცველი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ალექსანდრე კოტრიკაძე წლების მანძილზე მუშაობდა „შევარდენის" სტადიონის დირექტორად და მომავალი თაობის ფეხბურთელთა აღზრდის საქმეს ემსახურებოდა. მისი ხსოვნის პატივსაცემად სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ჭაბუკ ფეხბურთელთა სპორტულმა სკოლამ (დირექტორი ბადრი მანწკავა) გამართა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 1998 წელს დაბადებული 8 გუნდი მონაწილეობდა. მოასპარეზენი ორ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. ქვეჯგუფებში პირველი ადგილები მასპინძლებმა „შევარდენის" (მწვრთნელი გოგი იაშვილი) და „ნორჩი დინამოელის" (მწვთრნელი თამაზ კოსტავა) გუნდებმა დაიკავეს. ფინალურ მატჩშიც ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. პირველ ტაიმში „შევარდენის" ფეხბურთელმა სუკიასოვმა გახსნა ანგარიში – 1:0. შესვენების შემდეგ ჩიმაკაძემ მეორედ აიძულა დინამოელები თამაში ცენტრიდან დაეწყოთ – 2:0. დინამოელებმა (ბარაბაძე) მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლეს.

„შევარდენის" ჭაბუკმა ფეხბურთელებმა ანგარიშით – 2:1 მოიგეს ეს დაძაბული შეხვედრა და ალექსანდრე კოტრიკაძის თასს დაეუფლნენ.

მესამე ადგილისათვის მატჩში ერევნის „კილიკიას" ჭაბუკმა ფეხბურთელებმა 3:0 დაამარცხეს თბილისის „თბილისი".

ტურნირი ჩინებულად იყო ორგანიზებული, რაშიც თავისი წვლილი მიუძღვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოზარდთა და ბავშვთა განყოფილებას და მსაჯთა კოლეგიას.

შალვა ჩიხლაძე.

ყოველი მხრიდან

დამნაშავეა ქორწილი?

ცნობილია, რომ წარუმატებლობის შემდეგ ცდილობენ ხოლმე ყველაფრის სხვაზე გადაბრალებას. ასე დაემართა ინგლისის ნაკრებსაც. ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე პორტუგალიის ნაკრებთან დამარცხებას ფეხბურთელები მიაწერენ თავიანთი ყოფილი მწვრთნელის, 42 წლის გლენ ჰოდლის ახირებას. ის ჩემპიონატზე ჩავიდა როგორც ბრიტანეთის ერთ-ერთი ტელეკომპანიის კომენტატორი, მაგრამ სწორედ ამ საპასუხისმგებლო მატჩის წინ, კვირას ყველა საქმე მიატოვა და ეინდჰოვენიდან ინგლისის ბერკშირში ჩაფრინდა.

სწორედ მაშინ, როცა მის ყოფილ ნაკრებს დიდი გასაჭირი ადგა, მან 41 წლის ვანესა შინთან იქორწინა.

სურათზე: ბედნიერი წყვილი.

ევროპის ექო აზიაში

ვიეტნამის ქალაქ ხოშიმინში პოლიციამ დააპატიმრა ფეხბურთის 93 გულშემატკივარი – ისინი, როგორც ოფიციალურ ცნობაშია ნათქვამი, კვირასა და ორშაბათს, ევროპის ჩემპიონატის პირველი მატჩების შემდეგ საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდნენ ქალაქის ქუჩებში.

ათასობით ფეხბურთის ფანატიკოსი მოტოციკლეტებით დაქროდა ქალაქის ცენტრში და აფერხებდა ტრანსპორტის მოძრაობას. ისინი მოქალაქეებსაც უხეშად მიმართავდნენ. საბედნიეროდ, პოლიციის განცხადებით, ტრავმირებულები და დაჭრილები არ ყოფილან.

შეგახსენებთ, რომ შარშან, აგვისტოში, როცა ვიეტნამის ნაკრებმა გაიმარჯვა აზიურ თამაშებზე ბრუნეიში, ათეულ ათასობით გულშემატკივარმა გაავსო ქვეყნის ყველა დიდი ქალაქის ქუჩა. ფანატიკოსთან ჯგუფების შეტაკებისას 11 კაცი დაიღუპა.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: დასავლეთ ევროპასთან დროის მრავალსაათიანი განსხვავების მიუხედავად, ვიეტნამის ტელევიზია პირდაპირ გადასცემს „ევრო-2000"-ის ყველა მატჩს.

მატჩი „გადაითამაშეს"

მსოფლიოს საფეხბურთო წრეებში არ ცხრება დებატები ჰოლანდია-ჩეხეთის მატჩზე იტალიელი მსაჯის პერლუიჯი კოლინას მიერ დანიშნული ერთობ საეჭვო პენალტის გარშემო. მის უსამართლობას თავად ჰოლანდიელებიც აღიარებენ.

ერთმა ჰოლანდიელმა ფერმერმა კი ქალაქ ბაამბრიუგედან ამ მატჩის „გადათამაშება" მოაწყო.

მან მინდორზე გამოიყვანა ჩეხური (მუქი) და ჰოლანდიური (ღია ფერის) „მაისურებიანი" თავისი ძროხების ნაკრები გუნდები.

„სტადიონის" მახლობლად გადის ავტომაგისტრალი და მატჩის მაყურებლებმა გზა სწრაფად ჩახერგეს. მალე პოლიციაც გამოჩნდა და ეს საინტერესო მატჩი შეწყვიტა. ანგარიში ამ დროს 0:0 იყო.

სურათზე: ჰოლანდია-ჩეხეთის მატჩის „გადათამაშებისას."

სპორტის რედაქცია.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ჯათუ ბერიშვილი და მისი მეუღლე ნინო კეზუა (შუაში), შვილები – მარცხნიდან მარჯვნივ: იოსები, ექვთიმე (ლიის საშუალო სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი) და სოსლანი. პირველ რიგში, მათი შვილები: გერმანე, ივლიანე, ძაბა და შალვა. სურათი გადაღებულია 1897 წელს.

ფოტო მოგვაწოდა ოთარ ბერიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

მკითხველებს, ვისი მოწოდებული ფოტოებიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ვთხოვთ, მოაკითხონ დედნებს.

ღიმილის დოზა

ბებერმა ებრაელმა შვილი ისრაელში გააგზავნა – უკეთ შეისწავლოს იუდეველთა სჯულიო. შვილი კი (აი, სიურპრიზი) ქრისტიანად მოინათლა.

მივიდა ბებერი ებრაელი მეგობართან, მოუყვა, რაც გადახდა და რჩევა ჰკითხა:

– მიკვირს, რომ მე მიყვები ამას, – უპასუხა მეგობარმა: ჩემი შვილი ისრაელში მეც გავაგზავნე და ისიც გაქრისტიანდა. ვერაფრით დაგეხმარები.

დადგა ლოცვად ბებერი ებრაელი: ასე და ასე დამემართაო, ღმერთო, და ციდან ხმა შემოესმა: „მიკვირს, რომ მე მიყვები შენს თავგადასავალს: ჩემი შვილი მეც ისრაელში გავაგზავნე...

* * *

მამა თექვსმეტი წლის შვილს ურჩევს:

– შენ უკვე დიდი ხარ და შეგიძლია სიგარეტი მოსწიო.

– გმადლობთ. უკვე სამი წელიწადია აღარ ვეწევი.

* * *

ექიმთან ლოთი მივიდა.

– რას უჩივით?

– თირკმელები მტკივა.

– ოდეკოლონს სვამთ.

– ვსვამ, მაგრამ არ მშველის.

* * *

ყველა ქალი თბილ და ნაზ სიყვარულზე ოცნებობს. მაგრამ, სამწუხაროდ, თბილ და ნაზ კაცებს უკვე ჰყავთ საყვარლები.

* * *

ქალიშვილი უშედეგოდ დავირგვინდა.

* * *

სადაზღვევო აგენტი ის კაცია, რომელსაც უბედურების შემდეგ ჩვენთვის სიკეთე სურს.



– რატომ არ დგები ადამიანო?

– ვერ გადამიწყვეტია – საპროტესტო აქციაზე წავიდე, ტრასა გადავკეტო, თუ შიმშილობა დავიწყო.

ტელევიზია – ხუთშაბათი. 15 ივნისი

08.00, 13.00 ალიონი 09.30 აერობიკა 09.55, 18.15 „შავი მარგალიტი“ 10.40 „ვიდეოპატრული-02“ 10.50 „საქმე“ 11.10 „2X2=4“ 11.35 „დიდების ზღაპარი“ 12.00, 15.00, 20.00, 22.55 მოამბე 12.15 მუსიკა ეთერში 12.30 დოკ. ფ. 14.35 „სპა“ 15.15 ფეხბურთი. იტალია - ბელგია 17.00 „რამპა“ 17.05 „მესაკუთრე“ 17.20 „მეტრო“ 17.35 „კავკასიური სამკუთხედი“ 18.00 „ვესტნიკი“ 19.05 კალათბურთი. ჩემპიონატის ფინალური მატჩი 19.45 „ვიდეოპატრული-02“ 20.50 „მრავალსახეობა“ 21.20 „თბილისის დროით“ 21.55 „კომუნიკატორი“ 23.35 ფეხბურთი. შვედეთი - თურქეთი. შესვენებისას „მაესტრო“.

19.00 ინფორმაცია 19.30 „სენ-ტროპე“ 20.20 ჰოროსკოპი 20.50 სიყვარულის ისტორია 21.00 შვიდეული 21.25 „ნოტინგ ჰილი“ 23.25 ჰიტ-პარადი 23.35 ფეხბურთი. შვედეთი - თურქეთი.

07.00 მუსიკა. 07.30 ტომი და ჯერი, რობინ ჰუდი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.05 „ლაბირინთი“ 09.55 „საიდუმლო მასალები“ 10.40 „ალფი“ 11.10 „სიყვარულის სახელით“ 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფ. 18.00, 21.00, 22.50, 02.10 კურიერი 18.20 აკუნა მატატა 19.00 „მოდელების აკადემია“ 19.30 „ალფი“ 19.55 „სიყვარულის სახელით“ 21.50 „საიდუმლო მასალები“ 23.50 „ზაზუნას დღე“. 02.20 კლასიკა.

იბერია 09.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.10, 22.25 „ალსავალი“ 09.15 „სტუდიადიალოგი“ 09.55, 18.35 „ქალაქი“ 10.20 ქართული ჰანგები 10.30, 21.15 „ყველა ჩემი შვილი“ 11.10, 19.20 მულტსერიალი 11.35, 18.10 დოკ. ფ. 12.00 მხ. ფ., „ოვაცია“ 18.00 ნახ. ფ. 19.40 მუს. ტალღა 20.40 ძვ. ჰანგები 22.30 მხ. ფ., „ახალი ამბები“, „ნოსტალგია“, მხ. ფ., „ოვაცია“.

14.00, 21.30 „მილედი“ 14.45 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 15.15 მხ. ფ. 17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“ 18.00 „მსოფლიო სპორტი“ 19.20 სტუდია „სპექტრი“ 21.00 „ვარსკვლავები“. 22.15 „დედიკოს შვილები“.

ევრიკა 11.00, 18.00 მულტფილმები 11.30 მუსიკალური კოლაჟი 12.00 პროგრამა „სალონი“ 13.30, 21.00 „დეტექტივ დუბროვსკის დოსიე“ 14.15 „თავგრუსხვევა“ 18.30 დოკ. ფ. 19.00 საუბრები „მწვანე ბუხართან“ 20.30 „ყველაფერი როკზე“ 21.45 მუსიკალური კოლაჟი 23.00 „სალი აზრი და გრძნობები“.

08.00 „ტონიკი“ 10.30 „პარტნიორი“ 12.20, 16.00, 20.55, 22.40, 01.00 კლიპ-მიქსი 18.00 დოკ. ფ. 19.00 „საიდუმლო ადამიანები“ 21.10 „კრიმინალი“ 23.00 „დაცინვა“. 01.15 მხ. ფ., დასასრულს ნონ-სტოპი.

09.00 ინფორმაცია „დილას“ 09.15, 18.25 მულტფილმი 09.45 „გრძნობის გარეშე“ 11.10 „სამი წლის თეატრი“ 11.45 დოკ. ფ. 12.35, 21.00,.22.15, 00.15 მუსიკა 12.50 „ბუნდოვანი ოცნების ობიექტი“ 14.30, 18.45 „დისქავერი“ 18.00 საინფორმაციო პროგრამა 19.45 „საუბრები სტუდიაში“ 20.30 საინფორმაციო პროგრამა 21.15 „გრიფით საიდუმლო“ 22.20 „სამი მამაკაცი და პატარა ქალბატონი“ 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.35 „ალისფერი წითელი“.

10.00, 20.30, 23.30 „ექო“ 10.15, 18.00 მულტფილმები 11.00 „ნატვრის ხე“ 12.30 საავტორო პროგრამა 13.00 „უკან დამხევი“ 14.30 დოკ. ფ. 15.00 „სიმართლე ძაღლებსა და კატებზე“ 17.00 მუსიკალური კოლაჟი 19.00 „გამოცხადება“ 21.30 „ეზოპი“ 22.30 დიპლომატია და დიპლომატები 23.00 „დღეს“ 23.45 ფეხბურთი. შვედეთი - თურქეთი 01.45 „მკვლელი ხელი“.

თბილისის სამხატვრო აკადემია აცხადებს მიღებას 2000/2001 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი:

ფერწერა (სპეციალიზაცია: დაზგური და მონუმენტური ფერწერა, თეატრალურ-დეკორაციული ფერწერა, კინო და ტელევიზიის მხატვრობა, დაზგური და მონუმენტური ფერწერის რესტავრაცია და ხატწერა);

გრაფიკა (სპეციალიზაცია: დაზგური გრაფიკა, მულტიპლიკაციური ფილმების სახვითი გადაწყვეტა);

ქანდაკება.

არქიტექტურის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი:

სამოქალაქო ნაგებობათა არქიტექტურა, არქიტექტურული ძეგლების რესტავრაცია, ლანდშაფტის არქიტექტურა, ინტერიერის დიზაინი, მონუმენტური ხელოვნება (სპეციალიზაცია: მონუმენტურ-დეკორატიული მოხატვა, არქიტექტურულ-დეკორატიული პლასტიკა); ხელოვნების ისტორია და თეორია, აგრეთვე სპეციალობა – კომპიუტერული გრაფიკა (ფასიანი სექტორი).

დიზაინის ფაკულტეტი:

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (სპეციალიზაცია:მხატვრული კერამიკა, მხატვრული მინა, ლითონის და სხვა მასალათა მხატვრული ნაკეთობანი, გამოყენებითი გრაფიკა), საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მხატვრული დაპროექტება (სპეციალიზაცია: ტანსაცმლის მხატვრული დაპროექტება, ტრიკოტაჟის ნაწარმის მხატვრული დაპროექტება, ტყავგალანტერეის ნაწარმის მხატვრული დაპროექტება, ქსოვილების მხატვრული დაპროექტება მოხატვის წესით), ავეჯის დაპროექტება, გობელენი და მხატვრული ქსოვილები, დიზაინი.

მისაღები გამოცდები სპეციალობის მიხედვით ჩატარდება შემდეგ საგნებში:

დაზგური და მონუმენტური ფერწერა – ფერწერა „ჩაცმული ადამიანის ტორსი“ (ტილო, ზეთი), ხატვა „პორტრეტი ხელებით“ (ქაღალდი, ფანქარი), „კომპოზიცია მოცემულ თემაზე“ (ტილო, ზეთი).

თეატრალურ-დეკორაციული ფერწერა – ფერწერა „ჩაცმული ადამიანის ტორსი“ (ტილო, ზეთი, მუყაო, ტემპერა, გუაში), ხატვა „პორტრეტი ხელებით“ (ქაღალდი, ფანქარი), „კომპოზიცია მოცემულ თემაზე (ტილო, ზეთი).

კინო და ტელევიზიის მხატვრობა – ფერწერა „ჩაცმული ადამიანის ტორსი“ (ტილო, ზეთი, მუყაო, ტემპერა, გუაში), ხატვა „პორტრეტი ხელებით“ (ქაღალდი, ფანქარი), „კომპოზიცია მოცემულ თემაზე“ (სრულდება გრაფიკულად – ქაღალდი, ფანქარი, ტუში, კალამი).

დაზგური და მონუმენტური ფერწერის რესტავრაცია და ხატწერა – ფერწერა „რთული ნატურმორტი“ (ტილო, ზეთი, ქაღალდი, წყლის საღებავები), ხატვა „პორტრეტი ხელებით“ (ქაღალდი, ფანქარი), „ფერწერული ნაწარმოებების ასლის გადაღება“ (ქაღალდი, ტემპერა, ტილო, ზეთი, – აბიტურიენტის სურვილით).

დაზგური გრაფიკა – ფერწერა „ადამიანის ჩაცმული ტორსი კომპოზიციურ გარემოცვაში“ (ქაღალდი, მუყაო, აკვარელი, გუაში), ხატვა „პორტრეტი ხელებით“ (ქაღალდი, ფანქარი), „კომპოზიცია მოცემულ თემაზე“ (ქაღალდი, ფანქარი, ტუში, ფუნჯი, კალამი).

მულტიპლიკაციური ფილმების სახვითი გადაწყვეტა – ფერწერა „რთული ნატურმორტი“ (ქაღალდი, წყლის საღებავები), ხატვა „თაბაშირის ფიგურა“ (ქაღალდი, ფანქარი), „კომპოზიცია მოცემულ თემაზე“ (ქაღალდი, ტუში, აკვარელი).

ქანდაკება – ძერწვა „თაბაშირის თავი“ (თიხა), ხატვა „თაბაშირის ფიგურა“ (ქაღალდი, ფანქარი), „კომპოზიცია მოცემულ თემაზე“ (ძერწვა, თიხა ან პლასტილინი).

დიზაინის ფაკულტეტის ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე – ფერწერა „ნატურმორტი“ (ქაღალდი, წყლის საღებავები), ხატვა „თაბაშირის ფიგურა“ (ქაღალდი, ფანქარი), „კომპოზიცია სპეციალობის მიხედვით“ (ქაღალდი, წყლის საღებავები).

კერამიკის, მინის, დიზაინის, ავეჯის, ლითონის და სხვა მასალათა მხატვრული ნაკეთობების სპეციალობებზე შემსვლელნი აბარებენ ფერწერაში მოცემულობას „ნატურმორტი“ ან ქანდაკებაში მოცემულობას „თაბაშირის თავის ასლი“ აბიტურიენტის სურვილით მიხედვით.

სახვითი ხელოვნების დიზაინის ფაკულტეტზე ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე ტარდება წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე (გარდა ფერწერის რესტავრაციისა და ხატწერისა) ტარდება ჩათვლა საქართველოს ისტორიაში.

ფერწერის რესტავრაციაზე და ხატწერაზე ჩათვლა ჩატარდება ქართული ხელოვნების ისტორიაში.

არქიტექტურის ფაკულტეტის ყველა სპეციალობაზე მიღება მოხდება გასაუბრების შედეგად. სამოქალაქო არქიტექტურის, არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციის, ლანდშაფტის არქიტექტურისა და კომპიუტერული გრაფიკის (ფასიანი სექტორი) სპეციალობებზე გასაუბრებაზე სრულდება მოკლევადიანი მოცემულობები ფერწერაში, ხატვასა და ხაზვაში, ინტერიერ-დიზაინის, მონუმენტურ-დეკორატიული მოხატვის, არქიტექტურულ-დეკორატიული პლასტიკის სპეციალობებზე სრულდება მოკლევადიანი მოცემულობები ფერწერაში, ხატვასა და კომპოზიციაში. მოცემულობების შესრულების შემდეგ მოეწყობა ზეპირი გასაუბრება საერთო განათლებაში. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სპეციალობაზე გასაუბრებაზე შესრულდება წერითი სამუშაო (რეფერატი დასავლეთ ევროპის ან ქართული ხელოვნების ერთ ფერწერულ ნამუშევარზე) და მოეწყობა ზეპირი გასაუბრება ხელოვნების ისტორიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიაში.

არქიტექტურის ფაკულტეტის ყველა სპეციალობაზე I კურსის I სემესტრის სესიებზე პროგრამით გათვალისწინებული საგნების პარალელურად მოეწყობა წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

გასაუბრების შედეგად I კურსზე მიღებული აბიტურიენტებიდან (კომპიუტერული გრაფიკის გარდა) I სემესტრის აკადემიური მაჩვენებლების მიხედვით, კონკურსის წესით დაკომპლექტდება ძირითადი საბიუჯეტო ჯგუფები. დადებითქულიანი, კონკურსგარეშე დარჩენილი აბიტურიენტები სურვილის მიხედვით ჩაირიცხებიან ფასიანი სწავლების ჯგუფებში.

კომპიუტერული გრაფიკის სპეციალობაზე გასაუბრების შედეგად აბიტურიენტები I კურსზე ჩარიცხვა მოხდება მხოლოდ სასწავლო წლის სრული საფასურის გადახდის შემდეგ.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე პირები ასაკის მიუხედავად.

გამოცდებზე მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება ფორმის მიხედვით (სპეციალობის ზუსტი აღნიშვნით), საშუალო განათლების მოწმობის დედანი (დანართთან ერთად), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086 უ) 6 დამოწმებული ფოტოსურათი 3X4, პასპორტს და სამხედრო ბილეთს წარმოადგენენ პირადად.

სახვითი ხელოვნებისა და დიზაინის ფაკულტეტების სპეციალობებსა და სპეციალიზაციებზე მისაღები გამოცდების დაწყებამდე აბიტურიენტები გაივლიან გასაუბრებას სამინაო ნამუშევრების წარმოდგენით და მოკლევადიანი დავალებების შესრულებით. გასაუბრების შედეგები აბიტურიენტებს ეცნობებათ მეორე დღეს.

მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის აბიტურიენტებმა გასაუბრების წარმატებით ჩათვლის შემთხვევაში აკადემიის ბუღალტერიაში უნდა გადაიხადონ 20 ლარი. გამოცდებზე ჩაჭრილ და ჩარიცხვის გარეთ დარჩენილ აბიტურიენტებს შემოტანილი თანხა არ დაუბრუნდებათ.

განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან ყოველდღე (კვირის გარდა) 11 ივლისის ჩათვლით 10-დან 14 საათამდე.

გამოცდები დაიწყება 15 ივლისს 9 საათზე.

აბიტურიენტებისათვის ღია კარის დღე ჩატარდება 28 ივნისს და 5 ივლისს 12 საათზე.

მისაღები გამოცდების შემდეგ ჩაურიცხავი, დადებითქულიანი აბიტურიენტები სურვილის მიხედვით, ა/წლის 20 აგვისტომდე სწავლის საფასურის გადახდის შემთხვევაში ჩაირიცხებიან ფასიანი სწავლების ჯგუფებში.

ფასიან სექტორზე სწავლის სხვა მსურველთათვის ჩატარდება მოკლევადიანი გამოცდები ა/წლის 1-დან 10 სექტემბრის ჩათვლით.

იმ სპეციალობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სექტემბერში მოხდება მიღება, სამხატვრო აკადემიაში გამოცხადდება ა. წ. აგვისტოს მეორე ნახევარში.

მისაღები გამოცდების შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სამხატვრო აკადემიის მიმღებ კომისიაში.

მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის 22, ტელ: 93-54-11.

მიმღები კომისია.

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დასავლური აზროვნების შემსწავლელი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 2000-2001 სასწავლო წელს შემდეგ სპეციალობებზე:

ბაკალავრიატი

1. ფილოსოფია (დასავლური ფილოსოფია);
2. პოლიტოლოგია (ევროამერიკული კვლევის განხრით).

მაგისტრატურა

1. ფილოსოფია.

საბუთები მიიღება 1 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით.

„ღია კარის დღე“ გაიმართება 2000 წლის 25 ივნისს, დღის 12 საათზე.

მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 45, ტელეფონი: 23 05 03.

გაიხსნა ავტომობილების სარეალიზაციო ცენტრი კახეთის გზატკეცილი–106. მეთექვსმეტე პროფილაქტიკის ტერიტორიაზე. ტელ: 76-82-46.



მეუღლე იზოლდა ძიძავა, შვილები ნელი, დათო, დები ნელი, ლუბა, ძმა მოთა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი

შალვა იასონის ძე ეხვაია

პანაშვიდი 15, 16 VI, 5 სთ. გამოსვენება 17 VI, 3 სთ. ხეთაგუროვის №4.

შვილი ციალა ბერძენიშვილი, ბიძაშვილები ვალია, კუკური სურგულაძეები, რძალი ნინა, მაზლიშვილები ლია, დათო, დავით და ბელა სარიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ ავთანდილის ასული ჩიქაშუა-ბერძენიშვილი

პანაშვიდი 15, 16 VI, 5 სთ. დაკრძალვა 17 VI, 3 სთ. ირ. აბაშიძის 51.

შვილი დოდო შავდია, სიძეები დემურ შენგელია, ედნარ გიორგობიანი, შვილიშვილები გიგა, თამარ, შვილთაშვილი გიორგი, და ნორა სიხარულიძე, რძალი ლია დოლიძე, ძმისშვილები დათო, გია, ბათუ, ვახტანგ, ქეთინო სიხარულიძეები, მულისშვილი თენგიზ სიგუა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ სიხარულიძე-შავდია

პანაშვიდი 15, 16 VI, 5 სთ., გამოსვენება 17 VI, 3 სთ., დავით გურამიშვილის გამზირი, 33/1.

მეუღლე დოდო ჯავახიშვილი, შვილები ნინო, თენგიზი, რძალი ნინო ციციშვილი, სიძე გოგი ფანჩულიძე, შვილიშვილები ქეთი, დოდო, მძახლები დოდო, ირაკლი ციციშვილები, მანანა ფანჩულიძე, ცოლისდები ნათელა, ნელი, გულიკო ჯავახიშვილები ოჯახებით, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლეო სალაყაია

პანაშვიდი 15, 16 VI, 5 სთ. გამოსვენება 17 VI, შაბათს 3 სთ. მისამართი ეკ. გაბაშვილის 7.

საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის შპს „ადფ“-ის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ფირმის დირექტორს თენგიზ სალაყაიას მამის

ლეო სალაყაიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 80 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი მანქანათმშენებლობის დარგში, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თეიმურაზ ნიკოლოზის ძე ლოლაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

მიშიკო გურიელიძე

ის სხვა იყო, არ ჰგავდა სხვას! მასზე უჭკნობი და დიდებული, რაღა შექმნას და ვილამ დახატოს! შენ და ზვიადი გულზე ცეცხლად ხართ მოკიდებული, სანათესაოს სულის ლაღადნო! თქვენმა სიყმაწვილემ გაზაფხულის ნიავივით ჩაიარა, ნუ დაგვემდურებით, ნუ იფიქრებთ, წუთით დაგივიწყეთ, დაგშორდით! გვითხარით, ასე რატომ დაგვტოვეთ, გვითხარით, ასე რატომ დადუმდით! ამაზე უფრო დიდი სინანული, ამაზე უფრო დიდი განშორება! ამაზე უფრო დიდი სიცარიელე, არსად, არასოდეს ალბათ არ იქნება!

ჩვენო მიშიკო, ჩვენო ლამაზო ბიჭო, შენ ჩვენ გულებში ხარ მუდამ განუყრელად!

დეიდაშვილები-ბიძაშვილები.

მიშიკო გურიელიძე

ჩვენი მეგობრის ლამაზი და ნიჭიერი ვაჟი ჩვენი სიამაყეც იყო. გვიხაროდა იურისტების ოჯახში აღზრდილი, დინასტიას რომ აგრძელებდა, ვაი, რომ უდროოდ შეწყდა მისი სიცოცხლე, წავიდა და ზეცად დაივანა, თვითონაც სევდად იქცა და ჩვენი მეგობარიც სევდად აქცია. ღმერთმა გაანათლოს მისი უმანკო სული!

მამის მეგობრები.

მიშიკო გურიელიძე



სიცოცხლით სავსე 21 წლის ბიჭი, მეგობრებით და მოკეთეებით სავსე და მდიდარი იყო. სუფთა, უანგარო, უხინჯო მეგობრობა შეეძლო და ასევე გაგრძელდებოდა, ბედისწერას რომ არ შეეწყვიტა ჩვენი ურთიერთობა. ვიგონებთ წარსულს, ლამაზს და განუმეორებელს, სავსეს ხალისით, სიყვარულით, სითბოთი შეწყვეტილს უდროოდ, უღვთოდ. რამდენი მოგონება დანისლული ცრემლით, ტკივილით, განათებული სანთლით. რა შეგვიძლია ფრთამოტეხილ გოგო-ბიჭებს. იძინე მშვიდად, ზეციურ სამკვიდროში ჩვენო განუმეორებელო კეთილო ბიჭო!

მეგობრები.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურამ ბოზიაშვილი, ბონდო ზულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
როლანდ ბასილაშვილი.
ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა –
PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.